

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
«ЭКОНОМИКА» - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 1-2, 2012

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

## რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი;  
ზ. ვაშაკიძე; თ. დოლიაშვილი; მ. კაკულია; ღ. კარბონი (იტალია);  
პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშვილი; ი. მესხია; ე. მექუბელიშვილი;  
ქ. მარმავა; ს. პალიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სიბადუშვილი;  
ა. სილაგაძე; თ. სოლლატებჭო (უკრაინა); მ. ტურაუ; ტ. ველოროვა (რუსთა);  
ღ. ქავთარაძე (რუსთა); რ. ქუთაულაძე; კ. ღურუქვაა; გ. ეკუფენაა; გ. შებლაძე; თ. შეგლიაა;  
ქ. წიგლაური; ნ. ჭითანავა; ღ. ჩიტანავა; მ. ჯიბუტი; რ. ჯაბიიძე.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Ващакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К.,  
Даташвили В., Джигути М., Джабнидзе Р., Долиашвили Т., Кавтарадзе Д. (Россия),  
Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А.,  
Кутателадзе Р., Липартия З., Малашкия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я.,  
Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сольданенко  
О. (Украина); Самадашвили У., Турава М., Федорова Т. (Россия), Чикава Л.,  
Читинава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI;  
Z. VASHAKIDZE; T. DOLIAZHVELI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY);  
P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA;  
E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA);  
U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; O. SOLDATENKO (UKRAINE); M. TURAVA;  
T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA;  
G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA;  
M. JIBUTI; R. JABNIDZE.

თბილისი - 2012

# შ 0 6 ა ა რ ს 0

## ექონომიკური რაზორავა: ანალიზი, პროგნოზი, არსავაჟივაბი

ირმა ჩხაიძე - საქართველოს საპენსიო  
სისტემის უზრუნველყოფა და მასზე მოქმედი ფაქტორები ----- 6

### ექონომიკური თეორიის თანახადროვა პროგნოზი

ზურაბ ვაშაკიძე, რევაზ შენგვალა - სუვერენული საინვესტიციო ფონდები  
მსოფლიო საფინანსო -პოლიტიკური ბაზონობის ახალი ინსტრუმენტი ----- 11

არჩილ გერსამია - საინვესტიციო გარემო და ინვესტირების  
თავისებურებები თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში----- 21

**Olga Pachulia ,Klara Gurtskaya - Importance of Trend Analyses**

Before Making Investment In a Company (Berkshire Hathaway Inc.) ----- 27  
ეთერ თაკალანები - დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის

შენარჩუნების წინაპირობაა საზოგადოებრივი  
მეცნიერების „ლაზარეს“ შესაბამისად განახლება ----- 33

ნინა ნადარეგიშვილი, ნინა დანდია -  
შრომითი რესურსების მიგრაცია: სახეობები, მიზნები და შედეგები ---- 50

### ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ლევან ჭუთათელაძე, ალექს ჭუთათელაძე - საფინანსო-საბანკო  
ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების  
უზრუნველყოფისა და რისკების მართვის მეთოდები ----- 57

### ლარგობრივი ექონომიკა

მარგარიტა ბაჩილავა - ენერგეტიკული დანიშნულების  
ტყის მერქნიანი სწრაფმზარდი სახეობათა წარმადობა ----- 62

ნინო გრიგოლაძა, უუუნა წიკლაური -  
ლუკა პაჩილაძი თანამედროვე აღრიცხვის ფუძემდებელი ----- 68

ლალი სადადაშვილი, ნანული ქოქმშვილი, ნინო ტრამაკიძე,  
თათია გუგუტიშვილი, ნანა შაგმიშვილი - არამატერიალური

აქტივების შეძენის აღრიცხვა-საწარმოთა გაერთიანების ნაწილი ----- 73

ნათელა ჯანელიძე - სოციალური ინფრასტრუქტურა და დაზლვევა----- 79

თამარ კილაძე, ტარიელ ქოქოლაძე, ჯემალ შარაძე - საქართველოს  
საზღვაო პორტების მდგომარეობა და განვითარების მიმართულებები---- 88  
ნინო გრიგოლაძე, ელგუჯა კონჭარია - ბუღალტრული აღრიცხვის  
სისტემების ეროვნული თავისებურებანი-----94

## **პიზნესი, მარქეტინგი, გენეზონი**

ეპატერინე კევლიშვილი -	
მარკეტინგის არსი და ფუნქციები, მარკეტინგის დეფინიცია -----	100
ასიკო ციხუაძე, ლილით მელონინ-ფუტკარაძე -	
სოციალური რისკები და მისგან დაცვის მექანიზმი-----	105
გიორგი როდონაძა -	
საინვესტიციო რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება -----	113
რუსული პაპასკირი - რაზე მეტყველებენ საფონდო ინდექსები? -----	118
ოლღა ფაჩულია - ქართული ღვინის	
ბიზნესის პრობლემები და პერსპექტივები-----	122
რუსული პაპასკირი - კომპანიის კონკურენტუნარიანობის	
შეფასება დანახარჯების მაჩვენებლით -----	128
მარინა გელვანიშვილი, გიორგი შიხაშვილი - მენეჯმენტის	
პერსპექტივები გლობალურის პირობებში -----	134
ლევან ჭუთათელაძე -საფინანსო-საბანკო ორგანიზაციაში	
ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპები და	
დაცვის ოპტიმალური მართვის მეთოდები -----144	

## **მსოფლიო ეკონომიკა**

ნათა შენგელია - საინვესტიციო აქტივურობის	
დონე ზოგიერთ ტრანსფორმირებად ქვეყანაში -----	149
Рефераты -----	154

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

<b>Irma Chkaidze</b> – The Factors Influencing on the Assurance of Pension System of Georgia -----	6
---	---

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

<b>Zurab Vashakidze, Rezo Shengelia-</b> Sovereign Investment Fund - A new instrument of World Financial-Political Dominance -----	11
<b>Archil Gersamia</b> - Investment Environment and Investment Peculiarities in Free Economic Zones -----	21
<b>Olga Pachulia ,Klara Gurtskaya</b> - Importance of Trend Analyses Before Making Investment in a Company (Berkshire Hathaway Inc.) ----	27
<b>Ether Takalandze</b> - Renovation of Social Science “ Lazare ” is the premise of maintaining the Ecological Equilibrium on earth -----	33
<b>Nana Nadareishvili, Nona Danelia</b> - Migration of Human Resources: Types, Purposes and Results -----	50

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

<b>Levan Qutateladze, Aleko Qutateladze</b> - The Methods of Providing Informational Security and Risk Management in the Financial-Banking Organizations -----	57
--	----

## SECTORAL ECONOMY

<b>Margarita Bachilava</b> -- The Productivity of Fast-growing ligneous Species of wood with energetic function -----	62
<b>Nino Grigolaia, Zhuzhuna Tsiklauri</b> - Luka Pachioli – the Founder of Modern Accounting -----	68

<b>Lali Sadagashvili, Nanuli Qoqashvili,</b>	
<b>Nino Tramakidze, Tatia Gugutishvili, Nana Shavshishvili -</b>	
Accounting of Acquisition of Non-Tangible assets –	
as part of Consolidation of Enterprises -----	73
<b>Natela Janelidze-- Social Infrastructure and Insurance-----</b>	79
<b>Tamar Kiladze, Tariel Qoqoladze, Jemal Sharadze -</b>	
The State in Georgian Seaports and its Directions for Development -----	88
<b>Nino Grigolaia, Elguja Konjaria -</b>	
National Peculiarities of Accounting Systems -----	94

## **BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

<b>Katerine Kevlishvili --The Definition and Functions of Marketing -----</b>	100
<b>Asiko Tsintsadze, Lilit Meloian-Putkaradze – Social Risks and the</b>	
Mechanism of Protection from them -----	105
<b>Giorgi Rodonaia- Identification and Estimation of Investment Risks ---</b>	113
<b>Rusudan Papaskiri- What evidence Stock Indices? -----</b>	118
<b>Olga Pachulia- Problems and Perspectives of Georgian Wine Business -----</b>	122
<b>Rusudan Papaskiri - Evaluation of the Company's</b>	
Competitiveness with expense index-----	128
<b>Marina Gedevanishvili, Giorgi Shikhashvili -</b>	
The Perspectives of Management in the Conditions of Globalization-----	134
<b>Levan Qutateladze - The Principles of Informational</b>	
Security and the methods of Optimal Management	
of Protection in the financial Organizations -----	144

## **WORLD ECONOMY**

<b>Natia Shengelia- The Investment Activity</b>	
Level in Some of Transitive Countries-----	149
<b>SUMMARY-----</b>	154

**ეკონომიკური რეფორმა-  
ანალიზი, პროგნოსტიკა,  
პერსპექტივები**

**საქართველოს საპარამი სისტემის უზრუნველყოფა და  
მასზე მოქმედი ფაქტორები**

**ირმა ჩხაიძე**

ეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესიონალური

საქართველოში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მწვავედ დგას და ჩატარებული კვლევების მიხედვით, ყოველთვის შედიოდა საზოგადოებისათვის ყველაზე მტკიცნეულ საკითხთა სამეცნილები.

საქართველოში დღეისათვის მოქმედებს სახელმწიფო საპენსიო სისტემაც შეეხება კერძო საპენსიო სისტემის რეფორმას, მასზე მიმავჭდებს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საფინანსო კომიტეტი, რომელიც ჩილეს, პოლონეთის, ფიზახეთის, ლატვის, ესტონეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განახორციელებს, როგორც კერძო საპენსიო ფონდის მართვის, ასევე სახელმწიფო კონტროლის პრინციპებს.

დემოკრატიული მოწყობისსკენ მიმავალი ჩვენი ქვეყნის მოქმედ სახელმწიფო საპენსიო სისტემაში საბაზო ეკონომიკის გარდამავალი სისტემიდან დღემდე ხელისუფლების მიერ სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლებრივი პრინციპის აღდგენა დაიწყო ქვეყნაში არსებული სოციალური დაცვის დონის განსაზღვრით. ანალიზით დგინდება, რომ 1998 წლიდან 2003 წლამდე ხელისუფლების მიერ თვეების ან ზოგჯერ წლების განმავლობაში გადაუხდელი სიმბოლური პენსიების გაცემა მოხდა 2004 წლიდან დიდი ფულის დაზოგვით და დაიფარა დაუკმაყოფილებელი პენსიონერების მთლიანი დავალიანება, ხოლო 2005 წლიდან 800 000 პენსიონერზე, ანუ მთლიანი მოსახლეობიდან პენსიონერთა 20,5%-ზე მოხუცებულობის სამუდამო პენსიის გაზრდის ტენდენციას (2004, 2005, 2006, 2007 წლებში შესაბამისად თვიუ-

## **ეპონომიკური რეზორმა-ანალიზი, პრობლემები, კორსექტივები**

რი-14, 28, 33, 38 ლარის ოდენობით) განაპირობებდა, ერთი მხრივ, იმ ათასამდე პირის პენსიის შემცირება, რომლებიც ყოველთვიურად 560 ლარზე მეტს იღებდნენ და მეორე მხრივ, მომუშავე პირთა მიერ გამომუშავებული თანხიდან დარიცხული გადასახადები, რომელიც აღნიშნულ-თან ერთად ქმნის ამ მომუშავე პირის სამომავლო საპენსიო სისტემას.

აღნიშნულ სეკუროში მიმდინარე რეფორმის დროს პენსიების ზრდის პარალელურად შეინიშნებოდა პენსიების დიფერენცირებული პრინციპის უმოქმედობა, რომლის წარმოქმნის მიზანი შესაძლებელია დასახელდეს, ერთი მხრივ, სოციალური უზრუნველყოფის ფონდის სიმცირე და ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარე ინფლაციური პროცესები, რაც ართულებს იმის გაანალიზებას, თუ თითოეულმა პენსიონერმა რამდენი გამოიმუშავა მანეთებში, გუპონებში, ლარებში და წლის განმავლობაში ბიუჯეტში ანარიცხების სახით რამდენი შეიტანა. მეორე მხრივ, ქვეყნის მოსახლეობაში 1990-2003 წლებში მკაფიოდ გამოიკვეთა დაბერების ტენდენცია, კერძოდ, 1990 წლისათვის 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვობაში შეადგენდა 9,25%-ს, 1995 წელს 10,8%-ს, ხოლო 2003 წლისათვის 13,1%-ს მიაღწია, რასაც განაპირობებს დემოგრაფიული ფაქტორი (უმუშევრობა ან/და უფრო მაღალი შემოსავლების მიღება). აღნიშნულმა ფაქტორმა, ასევე გამოიწვია ევროპაში მოსახლეობის შემცირება(ევროპაში დიდია მოსხვნა როგორც მაღალკვალიფიციურ, ისე დაბალკვალიფიციურ მუშახელზე) და დაბერების ტენდენციის ზრდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფომ „არაწინააღმდეგობრივი კეთილდღეობის“, ანუ საპენსიო სისტემის სამართლიანობის პირობის (მეტნაკლები) განხორციელება დაიწყო 2007 წლიდან სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით სამუდამო სიბერის პენსიაზე თანხის დამატებით (25 წელზე მეტი სტაჟის დროს-დანამატი პენსიაზე 10 ლარი, 15-დან 25 წლამდე სტაჟის დროს-პენსიაზე დანამატი 7 ლარია, 5-დან 15 წლამდე სტაჟის დროს 4 ლარი, 5 წლამდე სტაჟის დროს 2 ლარი). აქვე აუცილებელია ხაზგასმით აღნიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო არ ივიწყებს საპენსიო სისტემის მეორე-დაუცველ მოქალაქეთა მინიმალური უზრუნველყოფის პირობასაც, რადგან პირებს, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო სტაჟი, მათ სახელმწიფო პენსიაში გასვლის შემდეგ უნაზღაურებს იმ დროისათვის არსებული სამუდამო სიბერის პენსიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ სა-

ხელმწიფო პენსიონერთა უმრავლესობას ვერ შეუქმნის დიფერენცირებული პრინციპის ამოქმედებით რეალურ თვიურ მინიმალურ საპროცენტო ოდენობას, რადგან სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლიანობის შესანარჩუნებლად შექმნილი კეთილდღეობის მომხმარებელია არა მხოლოდ ის პირები, რომლებმაც საპენსიო ასაკამდე შექმნეს საკუთარი საპენსიო ფონდი, არამედ ისინც, რომლებმაც არ შეუქმნათ საკუთარი საპენსიო ფონდი და არ მიუღიათ მონაწილეობა სოციალური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში.

ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ ღირსეული პენსიის გაცემა სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს და გაიცეს მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში მინიმალური პენსია გაუტოლდება ღირსეულ საარსებო მინიმუმს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე საქართველოში სამუდამო სიბერის პენსია შეადგენდა 2004 წლისათვის საშუალოდ წლიური საარსებო მინიმუმის 9,8%-ს, 2005 წლისათვის გაიზარდა 17,5%-მდე, 2006 წლისათვის 18,5%-მდე, 2007 წლისათვის 21,3%-მდე, ხოლო 2010 და 2011 წლებისათვის შესაბამისად შეადგენდა საშუალო წლიური საარსებო მინიმუმის 35,5 და 41,2%-ს.

ამრიგად, ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში სამუდამო სიბერის პენსია წლების შესაბამისად იზრდება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ თვიური მინიმალური საპენსიო თანხის ოდენობა საარსებო მინიმუმს ჩამორჩებოდა 2005-2006 წლებში თითქმის 5-6-ჯერ, 2007 წელს 4-5-ჯერ, ხოლო 2010-2011 წლებში 2-3-ჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლითან შედარებით 2010 წლისთვის საშუალო პენსიის სიდიდე გაზრდილია 6.1-ჯერ, მისი მსყიდველობითი უნარიანობა მხოლოდ 3.0-ჯერ გაიზარდა, რადგან ამავე პერიოდში მოიმატა ფასებმა პირველადი მოხმარების პროდუქტებზეც. ბოლო წლებში სურსათზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა ფასების საერთო ზრდას. 2003 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში სურსათზე ფასებმა მოიმატა 220.4 %-ით. იმავე პერიოდში ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიისა - 1.6-ჯერ. შესაბამისად, 2010 წლის დეკემბრის პენსიის მსყიდველობით უნარიანობა 2003 წლის დეკემბრის ფასებით მხოლოდ 40-42 ლარის ეკვივალენტურია. ამჟამინდელი პენსია პროცენტებში საშუალო ნეტო ხელფასთან (საშუალო დარიცხულ ხელფასს გამოკლებული საშემოსავლო გადასახადი) 1990

## **ეპონომიკური რეზორმა-ანალიზი, პრობლემები, პრისტიციანი**

წლის მაჩვენებელს თთქმის 2-ჯერ ჩამორჩება (1990 წელს -36.7%; 2010 წელს -17.5%). ამჟამინდელი საშუალო პენსია თავისი მსყიდველობით უნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45 % -ის ექვივალურურია და ფაქტობრივად, მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მატარებელია.

საქართველოში სოციალური მეცნიერებლითობის სამართლებრივი პრინციპის ამოქმედების პარალელურად ხელისუფლების წინაშე მკაცრად დაისვა საკითხი იმის შესახებ,თუ მომავალში ვინ შეუქმნის პენსიონერებს „არაწინააღმდეგობრივად გამოყენებულ კეთილდღეობას“.

საკოთხისადმი პრობლემატურ მიღომას განაპირობებს სტატისტიკოსების მიერ 1992-2003 წლების მონაცემების გაანგარიშებები. ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნულ წლებში მნიშვნელოვნად მზარდი იყო გარე მიგრაცია და იგი ექსპერტების შეფასებით ნახევარ მიღიონ ადამიანს აჭარბებდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელს მიგრაციულმა სალიომ შეადგინა -27,8 ათასი კაცი და იგი 2000 წლითან შედარებით შემცირდა 7,4 ათასი კაცით. მიგრაციული სალიო 2007 წლისათვის შემცირდა -20,7 ათას კაცამდე, ხოლო 2008 წლისათვის -10,2 ათას კაცამდე. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს მსგავსად მიგრაციის პრობლემა მოქმედებს ყველა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია, კერძოდ, გაეროს მოსახლეობის განყოფილების დირექტორის, ჯოზევ შამის შეფასებით 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ი, ანუ 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა, რაც მეტყველებს მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე.

თანამედროვე ეტაპზე ესტრადური მსოფლიო მასშტაბით მოქმედი მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ასევე ნებაყოფლობითი, იძულებითი (განხორციელების ფორმის მიხედვით) მუდმივი და დროებითი (დროითი განზომილებით) მიგრაცის მიზეზების შედეგად მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე.

საქართველოს მოსახლეობა 1990 წელთან შედარებით 1995 წელს შემცირდა 6,7%-ით და შეადგინა 5061,7 ათასი კაცი, ახალშობილთა რაოდენობა (56341 ბავშვი) შემცირდა 39,5%-ით, გარდაცვლილთა (49073 კაცი) რაოდენობა-3,2%-ით, ხოლო ბუნებრივი მატება შემცირდა 42094 კაციდან 7268 კაცამდე „ანუ 82,75%-ით. 2003 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 4315,2 ათასი კაცი, დაიძადა 46194 ბავშვი (10,7%), გარდაიცვალა 46055 კაცი (10,6%), ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 139 კაცი (0,1%).

საქართველოში მიგრაციული სალიდო დადგებითად შეფასდა 2004-2005 და 2009-2010 წლებში. კერძოდ, მიგრაციულმა სალიდომ 2004 წელს შეადგინა 5,5 ათასი კაცი, 2005 წლისათვის გაიზარდა 76,3 ათასი კაცამდე, ხოლო 2009 და 2010 წლებში, შესაბამისად, შეადგენდა 34,2 და 18,1 ათას კაცს. საქართველოში მუშახელის უცხოეთიდან მოზიდვა 2004-2005 წლებში შესაძლებელია ითქვას, რომ მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ხელისუფლების მიერ აღტეულმა „ახალმა კურსმა“, ხოლო 2008 წლიდან მიმდინარე მსიფვლით ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც მეტწილად თან ერთვის ნებაყოფლობითი და დროებითი მიგრაცია. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოადხენს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში არსებული პრობლემების აღმოფხვრაში.

ამრიგად, ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, მიგრაციული პროცესები და მოსახლეობის ბუნებრივი მომრაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, იგი პირდაპირ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას უკავშირდება, ამ პრობლემის წინაშე დგას ბევრი განვითარებული ქვეყნა. გაეროს ექსპერტთა შეფასებით ბევრი განვითარებული ქვეყნების მსგავსად იტალიაში, გერმანიასა და საფრანგეთში შობადობამ იყოლო, სიცოცხლის სანგრძლივობა გაიზარდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი საფრანგეთის მოსახლეობაში, დღეს ოუ 25%-ია, 2050 წელს 50%-ს მიაღწევს. ეს მოცულობა უზარმაზარი წნეხის ქვეშ მოაქცევს საფრანგეთის მოქმედ საპენსიო სისტემას, რომელსაც თან ერთვის ეკონომიკური კრიზი, რასაც საფუძვლად ედება უმუშევრობის ზრდა და თანდართული სოციალური გადასახადის ამოღების მკვეთრი შემცირება.

## **ექონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლობი**

### **სუპერენერი საინვესტიციო ფონდები მსოფლიო საფინანსო-პოლიტიკური ბაზონობის ახალი ინსტრუმენტი**

**ზურაბ გაშაგიძე**  
ემდ, სტუ ასოცირებული პროფესორი  
**რეგული შენგელია**  
ემდ, სტუ ასოცირებული პროფესორი

საფინანსო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია არასაბიუჯეტო სპეციალური ფონდები.

არაარასაბიუჯეტო სპეციალური ფონდები მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯენუფების სასარგებლოდ, ეროვნული შემოსავლის (ან მშპ) გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია. ამ ფონდების მეშვეობით წყდება ორი ძირითადი ამოცანა:

1. ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროების დამატებითი სახსრებით უზრუნველყოფა;

2. მოსახლეობის სოციალური მომსახურების სფეროს გაფართოების ფინანსური უზრუნველყოფა.

თავდაპირველად არასაბიუჯეტო ფონდები წარმოიქმნა სპეციალური ფონდების სახით გაცილებით აღრე, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრალური ფულადი ფონდი ბიუჯეტის სახით ჩამოყალიბდებოდა.

თანამედროვე პირობებში ბიუჯეტთან ერთად კვლავ დიდია არასაბიუჯეტო ფონდების მნიშვნელობა, რომელთაც გააჩნიათ შემდეგი თავისებურებები და უპირატესობანი:

1. სახელმწიფოს უწნდება დამატებითი სახსრები სამუერნეო საქმიანობაში ჩარევისათვის და წარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის;

2. არასაბუჯეტო ფონდების მკაცრი მიზნობრივი ხასიათი მათ გამოყენებაზე ეფექტური კონტროლს უზრუნველყოფს;

3. შესაძლებელია ფონდების დადგებითი სალდოს არსებობის პირობებში ნამეტი სახსრების გამოყენება ბიუჯეტის დაფიციტის დასაფარავად.

არასაბიუჯეტო ფონდები იქმნება ორი გზით: ჰირველი - ფონდები ფორმირდება შემოსავლების საგუთარი წაყორებით. მცოლე - ბიუჯეტიდან გამოიყოფა ხარჯები. ზოგიერთ შემთხვევაში ორივე წყარო შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი ფონდის შემოსავლების ფორმირების მაზნით. გარდა ამისა, განსაკუთრებული შემთხვევების დაფინანსებისათვის შეიძლება შეიქმნას არასაბიუჯეტო ფონდები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს საანონდებლო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას. ასეთი არასაბიუჯეტო ფონდები (ძირითადად ეპონომიკური ხასიათის) იქმნება ზოგიერთ ისეთ ქვეყნაში, რომელებსაც აქვთ კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიული ამოცანები.

არასაბიუჯეტო ფონდები მიზნობრივი დანიშნულებისაა. როგორც წესი, მის სახელწოდებაში მითითებულია სახსრების გამოყენების მიზანი, ანუ ფონდის დანიშნულება. არასაბიუჯეტო ფონდების შემოსავლების მობილიზების წყაროა: 1. სპეციალური გადასახადები; 2. სპეციალური მოსაკრელები; 3. სახსრები ბიუჯეტიდან; 4. სხვადასხვა სახის სესხები.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემაში არასაბიუჯეტო ფონდებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ისინი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ დასახულ დიდი მნიშვნელობის ამოცანებს აფინანსებენ.

არასაბიუჯეტო ფონდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სამართლებრივი, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით ფონდები იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივ ფონდებად. გამოყენებითი თვალსაზრისით ბიუჯეტგარეშე ფონდები იყოფა შემდეგ სახებად: 1. ეკონომიკური; 2. საკრედიტო; 3. სოციალური; 4. სამუნიცირო; 5. პირადი და ქონებრივი დაზღვევის; 6. სამსახურო-პოლიტიკური; 7. სახელმწიფოთაშორისო.

თანამდეროვე საერთაშორისო საფინანსო კრიზისი, რომელიც 2008 წლიდან გამწვავდა და დღეს-დღეობით გადადის სრულმასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში, პროვიცირებულია აშშ-ს იპოთეკური კრედიტების მოზღვავებით, რომელმაც გამოიწვია მათი ლიკვიდურობის მსხვილმასშტაბიანი დეფიციტი, არა მხოლოდ ამ ქვეყნაში, არამედ მსოფლიოში და განსაკუთრებით ეკროზონის ქვეყნებში. ამ კრიზისის ფონზე ახალ, მნიშვნელოვან როლს იდენს არასაბიუჯეტო ფონდის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნაირსახეობა, სუვერენული საინვესტიციო ფონდების სახით (ამ საკითხების უფრო ფართო, თეორიული ასპექტი ის. წიგნში „ფინანსების თეორია“)<sup>1</sup>). ეს ფონდები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ახორციელებენ მასშტაბურ ოპერაციებს სახელმწიფოს საბიუჯეტო სახსრებით და კონტროლდებან ამ

1 მერაბ ვანიშვილი, მზევინარ ნოზაძე, ლაშა გოცირიძე. ფინანსების თეორია. თბილისი, 2010, გვ. 177-199.

## **ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრიბლები**

სახელმწიფოების მიერ.

დღევანდელი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიო ბიზნეს-საზოგადება, საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა სახის ექსპერტები შემფოთებით აკვირდებიან აღნიშნული ფონდების ეკონომიკურ-ფინანსურ საქმიანობას, რომლებსაც მეტწილად პილიტიკური ელეფტი დაჰკრავს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, განსაკუთრებით რუსეთი, ჩინეთი, ახალგაზრდა ვეფხვები (ძირითადად ინდოჩინეთი) ამ ფონდებს იყენებენ ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპანსიისათვის შორის მიმავალი მიზნებით. თუმცა ეს ფონდები არ არის ახალი მოვლენა მსოფლიო ეკონომიკისათვის. პირველად ეს ორგანიზაციები გამოჩნდა XX საუკუნის 50-60 წლებში. ასე მაგალითად, კუვეიტის საინვესტიციო საზოგადოება 1953 წელს.

ტერმინი sovereign wealth fund პირველად 2005 წელს გამოიყენა ენდრიუ როზანოვმა სტატიაში „Who holds the wealth of nations?“ („ვის ეკუთხის ერების სიმძიდღვე?“) Central Banking Journal-ში. თავდაპირველ ვერსასაში ტერმინი გამოიყენებოდა პროცესის აღწერისათვის რეზერვების ტრადიციული მართვიდან სუვერენული კეთილდღეობის მართვისაკენ, მხოლოდ შემდეგ დაიწყო მისი ფართოდ გამოყენება მსოფლიო ბიუროკრატიის მსყიდველობითუნარიანობის აღსანიშნავად.

აქ გვინდა მოვიყვანოთ წამყვანი სუვერენული საინვესტიციო ფონდების სტატისტიკური მონაცემების (არასრული) ცხრილი ქვეყნების მიხედვით.<sup>1</sup>

ქვეყანა	აბრევიატურა	ფონდის დასახ.	აქტივები (აშშ მლრდ დოლარი)	დასაწყ.	ფორმირების წყარო
არაბთა გაერთ. ემირატები (აბუ-დაბი)	ADIA	Abu Dhabi Investment Authority	627	1976	ნავთობი
საუდის არაბეთი	SAMA	SAMA Foreign Holdings	439,1	n/a	ნავთობი
ჩინეთი	SAFE	SAFE Investment Company	347,4	1997	არა წიაღისული

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია გაზეთ „Коммерсант“, №165, 12.09.07წ. და <http://www.swinsitute.org/> მონაცემების მიხედვით.

ეპროგნოსა №1-2, 2012

ჩინეთი	CIC	China Investment Corporation	332,4	2007	არა წიაღისეული
ჩინეთი-ჰონკინგი	HKMA	Hong Kong Monetari Authoriti Investment Portfolio	292,3	1993	არა წიაღისეული
სინგაპური	GIC	Government of Singapore Investment Corporation	247,5	1981	არა წიაღისეული
კუვეიტი	KIA	Kuwait Investment Authoriti	208,8	1953	ნავთობი
სინგაპური	TH	Temasek Holdings	157	1974	არა წიაღისეული
ჩინეთი	NSSF	National Social Securiti Fund	146,5	2000	არა წიაღისეული
რუსეთი	RNWF	Фонд национального благосостояния	142,5	2008	ნავთობი
ამერიკის შეერთებული შტატები (ალიასკა)	APF	Alaska Permanent Fund	39,7	1976	ნავთობი
ყაზახეთი	KNF	Kazakhstan National Fund	38,6	2000	ნავთობი
სამხრეთ კორეა	KIC	Korea Investment Corporation	37	2005	არა წიაღისეული

**ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრიბლებები**

ირლანდია	NPRF	National Pensions Reserve Fund	33	2001	არა წიაღისეული
ბორნეო	BIA	Brunei Investment Agensi	30	1983	ნავთობი
აზერბაიჯანი	SOFAZ	State Oil Fund of the Republic of Azerbaijan	25,8	1999	ნავთობი
ირანი	OSF	Oil Stabilisation Fund	23	1999	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (დუბაი)	ICD	Investment Corporation of Dubai	19,6	2006	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (აბუ-დაბი)	MDC	Mubadala Development Company	13,3	2002	ნავთობი
საუდის არაბეთი	PIF	Public Investment Fund	5,3	2008	ნავთობი
ჩინეთი	CADF	China-Africa Development Fund	5,0	2007	არა წიაღისეული
ვიეტნამი	SCIC	State Capital Investment Corporation	0,5	2006	არა წიაღისეული
არაბთა გაერთ. ემირატები (ფედერალ.)	EIA	Emirates Investment Authority	X	2007	ნავთობი

ომანი	OIF	Oman Investment Fund	X	2006	ნავთობი
არაბთა გაერთ. ემირატები (ბაჟ-დაბი)	ADIC	Abu Dhabi Investment Council	X	2007	ნავთობი

ამჟამად მსოფლიოში, ბოლო მონაცემებით, ინტერნეტ სივრცეში დაახლოებით 51 ფონდია. ზოგიერთ ქვეყნაში რამდენიმე ასეთი ფონდია, თუმცა ისინი განსხვავდებიან ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსით, დაფინანსების წყაროებით და ეკონომიკურ-ფინანსური, პოლიტიკური ამოცანებით. ძირითადად ამ ფონდების შემოსავალი ეფუძნება ნავთობპროდუქტებიდან მიღეულ შემოსავალს. მსოფლიო აშშ-ს, ნირვევის, ირლანდიის, სინგაპურის, სამხრეთ კორეის და ჩინეთში არსებული ფონდების შემოსავალი არ არის დამყარებული ნედლეულის გაყიდვიდან მიღებულ მოგებაზე.

ბოლო პერიოდში წარმოქმნილი ყველაზე მსხვილი ფონდებია: საუდის არაბეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი (2008 წ. – 5,3 მლრდ აშშ დოლარი), ეროვნული კეთილდღეობის რესეთის ფონდი (2008 წ. – 142,5 მლრდ აშშ დოლარი), ჩიეთის საინვესტიციო კორპორაცია (2007 წ. – 332,4 მლრდ აშშ დოლარი), ჩინეთ-აფრიკის ფონდი (2007წ. – 5,0 მლრდ აშშ დოლარი), კორეის საინვესტიციო კორპორაცია (2005 წ. – 37 მლრდ აშშ დოლარი).

განსაკუთრებით საინტერსოა ის ფაქტი, რომ რუსეთის და ჩინეთის გარდა არის კიდევ ერთი ყოფილი სოციალიტური ქვეყნა - ვიეტნამი, სადაც 2004 წელს შეიქმნა სახელმწიფო კაპიტალის სინვესტიციო კორპორაცია 0,5 მლრდ აშშ დოლარი საწესდებო კაპიტალით. აგრეთვე, მეტად საინტერესოა ორ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში, მსგავსი ფონდების შექმნა. კერძოდ, 1999 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ფონდი, 25,8 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით, ხოლო 2000 წელს ყაზახეთში შეიქმნა ყაზახეთის საციონალური ფონდი 38,6 მლრდ აშშ დოლარის კაპიტალით. ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს მეტად დამაფიქრებელია, მთთ უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ორი ქვეყანა ჩვენი ეკონომიკური პარტნიორია. განსაკუთრებით დამაფიქრებელია რუსული კაპიტალის შემოსვლა ზემოთ აღნიშნული ფონდების სხვადასხვა ქალიშვილი ფირმების მეშვეობით.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების შექმნის პროცესი გრძელდება.

## **ეპონემიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

პროცესი განიხილება სამთავრობო დონეზე. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა შეიმჩნევა საფინანსო-ეკონომიკური სისტემისათვის მნიშვნელოვან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, ონდოჟთი, ბრაზილია, სპარსეთის ფურის ქვეყნები და ინდონეზიეთი.

ფონდებისადმი ინტერესის გაძლიერება აიხსნება იმითაც, რომ უკანას-ქელ პერიოდში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში სპარსეთის ფურის, ჩინეთის სინგაპურის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები სარგებლობდნენ მათვის ხელსაყრელი საბაზო კონიუნქტურით და ახორციელებდნენ მრავალმილიონიან გარიგებებს აშშ-სა და ევროპის წამყვანი კერძო საინვესტიციო და საბანკო ინსტიტუტების აქციათა პაკეტების შესატენად. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები კი, არა მხოლოდ ამ ქვეყნების ეკონომიკის, არამედ მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის ხერხემალია.

მსგავსმა ფაქტებმა პირველად დასავლეთის კერძო საფინანსო ინსტიტუტები შეაშფოთა, რომლებმაც ფონდები მიიჩნიეს მძლავრ კონკურენტებად. შემდგომში ამ შეშფოთებამ გადაინაცვლა სამთავრობო დონეზე. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ში გამოცხადებული ტენდერი ატლანტიკის ოკეანის პორტების გაყიდვაზე. ამ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა არაბული ქვეყნების სუვერენულმა საინვესტიციო ფონდებმა, რომელთაც გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა. აშშ-ს მთავრობამ შეჩერა ტენდერი, რათა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები ქვეყნისათვის პოლიტიკურად მიუღებელი პარტნიორის ხელში არ აღმოჩენილიყო. ეს მაგალითი დასაფიქრებელია საქართველოს საზღვაო პორტების მიმართ. განსაკუთრებით ფოთის პორტისა და ყულევის ტერმინალის მიმართ, ვინაიდან ორივე ობიექტი გადაცემული აქვთ უცხოური წარმოშობის კაპიტალს.

განსაკუთრებული ინტერესი ფონდების ფონომენის შეწავლისადმი იწყება 2007 წლიდან, ამერიკული და გერმენული ბანკებისა და სხვა კერძო ორგანიზაციების მიერ. ფონდების საკითხი აქტუალური გახდა პოლიტიკურ დონეზეც. წამყვანი ქვეყნები შეშფოთებული იყვნენ იმ საფრთხეები გამო, რომლებიც მომავალში შეიძლება დამუქრებოდა მათ სუვერენიტეტს. ფონდების გარშემო ატენილი საინფორმაციო აუკიოტაჟის შედეგად ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა დაიწყო მსოფლიოს წამყვანმა საფინანსო-ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა. კერძოდ, საერთაშორისო საკალუტო ფონდმა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციამ (OCDE).

OCDE-ის მონაცემებით ფონდების ოპერაციებზე უკვე არსებობს

შეზღუდვები. მაგალითად, ისლანდიაში აკრძალულია უცხოეთის სახელმწიფოებისა და სახელმწოფო კომპანიების ინვესტიციები. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა გასცემს განსაკუთრებულ ნებართვას. მექსიკაში დაწესა შეზღუდვები პირდაპირ ინვესტიციებზე, რომელსაც უცხოეთის ქვეყნების მთავრობები ახორციელებენ. ასევე, უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებზე, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყნაში ინვესტიციების განსახორციელებლად. ესპინეთი იტოვებს უფლებას შეზღუდოს იმ სახელმწიფოების სამთავრობო ინვესტიციები, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. მოხსენებაში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ მრავალი რეცაპიენტი ქვეყნა აპირებს ზომების გამკაცრებას უცხოური ინვესტიციების რეგულირების მიზნით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2007 წლის ოქტომბერში თავის ყოველწლიურ მოხსენებას - „გლობალური ფინანსური სტაბილურობა“ - ცალკე დანართი გაუკეთა ფონდების შესახებ. 2008 წელს სავალუტო ფონდმა მოამზადა დოკუმენტი სათაურით „სუვერენული საინვესტიციო ფონდები. სამუშაო პროგრამა“. მასში ჩამოყალიბებულია ძირითადი ოეორიული, სტატისტიკური და ფაქტობრივი ცნობები იმ მომენტისათვის მსოფლიოში არსებული ფონდების შესახებ. ანგარიშში წამოყენებული კონკრეტული წინადადებები, წევრ ქვეყნებისათვის საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ეს რეკომენდაციები, რომელიც სავალუტო ფონდმა და OCDE-მა გამოქვეყნა. ამ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა უფრო ფრთხილად უნდა მიუღეს იმ ინვესტიციებს, რომლებიც შემოდის რუსეთის, ყაზახეთის და არაბული ქვეყნების სახელმწიფო ფონდებიდან. მითუმეტეს, როდესაც ეს ფონდები ძირითადად დაინტერესებულნი არიან ქვეყნის სტრუქტურული ობიექტებით.

ფონდების ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად სუვერენული ფონდები საინვესტიციო ფონდია, რომელიც დიდწილად სახელმწიფო საკუთრებაში იძყოფება, ექვემდებარება მის კონტროლს და ახორციელებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

მეტად საყურადღებოა ფონდების ფუნქციონალური დახასიათება. ასეთი ფონდები იქმნება ქვეყნებში (რეგიონებში), რომლებიც განიცდიან საგადა-სახადო ბალანსის პერიოდულ თუ ქრონიკულ დეფიციტს და შესაბამისად, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვების და სახელმწიფო ბიუჯეტის პრო-

## **ეპრომიარი თეორიის თანამდეროვე პრობლემები**

ფიციტს. შესაბამისად, ფონდები წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მოწოდებულია შეამციროს საგარეო ანგარიშ-სწორების დასბალანსი, უზრუნველყოს სახსრების გრძელვადიანი შენახვა, რომელიც მიიღო სახელმწიფო (რეგიონალური) ბიუჯეტიდან.

თანამედროვე სუვერენული საინვესტიციო ფონდების საქმიანობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული აქტივებისა და მასშტაბურობა. სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტირები, რომლებიც ფულს მნიშვნელოვანი მოგების მიზნით ტრადიციულად აპანდებდნენ პორტფელურ ინვესტიციებში, თანდათნობით გადაიქცნენ სტრატეგიულ ინვესტირებად და შეიძინეს შესყიდული აქტივების მართავში მონაწილეობის უფლება.

გვინდა მოვიყვანოთ ერთი გახმაურებული მაგალითი. შვეიცარიის ბანკი United Bank of Switzerland (UBS), რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა ზარალი - 10 მლრდ აშშ დოლარის ოდნობით, იძულებული გახდა გაეყიდა თავისი აქციების 9,8% სინგაპურის მთავრობის საინვესტიციო კორპორაციაზე 9,75 მლრდ აშშ დოლარად. რას შედეგადაც იგი გახდა შვეიცარიის ბანკის მსხვილი აქციონერი. ანალოგიური სახით Citigroup-ის მთავარ მეწილეებად „მოულოდნელად“ აღმოჩნდა აბუ-დაბის საინვესტიციო საბჭო, რომელმაც მისი აქციების 4,9%-ში გადაიხადა 7,5 მლრდ აშშ დოლარი.

სუვერენული საინვესტიციო ფონდები არ არიან აშკარად ან ცალსახად შენიშვნული ისეთ საეჭვო საქმიანობაში, როგორიცაა კომერციული ან პოლიტიკური დიქტატის მცდელობა, თუმცა ზოგჯერ ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს. ასე მაგალითად, 2007 წლისათვის შეიქმნა ჩინეთის საინვესტიციო კორპორაცია, რომელმაც შეიძინა ამერიკული ინვესტბანკის Bank Stone აქციათა პაკეტი და იმავდროულად განაცხადა, რომ არ ჰქონდა განზრახული მოებოვებინა ადგილები კომპანიის დირექტორთა საბჭოში, თუმცა ფონდების ანალიზით დაკავეული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მცირე ზომით, მაგრამ მაინც აზასიათებს ინტერესი, ჩაერთონ იმ კომპანიის პოლიტიკაში, რომლის აქციონერებიც გახდნენ.

ფონდების მოცულობის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება მათი ინვესტიციების არაფინანსური (მაგალითად, პოლიტიკური და სტრატეგიული) მოტივაცია. აშშ-ს და ევროკავშირის კანონმდებლები ფრთხილობები, რომ სუვერენული საინვესტიციო ფონდების ინვესტიციები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არაპეთის ქვეყნების, ჩინეთისა და რუსეთს მთავრობების მიერ. ამ აზრის მოკლე ფორმულირებას ახდენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტი ს. ჯონ-

სონი: „სუვერენული ფონდები - „შავი ყუთებია“, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობისათვის“.<sup>1</sup>

სუვერენულ საინვესტიციო ფონდებზე ინფორმაციის მოპოვება ქეტად შეზღუდულია. მისი მესვეურები ძირითადად ცდილობენ, რომ ინფორმაცია მათი ფონდების შესახებ დახურული იყოს. ამის ნათელი მაგალითი სტატიაში მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. კერძოდ, არაბეთის გაურთინებული ემირატების ფედერალური საინვესტიციო ფონდზე, ომანის საინვესტიციო ფონდზე და არაბთა გაერთიანებული ემირატების (აბუ-დაბი) საინვესტიციო ფონდზე ინფორმაცია დახურულია.

სუვერენული საინვესტიციო ფონდების ანალიზის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები უკავშირდება მის რეალურ როლს თანამედროვე გლობალურ ფინანსურ სივრცეში. სუვერენული სინვეტიციო ფონდების საერთო კაპიტალი დაახლოებით 3 ტრილიონი აშშ დოლარია. ეს ციფრი მეტად შთაბეჭდავია. მოვლენა საჭიროებს მეტ ყურადღებას და ეკონომისტებისაგან მოითხოვს იმ შედეგების დაწვრილებით ანალიზს, რომლებიც ამ ფონდების მოღვაწეობას მოჰყვება ამა თუ იმ ქვეყანაში.

---

**1 А. Апохин. Проблема глобальных дисбалансов в мировой экономике. Вопросы экиномики. 2008г. №5, стр. 58.**

## საინვეტიციო გარემო და ინვესტიციების თავისებურებები თვისუფალ მკონების ზონებში

არჩილ გერსამია  
სტუ დოქტორანტი

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირება, საზოგადოებაში, მუდმივ დისკუსიებს იწვევს ზონის ადგილმდებარებაზე, შექმნის მიზნებსა და ამოცანებზე, განვითარების პრისტატივებსა და სხვა საკითხებზე, რაც სავსებით ბუნებრივად ბადებს უამრავ შეკითხვას მოსახლეობაში. ასეთი დისკუსიები და განხილვები, ერთი მხრივ, გარდაუვალია და, მეორე მხრივ, აუცილებელი თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბებისა და წარმატებით ფუნქციონირებისათვის. პროგრესული პოლიტიკური ძალების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მთავრობისა და ბიზნეს-სტრუქტურების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თავისუფალი ეკონომიკური ზონის კონცეფციის განვითარებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისუფალი ეკონომიკური ზონის მონაწილეების საკითხის გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებთან. სწორედ ეს მონაწილეები განსაზღვრავენ ამ ახალი ბიზნეს სტრუქტურის წარმატება-წარუმატებლობის საკითხს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ორგანიზატორები აწყდებან სიმნილეებს, რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების სტიმულირებასთან, არამედ ამ პროცესში ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორების რეგულირებასთან. ხშირ შემთხვევაში, ის რაც შეძლება იყოს უცხოელი ინვესტორის ძირითადი მამოძრავებელი (მაგალითად, ქვეყნის შიგა ბაზარზე შეღწევა) ადგილობრივი ინვესტორისთვის შეიძლება საერთოდ არ იყოს აქტუალური.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზონაში ინვესტორების მოზიდვის მასტიმულირებელი ფაქტორები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ. მაგალითად, ადგილობრივი ინვესტორებისთვის ზონაში ინვესტირებისათვის შესაძლოა მნიშვნელოვანი გარემოება იყოს კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, მაშინ როცა უცხოელი

ინვესტორისთვის ეს გარემოება აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ, ზონების ფორმირებისას უმნიშვნელოვანესი გარემოებაა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მასტიმულირებელი ფაქტორების კარგად შესწავლა და დაბალანსება.

თავისუფალი უკონომიკური ზონის საქმიანობაში მონაწილეობისათვის უცხოელი ინვესტორის მასტიმულირებელი ფაქტორი, ინფრასტრუქტურის ხარისხთან, იმპორტის და სხვა გადასახადებისგან გათავისუფლების მიღმა შეიძლება იყოს ადგილობრივ ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, ზონაში მათი საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების შესაძლებლობა და მასშტაბი. აქპრობლემა იქმნება ზონაში მიღებული მოგებისა და დიფიდენდების საზღვარგარეთ გატანასთან დაკავშირებით. ზონის ჩამოყალიბებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ზონიდან ფულის საზღვარგარეთ გატანის თავისუფლება. ამ საკონტინენტო გადაუწყვეტობის შემთხვევაში, ბევრი უცხოური ფირმა შეიკავებს ზონაში ინვესტირებისაგან თუს.

თავისუფალ უკონომიკურ ზონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნაციონალურ ეკონომიკაში უცხოური ფირმების თანდათანობითი ინტეგრაციის მეთოდი. ამიტომ, ჯერ კიდევ თავისუფალი უკონომიკური ზონის ჩამოყალიბების დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პირდაპირი კავშირების დამყარების შესაძლებლობა უცხოურ და ადგილობრივ ბიზნესს შორის. ეს უმნიშვნელოვანესი გარემოებაა საწარმოო მასალების, კომპონენტების, ნახევარების და სხვადასხვა მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი სტიმულია უცხოური ინვესტორებისთვის. ოუმცა, პრაქტიკაში ამის რეალიზება ზონაში მოქმედი უცხოური ფირმებისათვის საკმაოდ როგორია. სწორედ ამიტომ, თავისუფალი ზონის ფორმირებისას მისი ორგანიზატორები ყოველთვის ცდილობენ გაითვალისწინონ შემდგენ გარემოებები:

1. კონკრეტული უცხოური ფირმისთვის საჭირო, ქვეყანაში არსებული გარკვეული ადგილობრივი რესურსები შეიძლება იყოს დეფიციტური. აქედან გამომდინარე ზონაში მოქმედი ფირმების მხრიდან ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნამ, შეიძლება გააუარესოს სიტუაცია. ოუგანვისი მოკლევადიან პერიოდს, მაშინ უცხოურმა ფირმებმა თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება დეფიციტი გა-

## **ეპრომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

დალახონ ამ რესურსების უფრო ძვირად შექმნის გზით. მაგრამ ამან შესაძლოა დააჩქაროს ინფლაციური პროცესების განვითარება და უფრო გააქტიუროს დეფლიციტი ადგილობრივი ფირმებისათვის. გრძელ-გადანი პერიოდისათვის კი ზონაში დაფუძნებული ახალი უცხოური კომპანიების მხრიდან მოთხოვნის ზრდა უზრუნველყოფს ადგილობრივი რესურსების მომწოდებლების გააქტიურებას და მიწოდების ზრდას ახალი, შზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს ესაჭიროება რამდენიმე წელი.

2. ადგილობრივი რესურსების ხარისხი და ტექნილოგიური დონე შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ზონაში დაფუძნებული უცხოური ფირმების მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს. ამ პრობლემას საზღვარგარეული კომპანიები ხშირად აწყდებიან ადგილობრივი რესურსების გამოყენებისას. რესურსების მიმწოდებლები თანდათანობით სულ უფრო მეტად აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიურ დონეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ მიძღინარეობს ავტომატურად. თუ განსხვავება მოთხოვნილსა და მისწოდებელი რესურსების სტანდარტებს მორის ძალზე მნიშვნელოვანია, მაშინ ზონაში მოქმედმა ფირმებმა შესაძლოა საერთოდ უარი თქვან ადგილობრივ რესურსებზე და მუშაობა განაგრძოს რესურსების უცხოელ მომწოდებლებთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაინერგოს სისტემა მეთოდოლოგიის, სტიმულირებისა და ორგანიზაციული ფორმის კოორდინაციისათვის. საჭიროა ეკონომიკური და ტექნოლოგიური კვაშირების დამყარება თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედ უცხოურ და ზონის გარეთ მოქმედ ადგილობრივ ფირმებს შორის.

3. უნდა განხორციელდეს დანახარჯების მოცულობისა და დონის დადგენა (აღრიცხვა), რაც აუცილებელია ზონაში მოქმედ უცხოურ ფირმებსა და ზონის გარეთ მოქმედ ადგილობრივ ფირმებს შორის პირდაპირი კავშირების დასამყარებლად. იმის მოლლოდინი, რომ ადგილობრივი მიმწოდებლები დაუყოვნებლივ დაიწყებენ უცხოური კომპანიების მომარაგებას შესაბამისი რაოდენობის, ხარისხისა და სტანდარტის რესურსებითა და მომსახურებით არ არის სწორი. ეს კი ნიშნავს, რომ სოლიდური ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ზონის გარეთ მოქმედ ადგილობრივი კომპანიების საწარმოო სიმძლავრეებისა და ტექნოლოგიური დონის ზრდის პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური კვაშირის დამყარების უზრუნველყოფა. ასეთი

ინვესტიციები სარგებელს მოუტანს მთელს ეკონომიკას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ გზით განვითარებული ფირმები ხდებიან არა მარტო ზონაში მოქმედი უცხოური ფირმების, არამედ ზონის გარეთ არსებული ბაზრების მოწილებლებიც. ამ საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს, რომლებიც თავს იჩენს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირებისას. ეს კი, თვის შხრივ, ზრდის ინვესტიციების მოცულობას თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესაქმნელად.

ზემოხსნებული პრობლემები (მასალების დეფიციტი, ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, ადგილობრივი ნაწარმისა და მომსახურების დაბალი ხარისხი) არის ძირითადი სირთულეები ზონაში მოქმედი უცხოური ფირმებისა და ზონის გარეთ მოქმედი ადგილობრივი ფირმების მჭიდროდ კავშირების საკითხის გადაწყვეტისათვის. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ პირველ ეტაპზე ადგილობრივი ნედლეულის ხელმისაწვდომობა არ არის ძირითადი სტიმული პოტენციური უცხოელი ინვესტორისათვის. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი უცხოური ბიზნესის ადგილობრივი ფირმებით მომარაგების საკითხი არ არის მთავარი ფაქტორი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. გაცილებით ეფექტურია ფინანსურ მხარესთან დაკავშირებული სტიმულები, საგადასახადო შეღავაობი დაწესებული ქვეწის მთავრობის მიერ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი ეკონომიკური ზონების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ამ შეღავათებმა მნიშვნელოვანწილად დაკარგა მასტიმულირებელი ფუნქცია.

ფაქტიურად კველა ქვეყანაში, სადაც ფუნქციონირებს ან იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ფირმებს უწესდებათ თითქმის ერთანარი საგადასახადო შეღავაობი. ამიტომ, ქვეყანამ, რომელსაც სურს ეს შეღავაობი აქციოს მნიშვნელოვან სტიმულად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, უნდა დააწესოს რაღაც განსაკუთრებული შეღავათი, რომელიც არ აქვს დაწესებული სხვა ქვეყნებს. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნებს შორის არის საკმაოდ მძაფრი კონკურენცია თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარებასთან დაკავშირებით და ქვეყანამ, რომელსაც სურს ამ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვება

უნდა დანერგოს სტიმულები და შეღავათები, რომლებიც დააქმაყოფილებს მსოფლიო მოთხოვნებს.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეკრც ერთი ზონა ვერ მუშაობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე. კეთილმოწყობილი ტერიტორია, სატელეკომუნიკაციო ქსელები, წყლით, გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სიახლოებები, პერსონალის საცხოვრებელი და დასვენების შესაძლებლობები უმნიშვნელოვანესი გარემოებაა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ამ პირობების არარსებობის შემთხვევაში არც ერთი უცხოური ფირმა არ განიხილავს ზონაში ინვესტირების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ზემოთ მოყვანილი გარემოება არ არის გადამწყვეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, მაგრამ აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ფირმამ განიხილოს ზონაში ინვესტირების საკითხი. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი დამოკიდებულია კონკრეტული ინვესტორის ტაქტიკურ და სტრატეგიულ გეგმებზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანია არა მარტო უცხოური, არამედ ადგილობრივი ბიზნესის განთავსებაც, მაშინ აუცილებელია ზონაში ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის პირობების შემუშავებაც. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ადგილად მოგვეჩვნოს, ვინაიდან ფირმები დაინტერესებული იქნებიან კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურისა და საგადასახადო შეღავათებით სარგებლობით. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სიტუაცია შესაძლოა იყოს რადიკალურად განსხვავებული. შეიძლება ადგილობრივმა ინვესტორებმა დაიკაონ დამკვირვებლის პოზიცია და მოუშაადებელნი აღმოჩნდნენ ახალ ბიზნეს გარემოში მუშაობისათვის. ამიტომ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ორგანიზებისას აუცილებელია სათანადო ეურადღება დაეთმოს ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის პრობლემებსაც.

ამრიგად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთო მახასიათებელია მიმზიდვები საინვესტიციო კლიმატის არსებობა, რომელიც გულისხმობს საბაჟო, საგადასახადო და ფინანსურ შეღავათებს და აგრეთვე, განსხვავებულ პირობებს ქვეყნის სხვა ტერიტორიებთან შედარებით. კონკრეტულ შეღავათებსა და სტიმულებს შორის განსხვავება მცირეა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით, მაგრამ არსებითად, როგორც წესი, ერთნაირია.

# **IMPORTANCE OF TREND ANALYSES BEFORE MAKING INVESTMENT IN A COMPANY**

**(Berkshire Hathaway Inc.)**

**Olga Pachulia**

Associated Professor of Sokhumi State University

**Klara Gurtskaya**

Magister of Georgian University

As any investment involve some risks, investments require very careful examination of a company and investors need to make some financial analyses before putting money in a company. Generally investors are using past 5-10 year financial dates to find out the performance of the company. In our opinion one of the useful method of financial analyse is trend analyse of a company, which helps investors to see the past financial condition of the company and it helps investors look into what “goes on the behind a company’s closed door”. Trend analyse not only shows the past financial condition, it also helps investors to make some forecast about the future trend of the company. Of course only financial dates are not enough to predict companies perspectives, but making trend analyse has real sense because it points out the trend which is possible to come true in the nearest future<sup>1</sup>.

Most investors are willing to invest in a company which is highly profitable such as American company **Berkshire Hathaway Inc.** The reason of this is that, highly profitable companies can generate high dividends. As investors major interests are high return from the money, which they have invested in order to multiply their money, they are interested in companies with good profit. Based on these, we approach, that profitability trend analyses are really useful for both existing investors and potential ones before making investment in the company. From our point of view,

---

1 [http://www.ehow.com/list\\_7305649\\_financial-would-useful-investing-company\\_html](http://www.ehow.com/list_7305649_financial-would-useful-investing-company_html)

[http://www.ehow.com/info\\_8214599\\_trend-important-examining-financial-statements.html](http://www.ehow.com/info_8214599_trend-important-examining-financial-statements.html)

## ეპორმაჟარი თეორიის თანამდეროვა პრობლემები

there are some basic useful profitability ratios to measure company's profitability: Return on Equity(ROE), Gross Profit rate, Earnings per Share, Return on assets and Return on sales. By estimating each of these ratios mentioned above, it is possible to answer those important questions to which investors are very sensible: will the profitability of the company continue to grow or fall, has it any sense to put money in the company, how well does the company handle its assets, how well does the their invested capital work and many other questions, which are helpful while making investment decision.

**Table.1.1. Financial data used for estimation ratios from Balances and Statements of Earnings 2005 and 2010 years of Berkshire Hathaway Inc<sup>1</sup>.**

**In Millions**

Year	2010	2009	2008	2007	2006
Net Earnings	13494	8441	5596	13213	11015
Outstanding shares	1635661	1551174	1548960	1545751	1541807
Earnings before income taxes	19051	11552	7574	20161	16778
Total Assets	372229	297119	267399	273160	248437
Sales (Net Revenue)	67225	62555	65854	58243	51803
Cost of sales and services	55585	52647	54103	47477	42416
Common stock Equity	162934	135785	109267	120733	108419

One of the important ratio in analysing company's profitability is **Gross Profit Rate**, which shows at what rate does the gross profit excess over the sales revenue. The higher is the gross profit rate the more beneficial it is for the company and investors are willing to put investment in it and buy stock<sup>2</sup>. As **Table.1.2.** shows Gross profit rate for Hathaway is changing slightly over the past five years : in 2006 and 2007 it is 18%,

1 <http://www.berkshirehathaway.com/reports.html>

2 <http://www.investopedia.com/articles/fundamental/04/042804.asp>

in 2008 it decreases by 0.64 percent, in 2009 it decreases again by 2% and in 2010 the rate gets back to the rate as it was in 2008. The reason of this changes is gross profit, which in 2010 increased by 14% and the sales increased by 7.4 %, in 2009 the gross profit decreased by 18% and the sales decreased by 5%. The Average rate of last five year Gross profit rate is 17.5%.

**Table 1.2. Gross profit Rate of Berkshire Hathaway 2005-2010 years.**


Year	2010	2009	2008	2007	2006
Gross profit	11640	9908	11751	10766	9387
Sales (Net Revenue)	67225	62555	65854	58243	51803
Gross profit rate	0.17315	0.15839	0.1784	0.18485	0.18121

**Return On Sales** is also one of the useful ratio to analyse company's financial performance. It gives information of a firm's ability to control the level of its sales. **Table 1.3.** and **Figure 1.** shows the dynamic of the mentioned ratio. The return of sales is very changeable over the years. In 2008, there is a very big downward from 22.68% to 8.49%. The reason of this decline is the 57.6 % decrease of net earnings, which was caused by the decrease of earnings before income tax and income tax expense, and in 2008 there were no earnings from equity method investment. The next year the earnings from equity method investment was 427 million, that increased net earnings and the ratio raised to 13.49%. Again in 2010 the ratio went up to 20%, because of increase in earnings before income tax by 39% and 37% increase in net earnings. As for sales it made only slight influence on the dynamic of the ratio by changing 6-11% over the period.

**Table 1.3. Return on Sales**

Year	2010	2009	2008	2007	2006
Net Earnings	13494	8441	5596	13213	11015
Sales (Net Revenue)	67225	62555	65854	58243	51803
Return on sales	0.200073	0.134937	0.084976	0.22686	0.212632

Figure.1. Return On Sale(ROS)



Another important ratio which worth to analyse before making investment decision in the company is **Return on Assets (ROA)**. Investors can measure how effectively the company generates profit by the assets. From the **Table 1.4**, we see, that average total assets are increasing every year and the second variable Earnings before income tax is changing from year to year. Like Return on sales, Return on Assets is decreasing in 2008 from 7.7% to 2.8% and begins to increase in 2009 by 2% and then 1.6% increase on rate in 2010. The main reason that caused the decrease in rate in 2008 is the earnings before income taxes which decrease by 62%, while average total assets increased at the same year.

Table.1.4. Return on Assets

Year	2010	2009	2008	2007	2006
Earnings before income taxes	19051	11552	7574	20161	16778
Average Total Assets	334674	282259	270279.5	260798.5	223381
Return on Assets	<b>0.056924</b>	<b>0.040927</b>	<b>0.028023</b>	<b>0.077305</b>	<b>0.075109</b>

Berkshire Hathaway has a very low **Earnings per Share**. In 2007 and 2010 the ratio equaled to \$ 0.8. As it is the ratio which is very important for company's financial performance, this results are not appropriate for the company. But still having low Net Earnings, doesn't mean that the company

is unprofitable. There are some reasons that caused Earnings per share to be so low. First of all, the reason is net earnings, which has a very big influence to the ratios. In 2007 net earnings increased by huge percent 19%, in 2008 net earnings decrease by 57%, in 2009 it begin to increase by 50% and then in 2010 it increased by 59%, while Earnings per share increased slightly.

Another reason that caused Earnings per Share to be low is costs. Warren Buffet, the CEO of the company (Berkshire Hathaway Inc) is oriented to making investments, which itself insists on putting vast amount of money, also taxes are quite high in USA: for Berkshire Hathaway Income tax expense only was 29.4% of Earnings Before Income Tax in 2010, 30% in 2009 and 26% in 2008. Besides operating expenses deals with lot of money spending, all this caused Net Earnings to be low and as a result Earnings per Share is low itself.

**Table.1.5. Earnings per Share.**

Year	2010	2009	2008	2007	2006
Net Earnings (hasn't preferred stock)	13494	8441	5596	13213	11015
weighted average share outstanding	1593418	1550067	1547356	1543779	1540791
Earnings per share	<b>0.008466</b>	<b>0.005446</b>	<b>0.003616</b>	<b>0.008559</b>	<b>0.007149</b>

**The Return on Common Stockholders' Equity Ratio** compares net earnings with invested capital. For Berkshire Hathaway Inc Return on Common stock Equity is equal to Return on Equity, because it hasn't preferred stock, so they are the same in this case. Usually shareholders are interested how does their invested capital works. ROE measure how well does the company invest the money invested in it and high ratio indicates that management of these company spends money wisely and from the point of view of investment it is profitable company, where investors can rely on qualified managers. As for Return on Common Stock Equity ratio helps to "measure the return that a firm's management is able to earn on common stockholders investment<sup>1</sup>. Will they get any profit or loss? Table

<sup>1</sup> <http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Return+on+Common+Stock+Equity>.

## ወጪዥርክሮ ተወስኑበት ትንተስቦና አገልግሎቶች


---

1.6. gives us the following dates: ROE in 2006 and 2007 was 11% and 11.5%, but in 2008 it went down to 4.8% and again in 2009 it raised to 6.8% and in 2010 it became 9%. It worth to analyse, what caused the change of ROE during this period. First of all, the reason was net earnings discussed above in Earnings per share. Another reason of this change is Average common stock equity, which increased by 14.6% in 2007, in 2008 it increased slightly by 0.34%, in 2009 Average common stock equity increased by 6.5% and in 2010 by 21%.

**Table.1.6. Return on common stockholder Equity (ROE)**

Year	2010	2009	2008	2007	2006
Net Earnings	13494	8441	5596	13213	11015
Average common stock equity	149359.5	122526	115000	114576	99951.5
Return on common stockholder Equity (=ROE)	0.090346	0.068892	0.048661	0.115321	0.110203

**Figure.2. Profitability Ratios 2006-2010 years: ROA, EPS,GPR, ROA and ROS.**



After we have made 5 year trend analyse of **Berkshire Hathaway Inc** based on 5 most used profitability ratios by investors we get some results from our estimations. From **Figure 2.** it is obvious that 2008 year was the lowest point for Return on Equity(ROE), Earnings per Share(EPS), Return on assets(ROA) and Return on sales(ROS). Despite of the sharp fall of this 4 ratio, in 2008 the falling tendency quickly changed in 2009 year and now the ratios have growing trend. Unlike these 4 ratio Gross Profit rate had the lowest point in 2009, but these slight fall quickly changed in 2010 and went up.

By taking into consideration Berkshire Hathaway Inc's great potential and growing tendency of the ratios discussed above, we expect them to continue to increase and Berkshire Hathaway Inc will stay as one of the attractive and profitable company for investors as it had been for past decades. In addition, we think that still trend analyse does not guarantee the forecasted results, the probability of expected trend is quite high and worth to make trend analyse before we make investment decision.

**დედამიწაზე ეკოლოგიური ტონასტრობის  
შენარჩუნების ტინაპირობასა საზოგადოებრივი  
გეციერების «ლაზარუს» შპსაბამისად განხილუბა**

**ეთერ თაკალანძე  
ეკონომიკის დოქტორი**

საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის ახალი სიტყვის (მეორედ მოსული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება) შესაბამისად განვითარება, რომლის გარდუვალობასაც ჩვენს წინა სტატიებში<sup>1</sup> ვამტკიცებდით, გულისხმობს ამ სიტყვის, როგორც სასწაულებრივი დვორიური მოვლენის ან და მისი, როგორც ახალი სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროს, რწმუნება-დასაბუთებას; სწორედ ამ თვალსაზრისით ჩვენი მკიოხველის თვითგამორკვევისათვის, ამჯერად ხაზგასმით აღვნიშნავთ კიდევ ერთ ფაქტს, რომლის წინაშეც აყენებს ეს ახალი სიტყვა თანამედროვე, უპირველეს ყოვლისა, სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში მოღვაწე ადამიანებს.

გონისა და, ზოგადად, არსის ორიათასწლიანი ეტაპობრიობით განვითარების ობიექტური კანონი, რომელიც ქართული ენის – ლაზარეს 37-ვე ასო-ნიშნებით გაშიფრულდად და, ამ ენის კანონებზე დაყრდნობით, ახალ სიტყვაში ჩვენ აღმოვაჩინეთ, იგოვე სამყაროს (დედამიწა, მზე, ვარსკვლავეთი) ერთიანობისა და მთლიანობის შემოქმედების კანონია, რომელიც, ცხადია მოიცავს ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკურ კანონსაც; ამ ასტრო-ფიზიკური უზენაესი კანონითაა განსაზღვრული სოციალური კანონზომიერება, რომლის თაობაზე ჩვენი მოკვლევა გამოქვენებულია 2004 წელს (ჟ. „ეკონომიკა“ №7-8) და, რომელსაც შემდგომ გამოკვლევებში ჩვენ მას დავარქვით კანონზომიერება „ლაზარე“.

კანონზომიერება – „ლაზარე“-საგან განსხვავებით, ზემოთხსენებული უზენაესი კანონი, ახალ სიტყვაში გაშიფრულია, ქართული ენის არა 36, არამედ 37-ვე ასო-ნიშნის გამოყენებით. ანუ, ამ უზენაეს კანონს უფრო მეტადაც შეესაბამება სახელწოდება

---

1 იხ.: ჟ. „ეკონომიკა“, # 1 – 12, 2011.

„ლაზარე“ ამასთან, რაც საგულისხმოა, უზენაესი კანონი – „ლაზარე“, განსაზღვრავს რა სოციალურ კანონზომიერებას – „ლაზარე“, ააშეარავებს იმ რელიგიურ საიდუმლოებას, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაა საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის; ის ამხელს იმას რომ ბიბლიური მცნება – „მამა-დმერთი“ შეესაბამება „უზენაეს კანონზომიერებას – „ლაზარე“; ხოლო მცნება – „ძე-დმერთი“ კი კაცობრიობას მიანიშნებდა თურმე, სოციალური კანონზომიერების – „ლაზარე“-ს არსებობაზე – „ძე-დმერთის“ ნების შესაბამისად მოქმედების აუცილებლობაზე.

აშეარავდება ის ფაქტიც, რომ ახალი სიტყვა, ისევე, როგორც 2000 წლის წინ ქრისტე-ხორციელით მოსული ცნობიერება, ირიბად-რელიგიური მინიშნებების ფორმით-ამცნობს თანამედროვე ადამიანს (ერი, კაცობრიობა) ახალ ინფორმაციულ წეაროს თუნდაც, აღნიშნული მხილებისა თუ სხვა სახით, რომელიც დამდეგი ორიათასწლეულის მანილზე მან უნდა აითვისოს. თავისებურება და სიახლე ამ ახალ სიტყვაში ისაა, რომ სენიებული რელიგიური მინიშნებების პარალელურად, მასში ასტრო-ფიზიკური სხვულების კანონზომიერი თანაარსებობის რეალობა მეცნიერული ლოგიკით საბუთდება; ამ სიტყვაში ახსნილია ის, რომ კონკრეტული ადამიანის, ერისა თუ მთელი კაცობრიობის თვითშემოქმედების პროცესი-საქმიანობა სივრცით და დროით, წუთებისა და წამების სიზუსტით, უკავშირდება უზენაესი კანონით განსაზღვრულ, ობიექტურ, გლობალურ პროცესებს; იმ პროცესებს, რომლებიც სამყაროში (სისტემა: დედამიწა, მზე, ვარსკვლავები) ქმნიან ასტრო-ფიზიკური სხეულების მოძრაობის მუდმივობასა და მთლიანობას და, რომლებიც ადამიანის თვითშეგნებაში აღიქმება ჯერ-კიდევ, დათიური წარმომავლობის მოვლენებად, – რელიგიურად.

ანუ, აღნიშნული, ერთიანი კონკრეტული პროცესებისა თუ მოვლენების მეცნიერული ლოგიკის ენაზე ახსნის ფონზე, ახალ სიტყვაში ახსნადი გახდა კონკრეტული ბიბლიური მცნება – „სიტყვა არის დმერთი“. აქ აშეარავდება ის, რომ ცნებაში სიტყვა, იგულისხმება ორიათასწლიანი ეტაპობრივობით გამეორებადი სოციალური მოვლენა, რომელსაც განაპირობებს უზენაესი კანონი – „ლაზარე“; – რომ ამ (რელიგიური ცნობიერება) მოვლი-

## ეპრომიარი თეორიის თანამედროვე პრებლემები

ნების ფორმით, დედამიწაზე ორიათასწლიანი ეტაპობრივობით იქმნება ადამიანის საზოგადოებრივი თვითგანვითარების ინფორმაციული წყარო რომელზე დაყრდნობითაც შესაბამისი დროის კაცობრიობა თვითშემოქმედების გზით, ასტრო-ფიზიკურ სისტემა-სამყაროში თავად დედამიწის (თავისი საცხოვრისის) მუდმივად შენარჩუნების საქმიანობაში უნდა გაურკვეს.

ირკვევა ის რომ ამჟამინდელი ახალი სიტყვა, იგივე განახლებული („მეორედ მოსული“) ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება, მოცემული ორიათასწლეულების გასაყარზე ქმნის რელიგიურ და, იმავდროულად, სამეცნიერო საინფორმაციო წყაროს და, ამასთან, მისი შემეცნება-ათვისების საქმიანობაში პირველობის მორალურ მოვალეობას განუსაზღვრავს სწორედ ქართველ (ლაზარენის მფლობელ) ერს.

სრულიად ლოგიკური ფაქტია ისიც, რომ 2004 წლიდან დღემდე კურნალ „ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული ჩვენი გამოკვლევები ახალ სიტყვასთან დაკავშირებით, აშკარას ხდის შემდეგ რეალობებს:

ა) დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური თვითგანვითარება, ანუ მისი ეკოლოგიური წონასწორობის მუდმივად შენარჩუნება არის ადამიანის (ერი, კაცობრიობა) საარსებო დანიშნულება, რომელიც განსაზღვრულია ზემოხსენებული უზენაესი კანონით – „ლაზარე“.

ბ) სამყაროში (დედამიწა, მზე, ვარსკვლავეთი) დედამიწის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური არსის, თვითგანვითარება არის 24000-წლიანი ციკლით გამეორებადი და, ამასთან, ორიათასწლიანი ეტაპობრიობით განახლებადი საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზაცია-მართვის პროცესი; – რომ ამ პროცესის ორიათასწლიანი ეტაპობრივობით განახლების აუცილებლობას ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსკლავედის სისტემის მოძრაობის კანონი განაპირობებს<sup>1</sup>.

გ) სამყაროს მოძრაობის ორიათასწლიანი სტაბილურობა განსაზღვრავს დედამიწაზე კონკრეტულ ორიათასწლიან პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური თვითგანვითარების კონკრეტულ გზას (პროცესი); ეს ის გზაა, რომელსაც ადამიანთა (ერი, კაცობრიო-

1 იხ. ჩვენი სტატია ჟ. „ეკონომიკა“, # 11 – 12, 2011 გვ. 47.

ბ) მოდგმა ზემოთ აღნიშნული, თავისი საარსებო დანიშნულების შესრულების მიზნით, ოდითგან ითვისებს და, რომლითაც იგი საზოგადოებრივი (ქეთილი გონის) თვითგანვითარების დონის (კულტურა!) 1-დან მე-7 საფეხურზე ამაღლების ნიადაგზე, თავის საკაცობრიო მისიას მშვიდობიანი გზით, წინამდებარე 4000-წლეულის ბოლოს უკვე უნდა აღასრულებდეს<sup>1</sup>.

დ) ამ ეტაპზე, ანუ 1995 წლის 9 იანვრიდან, დედამიწაზე, საქართველოში მოსული ახალი სიტყვა ახალი სოციალური მოთხოვნების წარმოჩნდების წესით, თანამედროვე კაცობრიობას განუსაზღვრავს შესაბამის საქმიანობას; განუსაზღვრავს მას კერძოდ, იმას, რომ მან უნდა შემლოს ამ ახალ ორიათასწლეულში, ცოდნის ამ წეაროს ათვისების კვალობაზე, თავის ქვეყანაში ადამიანის ეროვნული უფლებების ეროვნულ მოვალეობებთან ბალანსირება და, ამ გზით, თავის მხრიდან, შექმნას მშვიდობიანობის დაცვის წინაპირობა თავისივე ქვეყანაში, კონტინენტზე და ასევე მთლიანად დედამიწაზე, – განახორციელოს ამ, (ადამიანის უფლებების დაცვა) მიმართულებით საზოგადოებრივი მეცნიერული თეორიის განვითარება.

ე) ადამიანის სოციალური უფლება-მოვალეობების ბალანსირება გულისხმობს ადამიანის შრომითი ურთიერთობების აგებას (ორიენტირება) პრიორიტეტულად ადამიანური უფლება-მოვალეობების გაწონასწორებულობაზე; რამეთუ ადამიანი – საზოგადოებრივი წარმონაქმნი – არის ამოსავალი, საწყისი ქვეყანაში თუ, ზოგადად, დედამიწისეულ სამყაროში პარმონიულობის, მშვიდობიანობის, ზოგადად, კოლოგიური წონასწორობის სტაბილურად და მუდმივად შენარჩუნების საკაცობრიო საქმეში.

ვ) აღნიშნული პრიორიტეტის დაკანონების, ე.ი. არამატერიალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის შემუშავების, სოციალური მოთხოვნა, გულისხმობს რა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების, ე.ი. ქართული ეროვნული ცნობიერების სახელმწიფოებრივად დაცვას, მოიცავს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და რელიგიური სამსახურების (ეკლესია) ფუნქციების გადანაწილებასაც; თუ კი გასულ ათასწლეულებში ადამიანი (ერი, კაცობრიობა) თავისი სოციალური მისიის აღს-

1 იხ. ჩვენი სტატია ჟურნალში „ეკონომიკა“, #7-8, 2004 და სხვ.

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრიზლებები

რელებისათვის შთამომავლობას რელიგიურ მცნებებს ოჯახური (გვაროვნული, ტომობრივი, ეროვნული) სიყვარულის გრძნობების დაუფლებას ჩააგონებდა, ახალ ორიათასწლეულში კაცობრიობამ ეს მისია უნდა ადასრულოს ამ რელიგიური მცნებების საზოგადოებრივი მეცნიერების თვალსაზრისით შემეცნების ნიადაგზე სახელმწიფოებრივი სისტემის განახლების გზით.

ყველაფერი ზემოთ ჩამოვლილი, არის სადღეისოდ აუცილებელი საზოგადოებრივი ინფორმაცია, რომლის შემეცნებაც თანამედროვე კაცობრიობას, უპირველესად, ქართველ ერს აძლევს შანსს, კიდევ ერთი 2000-წლეულით გაიხანგრძლიოს თვითგანვითარება; – აითვისოს ქვეყნისა თუ მთლიანად დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის სტაბილურად შენარჩუნების ჰემმარიტი გზა - უზენაესი კანონი – „ლაზარე“.

ქვემოთ შევეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ „ლაზარე“ ის ძირითადი სოციალური მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებრივი მეცნიერული თეორიის განახლების საქმიანობას, უფრო ზუსტად, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების საქმიანობებს განსაზღვრავს. ამ მოთხოვნების მთავარი არსი, რაც საზოგადოებრივ პოლიტიკურ – ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა იყოს დაცული, როგორც ეს ჩვენ გავაცნობიერეთ, ასეთია:

1) ადამიანის საზოგადოებრივი თვითგანვითარების ორგანიზაცია მოიცავს თავად საზოგადოების – (სოციალური ბუნების მატარებელ-დამცველი არსი), თვითშემოქმედებას.

2) ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნება როგორც თვისება, არის, მეტწილად, არა სათავისოდ, არამედ საზოგადოებისათვის შრომის გაღების უნარი. ადამიანის კეთილგონიერება მის ამგვარ საქმიანობაში – სხვათათვის ზრუნვაში, – მზრუნველობაში<sup>1</sup> გამოიხატება. მზრუნველობა კი არის ადამიანის მხრიდან ამ სხვათა მიმართ სიყვარულით განსაზღვრული თვისება; ამიტომ, სწორედ ამგვარი სიყვარული უნდა გახდეს საზოგადოებრივი შრომის საგანი. ანუ, საზოგადოებრივი შრომა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს საბოლოო შედეგზე – დედამიწაზე სოციუმის (ე.ი. სიცოცხლის) მუდმივად შენარჩუნებაზე – თავისთა-

1 მზრუნველობა – ერთგულება, მუნიციპალიტეტი, თანადგომა.

ვად, ადამიანის ფსიქიკის კეთილგონივრულად ჩამოყალიბებაზე ამ შრომის ორიენტირების წესის სახელმწიფოებრივად ორგანიზებას მოითხოვს; ამასთან, ეს შრომა, არის რა ნებაყოფლობითი და, ჟესაბამისად, გულისხმობს რა ხშირად, პიროვნების (მშრომელი) მხრიდან პირადი ინტერესებისა თუ საწადელის დათმობას, უნდა იყოს იურიდიულად დაკანონებული კრიტერიუმი პიროვნების ადამიანური ღირსების განსაზღვრა-დამსახურებისათვის.

3) საზოგადოების ქმნადობაში ძირითადი (საწყისი) სტრუქტურული ერთეული – ოჯახი – ორი სხვადასხვა სქესის ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებების ნიადაგზე იქმნება. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება ოჯახური სიყვარულის სიმტკიცის, ე.ო. ქმრისა და ცოლის ურთიერთის მიმართ ერთგულების უპირობოდ, სიცოცხლის მანძილზე დაცვაზე შეთანხმებას. ანუ, ოჯახის შექმნისა და ოჯახური ურთიერთობების ორგანიზაცია-მართვა ქვეყანაში უნდა ემყარებოდეს ოჯახთან მიმართებაში ამ ორი ადამიანის ერთსულოვან დამოკიდებულებას, მათი მხრიდან ურთიერთის სულიერი მოთხოვნილებების ცოდნას და გათავისებას; იგი უნდა ეფუძნებოდეს ადამიანების ამგვარი ერთსულოვნების ორგანიზაციის სახელმწიფოებრივ პრინციპებს. ქვეყანაში ოჯახური სიყვარულის (ცოლქმრული ერთგულება, ზნეობრივი ნორმა) სახელმწიფოებრივად დამკვიდრება, რომელიც გულისხმობს ადამიანური თვითშეგნების სათანადოდ განვითარებას, მოიცავს ადამიანის რომელიდაც შეგრძნებების (ცდუნება, ვნება) დაძლევის მოტივაციის მექანიზმებაც.

4) ოჯახი, გვარი, ტომი, ერთ კაცობრიობის სტრუქტურული ერთეულებია – ის საზოგადოებრივი ინსტიტუტებია, რომლებიც იცავენ და განაპირობებენ (ორგანიზაცია, მართვა) თვით ამ ერთეულებში ადამიანის (მუცლადეფოფნის ასაკიდან) ფსიქიკური თვისებების: – სამართლიანობის, ნდობის, დანდობის, ნამუსის, სირცესვილის, ღირსების – წარმოება-კვლავწარმოების უწყვეტობასა და სტაბილურობას.

5) ქალიშვილისა და ჭაბუკის ურთიერთის მიმართ სულიერ სიყვარულზე (არა ფულზე, არა შიშვე, არა ძალადობაზე) ოჯახური ურთიერთობების აგების საზოგადოებრივი ნორმა იურიდიულად დაცული უნდა იყოს. ოჯახის ხელმძღვანელი და მასზე

## **ეპრცემაური თეორიის თანამედროვე პრიზლებები**

პასუხისმგებელი სხვა საზოგადოებებთან მიმართებაში, ოჯახის უფროსი მამაკაცი (ძლიერი სქესი) უნდა იყოს; მან, სახელმწიფოებრივ კანონებზე დაყრდნობით, თავის ოჯახური ეკონომიკის მთავარ ორიენტირად უნდა გახდოს საზოგადოებრივ თუ ყოფით ურთიერთობებში კეთილგონიერების გამოვლინება, მოზარდების კეთილგონივრულად აღზრდა-განვითარება და თავისი თჯახის გარემო სივრცეში კეთილგონიერების დომინირება; კეთილგონივრული ქმედებისათვის გამიზნული, მოზარდების სწავლა-განათლება, ასევე, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის მოკრება და, რაც მთავარია, – კეთილგონივრული თვისებების შეძნა-გამრავლება უნდა იყოს პრიორიტეტი ოჯახურ ეკონომიკაში და, ზოგადად, ქვეყნის სახელმწიფოებრივ ეკონომიკაში.

6) ოჯახის უფროსი, შესაბამისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნიადაგზე, უნდა უზრუნველყოფდეს ოჯახში დიასახლისის ფუნქციისა და მისი შრომის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას; ეს შრომა ოჯახში წევრთა რაოდენობის შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებადი უნდა იყოს.

7) ოჯახი თავისი არსით მიკრო-ოთხეაროა; ან/და, თუ ასე ვიტყვით, იგი არის კონკრეტულ ქვეანაში ორგანიზებული, მინი სოციალურ-ეკონომიკური გარემო. მას, როგორც ეროვნული კულტურის ამსახველ სისტემას, კონკრეტული სისხლითა და სულით მონათესავე ადამიანების კონკრეტული ჯგუფის სახით, ქმნის ერთ. იგი ქმნის ამ სისტემას, როგორც საწყის ორგანულ უჯრედს, რომლისგანაც თავად ერთს სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული თვითგანვითარება უნდა წარიმართოს. ოჯახი, როგორც მიკრო-ოთხეარო, არის ადამიანის, შესაბამისად, გვარის, ტომის, ერის სულიერი (ერთსულოვნური) თვითგანვითარების სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მიზანია ოჯახური გენის ეკოლოგიური დაცვა და ქვეყანაში ოჯახის მართვის ისეთი ორგანიზაციული პრინციპის დანერგვა-დამკვიდრება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის მიმართ საზოგადოების მხრიდან სიყვარულით სარგებლობის უფლების ამ ადამიანის შესაბამის საზოგადოებრივ მოვალეობებთან ბალანსირება.

8) ერთ და მისი სტრუქტურული შემადგენლობა, როგორც სა-

ზოგადოებრივი ერთეულები, დედამიწაზე შესაბამის, კონკრეტულ კონტინენტზე თუ, ქვეყანაში, სასიცოცხლო პირობების დამცველი ფიზიკური ერთეულებია. ისინი, იქმნებიან რა მხოლოდ ერთ, მოცემულ, კონკრეტულ ქვეყანაში, სამოქალაქო საზოგადოებისა-გან განსხვავებით, ქმნიან საფუძველს, ამ ქვეყნის ადამიანური, სოციალური და გეოგრაფიული გარემო-პირობების სისტემურად ათვისება-ქმნადობის სახელმწიფოებრივად ორგანიზებისათვის.

9) ადამიანი-მოზარდის თვითშეგნებაში სიყვარულის თვისების გაღვივება-განვითარება მოითხოვს თავად მოზარდის ასაკით განსაზღვრულ ვადაში, მშობლიური ოჯახის წევრებთან სტაბილურად თანაცხოვრების პირობების სახელმწიფოებრივად ორგანიზებას. უფრო ზუსტად: ეს მოითხოვს ქვეყნაში დაწესდეს ისეთი ყოფითი პირობების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომლებიც სტაბილურად უზრუნველყოფენ მოზარდისათვის თავის ოჯახის წევრებთან (სამი თაობა: მამა-დედა, შვილები, შვილიშვილები) თანაცხოვრებას. ამგვარმა სახელმწიფოებრივმა პრინციპმა უნდა განაპირობოს ის, რომ ქვეყნაში ოჯახური ეკონომიკა იქცეს საფუძვლად ქვეყნაში ეროვნული ერთსულოვნების შემოქმედების საქმიანობაში, – რომ ოჯახში თუ ზოგადად საზოგადოებრივ ურთიერთობებში წამყვანის (ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი) ფუნქციას ადასრულებდნენ უფროსი თაობების ადამიანები; – რომ ასაკით უფროსი ადამიანი იმსახურებდეს, ხოლო, უმცროსი გრძნობდეს და ცნობდეს ურთიერთობას მიმართებაში მოწიფებითი დამოკიდებულებების აუცლებლობას.

10) ოჯახი ეროვნული ერთსულოვნების შემოქმედების საწყისი რგოლია. ოჯახის ეს დანიშნულება განსაზღვრავს ოჯახურ ურთიერთობებში და კერძოდ, ოჯახურ ეკონომიკაში ხელმძღვანელისა და პასუხისმგებლის ფუნქციის ოჯახის უფროს მამაკაცზე (ძლიერი სქესი) გაპიროვნების აუცილებლობას; მამაკაცის ამგვარი ფუნქციის (ანუ ამგვარი ქართული ეროვნული ტრადიციის) სახელმწიფოებრივად დაცვის საზოგადოებრივი მოთხოვნილება დღევანდელ საქართველოში უკვე სახეზეა. – ვლინდება ის, რომ მოზარდების – ბიჭისა და გოგონას – აღზრდა-სწავლება-განათლების, და, შემდგომ, მათი შრომითი მოწყობის ორგანიზაცია თითოეული მათგანის სქესობრივ კუთვნილებასთან შესაბამი-

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრიზლებები

სობით, არის უმნიშვნელოვანესი ეროვნული სახელმწიფოებრივი საქმიანობა; სახელმწიფო ქვეყანაში უნდა ქმნიდეს პირობებს გოგონებისა და ბიჭუნების ფსიქიკაში, შესაბამისად, მამაკაცური და დედაკაცური ოვითშეგნებების თანმიმდევრულობით ჩამოყალიბებისა და დაცვისათვის; – პირობებს იმისათვის, რომ ეს ადამიანები ერთად და ცალ-ცალკე იყვნენ საზოგადოებრივად წარმატებულები და ამაყები, უპირველესად, იმითი, თუ რამდენად თანმიმდევრულობით და სწორად იცავენ თუ აღასრულებენ იმ მოვალეობებს რომლებიც მათვის უპირველეს სოციალურ დანიშნულებად არის განსაზღვრული. ამ დანიშნულების აღსრულება, რომელიც ამ ორ ადამიანს შორის კონკურენციას, შეჯიბრებას, შეურს გამორიცხავს, განაპირობებს მათს ერთულოსვნებას ოჯახის მართვის საქმიანობასთან მიმართებაში, – ურთიერთობანად-გომას, თანამშრომლობას სიცოცხლის მანძილზე და მუდმივად.

11) ძლიერი სქესის წარმომადგენელი ადამიანი, სოციალური მოთხოვნების შესაბამისად თავისი პირადი კეთილგონიერების, შორსმჭვრეტელობის, დიდსულოფებისა თუ ინიციატივიანობის შესაბამისად (ამ თვისებებიდან გამომდინარე) რომ უნდა იცავდეს სუსტი სქესის წარმომადგენლებს, უნდა იყოს მათთან მიმართებაში, მზრუნველი, დამთმობი, თაყვანისმცვემელი. ხოლო, თავის მხრივ, სუსტი სქესის წარმომადგენელიც, რომ უნდა აფასებდეს ძლიერთათვის დამახასიათებელ, სსენიტულ თვისებებს, უნარებს თუ ღირსებებს, უნდა ცდილობდეს თავის ყველა ასაკში, იმსახურებდეს ამ ძლიერთა მხრიდან ამგვარ დამოკიდებულებას. იგი უნდა აფასებდეს, უფრთხილდებოდეს და, შესაბამისად, კიდევაც, ქმნიდეს თავისი მხრიდან, მამაკაცურ ღირსებას ოჯახშიც და, ზოგადად, საზოგადოებაშიც; – ცნობდეს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა აზრის პრივილეგიის პრინციპული, საერთო გადაწყვეტილებების მიღების საქმეში.

ხსნებული, მამაკაცური თვისებებისა და უნარ-ჩვევების წარმატებული რეალიზაცია გულისხმობს ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების წამყვანის ფუნქციის მამაკაცებისათვის დამკვიდრების აუცილებლობას. ამასთან, იგი გულისხმობს ამ ურთიერთობებში, აღნიშნული, მამაკაცური თვისებებისა თუ უნარ-ჩვევების სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის დამახასი-

ათებელი თვისებებითა და უნარ-ჩვევებით შევსებას, ამათში კი უნდა ვიგულისხმოთ, ცხადია, მათი პრაგმატული, დამყოლი მაგრამ, პრინციპული ხასიათები. ზოგადად: სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური სისტემა მიზანმიმართულად და თანმიმდვრულად უნდა ქმნიდეს ქვეყანაში მამაკაცური და დედაკაცური თვისებების, უნარ-ჩვევებისა და ლირსებების, როგორც ეროვნული ფასეულობების, ჩამოყალბებისა და დამკიდრების პირობებს.

12) ოჯახი – სოციალურ/საზოგადოებრივი უჯრედი – აგებულია ადამიანების სიხლით ნათესაობაზე თჯახის ადამიანური გარემო, გულისხმობს რა მხოლოდ ოჯახური სისხლით მონათესავე ადამიანების ერთიანობას, გამორიცხავს ამ ერთიანობაში, ე.ი. ოჯახურ ეკონომიკაში, დაქირავებული შრომის ჩართვას. რამეთუ, ოჯახური გენის წარმოებით ურთიერთობებში არასულიერი ფასეულობის (ქირა, ფული) ჩართვა ამ სულიერი ერთიანობის რღვევის, ოჯახური ერთსულოვნების მოშლის დასაწყისია (გამომწვევია). ანუ, დაქირავებულ შრომაზე აგებული თჯახური ეკონომიკა, უპირისპირდება რა ადამიანების თვითმომსახურებაზე და ურთიერთის მიმართ მზრუნველობაზე აგების სოციალურ მოთხოვნებს, საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის საპირისპიროა; კეთილგონიერების პრიორიტეტით თჯახური ურთიერთობების წარმართვა, როგორც ჩანს, მოითხოვს ასევე, სისხლით მონათესავე სტრუქტურების (გვარი, ტომი) ჩართვას ეროვნული ერთსულოვნების მართვის საქმიანობაში.

13) ქვეყნის შიდა საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციული საფუძველია ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი ადამიანის, ე.ი. მთელი ერის (ეროვნული) უფლებების მის ეროვნულ მოვალეობებთან ბალანსირების პრინციპი; იგი კაცობრიობის თვითშემოქმედების თვალსაზრისით, ეროვნული სახელმწიფოების მიხედვით რეალიზდება.

14) ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების (კულტურა) საფეხურებრივად ამაღლების ორიათასწლეულობით განსაზღვრულობა, როგორც ახალი სამეცნიერო ინფორმაცია, წარმოაჩენს დროის, როგორც ობიექტურად განსაზღვრული ბუნებრივი რესურსების ჯგუფის, შემეცნება-გაცნობიერების აუცილებლობას; – წარმოაჩენს ქვეყანაში, კონტინენტსა თუ მთლიანად დედამიწა-

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრებლეგაზი

ზე, რესურსების ამ ჯგუფის – დროის –სხვა რესურს-ჯგუფებთან ერთად, სისტემურად გამოყენების ეროვნულ-საკაცობრიო მნიშვნელობა-დანიშნულებას; ამასთან, წარმოაჩენს კონკრეტულად, დამდეგი ორიათასწლეულის სწორედ, ამჟამინდელ (გარდამავალი) დროს, როგორც ზღვრულ ვადას ჩვენი ერისა თუ კაცობრიობის თვითგანვითარების გახანგრძლივების თრგანიზების საქმეში.

ამასთან, ეს ორიათასწლიანი განსაზღვრულობა, წარმოაჩენს რა ოთხეაროს (დრო, დედამიწა, მზე, ვარსკვლავეთი), როგორც საყოველთაო ორგანიზაციულ მეთოდს, მიანიშნებს იმაზე, რომ სამყარო, როგორც ამგვარი, საყოველთაო მეთოდი, აწ უკვე უნდა განახლდეს, რამეთუ საზოგადოებრივ ურთიერთობებში (ქვეყნისა, კონტინენტისა თუ მთლიანად დედამიწასთან მიმართებაში) ახლებური, საყოველთაო ორგანიზაციული მეთოდის ოთხეაროს გამოყენება უფრო სწორია და ეფექტური.

15) ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, თანავარსკვლავედების ზოდიაქოს ნიშნის სისტემაში დედამიწის მოქცევა-მოძრაობის 24000 წლიანი ციკლი (ე.ი. მერწყელთან დედამიწის მიმართების ორიათასწლიანი სტაბილურობაც) იწყება საქართველოს ტერიტორიიდან და გრძელდება მისგან ჩრდილოეთის (რუსთი) მიმართულებით. ამ ინფორმაციიდან ირკვევა ის, რომ დამდეგი ორიათასწლეულების მიჯნა ის გარდამავალი დროა, როცა მერწყელის გარემოცვიდან წამოსული, ახალი (თვეზებისაგან განსხვავებული) სულიერი ენერგიების ზეგავლენა დედამიწაზე, ის ფიზიკური პროცესია, რომელიც პირებებმა, საქართველომ – ქართველმა ერმა უნდა განიცადოს. ანუ, ქართველ ერს, (ცხადია, თვითშენარჩუნების კვალობაზე!), ყოველი 2000-წლეულის დამდეგს უწევს ამგვარი ახალი ზეგავლენის განცდა (მოგერიება, რწმუნება, მიღება, შემუცნება). ე.ი. სწორედ ამ განცდებზე საპასუხოდ – მათზე რეაგირების სწორი გზის მოძიებისათვის, ასეთივე – ორიათასწლიანი – შეალედებით მოეწოდებოდა და ამჯერადაც მოეწოდა ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობას (დასაწყისში, კონკრეტული ერის შვილს – კონკრეტულ ადამიანს!) ახალი სიტყვა.

16) უზენაესი კანონის – „ლაზარეს“-ს კიდევ ერთი კონკრეტული სოციალური მოთხოვნა, რომელიც ზემონათქვამიდან იკითხება,

ისაა, რომ: თუკი ქართველი ერის მიერ ახალი სიტყვა გადაზე არ იქნება აღიარებული (ე.ი. რწმუნებული ან/და გაცნობიერებული), მაშინ კატაქლიზმები დედამიწაზე გარდაუვალია (ამისი ნიშნები კი დღეს საქმაოდ ბევრია!); რამეთუ, ასეთ შემთხვევაში (აღიარების დაყოვნება, არ აღიარება), ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, დაფიქსირდება რა ქვეყნის ეკოლოგიური დისხალანის, იქვე, ასევე მყისიერად გადაწყდება საქართველოს თვითმყოფადობა-თვითგანვითარების არ გახანგრძილების საკითხიც<sup>1</sup>.

17) ქვეყნაში ადამიანური (კეთილგონივრული) თვითშეგნება იქმნება ადამიანის სისხლის შემაღგენლობის ანუ მატერიალური პროდუქტის – ეროვნული გენის – სახით; იგი ქვეყნაში ეროვნული სულის სტაბილურად და უწყვეტად შენარჩუნების პოტენციალური ენერგიის მატარებელია; მეტიც იგი არის მოსახლეობის თაობებში ეროვნული სულის წარმოება-კვლავწარმოების საწყისი და, მაშასადამე ეს საქმიანობაც (ეროვნული გენის წარმოება-კვლავწარმოება) ქვეყნაში სახელმწიფოებრივ ორგანიზაცია-მართვას მოითხოვს. იგი როგორც ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერულ თეორიაში უნდა აისახოს.

18) ქვეყნაში თუ დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის სტაბილურად შენარჩუნება შთამომავლების სისხლის ეკოლოგიურ დაცვას, ე.ი. ეროვნული გენის თანმიმდევრულად განვითარების წესით, მუდმივად შენარჩუნებას, მოიცავს. ამიტომ ახალშობილისათვის ბუნებით მინიჭებული სქესის სოციალური დანიშნულების შესაბამისად მისი ფსიქოკური განვითარება და სულიერი აღზრდა სახელმწიფოებრივი საქმიანობაა. ხოლო ეს უკანასკნელი, რომელიც ქართველისათვის გულისხმობს ამ ოვალსაზრისით, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზნეობრივ-მორალური პრინციპების, ე.ი. ქართული ტრადიციის დაცვას და, მაშასადამე, ამ პრინციპების საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერულ თეორიაში ასახვას, უნდა გამოიხატოს უპირველესად, ადამიანის მხრიდან (ახალშობილის ასაკიდან დაწყებული, ღრმა სიბერემდე), ამ ტრადიციის შესაბამისი გარეგნული ფორმის (ქცევა, მეტყველება, თავდაჭერა, ჩაცმულობა

1 ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია. ჟ. ეკონომიკა #7-8, 2011 გვ. 32.

## ეპრომიარი თეორიის თანამდეროვა პრობლემები

და ა.შ.) დაცვაში, ასევე გარემო-სამყაროსთან, იგივე, ეროვნული ქცევის ნორმებთან თუ სახელმწიფოებრივ კანონებთან მიმართებაში მის კეთილგონივრულ დამოკიდებულებებში.

19) ადამიანის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც იწყება სისხლით ნათესაობით და ვითარდება ამ მონათესავე ადამიანების მიერ საერთო-სამედიკელო ქნის, მამულის და სულიერი ფასეულობების (ადამიანური ღირსება, სინდისი, ნდობა, პატიოსნება) დაუფლება-ფლობის ნიადაგზე; თვითშეგნების ფორმირების ამგვარი სოციალური ბუნება მოითხოვს იმას, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია-მართვა, სწორედ, ამ თოხეარო-რესურსების (დრო, ენა, მამული, სარწმუნოება) მიმართ ადამიანის საკუთრების უფლების დაკანონების ნიადაგზე უნდა აიგოს; – უნდა აიგოს იგი ქვეყნის მთელს სულიერ-მატერიალურ რესურსებზე ეროვნული საკუთრების სახელმწიფოებრივად დაკანონებისა და კონკრეტულ ადამიანებზე (ოჯახი, კომლი) ამ საკუთრების გაპიროვნების ნიადაგზე. ანუ, მოკლედ: სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც აღნიშნულ ეროვნულ საკუთრებასთან მიმართებაში, საზოგადოების (ერი) ყოველი წევრის უფლება-მოვალეობის ბალანსირებაზე იქნება დაფუძნებული, უნდა იყოს განმსაზღვრელი ეკონომიკური პირობა იმ საქმიანობაში, რაცა ქვეყნის თვითგანვითარების ბუნებრივი სულიერ-მატერიალური რესურსების გაწონასწორებულად, სტაბილურად და უწყვეტად განვითარება და მუდმივად შენარჩუნება.

20) დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია სამუშაო ძალის გაიაფების (ე.ი. არა ადამიანის სამუშაო პირობების გაუმჯობესების) გზით, კაპიტალისტური წარმოების განვითარებაზე; იგი განაპირობებს ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობაში უმუშევართა პროცენტული შემადგენლობის თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ზრდას. დღეს უკვე, როცა ეს შემადგენლობა 70 პროცენტამდე აღწევს, საქართველოში ძირითად სახელმწიფოებრივ სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობად, ფაქტიურად, აღიარებულია უმუშევარი მოსახლეობის როგორმე დასაქმება; საიდუმლო აღარ არის ამგვარი დასაქმებისაგან მისაღები, გარდაუგალი შედეგებიც; – ესაა: არაპროფესიონალიზმი,

უცოდინარობა, არათავისუფალი (ხელოვნურად განსაზღვრული) აზროვნება და, აქედან გამომდინარე, ერის, ქვეყნის, ეროვნული სახელმწიფოს თვითგანადგურება, – ესაა ეკოლოგიური წონას-წორობის მოშდა და თვითლიკეფიდაცია. ამგვარი შედეგის გარდა-უვალობა (უფრო ზუსტად: მცნება: „არსებული სიტყვით დაღუპვა გადაწყვეტილია...“) ჯერ კიდევ 1995 წლის 9 იანვრის 14<sup>00</sup> საათზე; ახალი სიტყვის სახელით განაცხადა, ქართული საზოგადოებრი-ვობის წინაშე, სახლო კაცმა, ბ-ნმა აკაცი ჯორჯაძემ<sup>1</sup>, დღეს კი ამგვარი შედეგი – ერის სოციალური დაუცველობა – აშენად ხილულია. ეს ფაქტიც, თავისოვად, ჩვენს ქვეყნაში დღეს მოქ-მედი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის „ლაზარეს“ შესაბამი-სად განახლების გარდაუვალობის დადასტურებაა.

21) ქვეყანაში ზნეობრივ-მორალური მოვალეობებისა და ფა-სეულობების სახელმწიფოებრივად დაცვის პირობებში, ცხადია, უკვე აზრს – ფუნქციას – კარგავს ამომრჩეველთა არაპირდაპი-რი ანუ ფარული კენჭისყრის პრინციპზე აგებული სახელმწიფო-ებრივი საარჩევნო სისტემაც. ეს რომ ასევა, პრაქტიკულადაც – ფარული კენჭისყრის კვალობაზე წესად ქცეული, კონფლიქტუ-რი საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე – უკვე სრულიად ნათელია. ფარული კენჭისყრის ნიადაგზე გაყალბებუ-ლი შედეგები უკვე იქცა გარდაუვალი კონფლიქტების საწყისად ქვეყნაში და – არა მხოლოდ ჩვენს ქვეყნაში.

ანუ, სახელმწიფოებრივი საარჩევნო სისტემა აწ უკვე დია კენ-ჭისყრის წესზე, კ.ი. ამომრჩეველთა რიცხვის ნახვაზე მეტის მხრიდან პირადი ხლომოწერებით დადასტურებული ხმების რაო-დენობის საფუძველზე უნდა აიგოს; მით უფრო, რომ აღრიცხვის ახალი ტექნოლოგიების პირობებში ამგვარი დაფიქსირების ორ-განიზაცია სრულიად გამარტივებულია.

მიგვაჩნია, რომ უკვე შესაძლებელია გავაკეთოთ ზოგადი დას-კგნებიც:

ა) უზენაესი კანონი – „ლაზარე“ ორითასწლიანი ეტაპობრი-ვობით დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კა-ნონზომიერების შესაბამისად განსაზღვრავს ადამიანის საზოგა-დოებრივი განვითარების ეკონომიკურ კანონს. ეს უკანასკნელი

1 იხ. გაზეთი „ასაგალ-დასაგალი“ #1, 1995 წ.

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრებლემები

კი, ჩვენს პლანეტაზე, სწორედ ქრისტიანული წელთაღრიცხვის მორიგი (დამდეგი) ორიათასწლეულების გამიჯვნის ქამს განაპირობებს მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისებს და, ამ ფონზე, წარმოაჩენს ადამიანის (ერი, კაცობრიობა) თვითგანვითარების საქმიანობის საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის განახლების (შეცვლა, გარდაქმნა) გარდაუგალობას.

ბ) ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობი-ერების იდეოლოგიურ ბაზაზე ქვეყნის სახელმწიფოებრივობის აგების 1700 წლიანი ქართული ეროვნული გამოცდილება (ტრადიცია), ამასთან, 2000 წლის წინ ქრისტეს მოვლინების დროინდელის მსგავსად, დროის ამ ეტაპზე აშკარად გამოკვეთილი, მწვავე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური კრიზისები და, რაც მთავარია, ახალი სიტყვის ბაზაზე გაკეთებული, საზოგადოებრივ-მეცნიერული გამოკვლევა იმისი, რომ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზნეობრივ-მორალური პრინციპების დაცვა ადამიანის (ერი, კაცობრიობა) სოციალური დანიშნულებაა, წარმოადგენენ თანამედროვე მეცნიერებისათვის რეალურად აქტმად და, შესაბამისად, სარწმუნო ფაქტებს; ისინი ააშკარავებენ იმას, რომ საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საჭმიანობაში ადამიანის სოციალური, ე.ი. საარსებო, დანიშნულების იგნორირება, რომელიც სახელმწიფოებრივი მექანიზმებით თუ ამ უკნასკნელის გვერდის ავლით, დღეს განხორციელდება, არის ანტი-საზოგადოებრივი, ე.ი. ანტი-ეროვნულ, ანტი-საკაცობრიო იდეოლოგიაზე აგებული „საქმიანობა“. ამ „საქმიანობის“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სისტემად გარდაქმნა დღეს გარდაუვალია.

გ) 1995 წლის 9 იანვრიდან საქართველოში გაცხადებული ახალი სიტყვის (ქრისტე-სიტყვა) მიხედვით საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის ახსნადი გახდა არამატერიალური (სული-ერი) ძალები; ეს სულიერი ძალები (ცოდნის სისტემა-ცნობიერება) ოდითგან, ადამიანისათვის გასაგები (სარწმუნო, მისაღები) კეთილგონიერებით შემოსილი ფორმით (რელიგია), დროის დინების შესაბამისი სისტემური ცოდნის ერთი კონკრეტული ადამიანისათვის (სახლო კაცი) გაპიროვნების წესით, ქმნიდნენ სათანადო საზოგადოებრივ იდეოლოგიურ ბაზას, რომლითაც

ადამიანი, ხელმძღვანელობდა და, დღევანდლამდე ახერხებდა დე-  
დამიწის სოციალურ-ეკონომიკური თვითგანვითარების პროცესის  
შენარჩუნებას. დღეს კი ახალი (ქრისტე) – სიტყვა ადამიანის აზ-  
როვნების ახალი დროის შესაბამისად ამცნობს მას ახალ სოცი-  
ალურ მოთხოვნებს და უსახავს განვითარების ახალ ამოცანას.

დ) სოციალური მოთხოვნების მიხედვით, ადამიანი-პიროვნება  
თავის ქცევაში თუ საქმიანობაში თავისუფალი სულაც არ არის.  
ეს ქცევა თუ საქმიანობა, საზოგადოებრივი ნორმების შესაბამისი  
– მიზანშეწონილი – უნდა იყოს. ამიტომ არის სახელმწიფოებრივ  
ეკონომიკურ ურთიერთობებში საზოგადოებრივი ნორმებისა და  
პრინციპების იგნორირება მათი სხვაგვარი კრებულის (კომუნა,  
კომუნიზმი) ქმნადობის პროცესი; ეს პროცესი, ბოლოსდაბოლოს,  
ადამიანის ფსიქიკის მხეცისად გარდაქმნის – საზოგადოების ბრ-  
ძოდ გადაქცევის – ადამიანის მიერ ადამიანის განადგურების  
პროცესია; და, მაშასადამე, ადამიანის თვითგანადგურების მო-  
მასწავებელია.

სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთობები უნდა განისაზღ-  
ვროს იმ მიზნებისა და იმ ნორმების შესაბამისად, რომლებსაც  
განსაზღვრავს სოციალური ბუნების მიხედვით შექმნილი, სა-  
ზოგადოებრივი ჯგუფები (ოჯახი, გვარი, ტომი, ერი), რომლის  
შემადგენლობაშიც ეს ადამიანი-პიროვნება თავისი ეროვნული  
წარმომავლობით ან კიდევ, თვითშეგნებული გადაწყვეტილებით  
შედის.

თავისუფალი აზროვნების ნიადაგზე, პიროვნების მიერ ქცე-  
ვისა თუ საქმიანობის შერჩევა და განხორციელება, საჭირო  
ცოდნა-უნარების დაუფლებას, ამ საქმიანობის სისტემურ (სა-  
ხელმწიფოებრივ) ორგანიზებას მოითხოვს. ამგვარი ცოდნა-უნა-  
რების დაუფლების პირობების ხელმიურვდომელობა მოსახლეო-  
ბის უდიდეს უმრავლესობასთან მიმართებაში, რაც დღევანდებ  
პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ადამიანის აზროვნების თა-  
ვისუფლების იგნორირებას ახლავს (პირამიდული სისტემა), ამ  
სისტემის იდეოლოგიური მარცხის გამოხატულებაა.

ე) საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სის-  
ტემის (ფორმაცია) „ლაზარეს“ შესაბამისად განახლება კაპიტა-  
ლისტური გლობალიზაციის მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური

## **ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრებლევები**

კურსის (არამხოლოდ ქვეყნის სახელმწიფო ეპონიგი ხელისუფლების) შეცვლა მატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური თეორიის არამატერიალისტურად შეცვლას გულისხმობს; ეს საქმიანობა კი, ცხადია, მოსახლეობის მხრიდან საკუთარი პოზიციის გააზრებულად და დიად (არა ფარულად!) დაფიქსირებას მოითხოვს.

ვ) აღნიშნულის დაფიქსირება, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ხელის ეროვნული ფრონტის“ მიერ ერისათვის შემოთავაზებული „მომავლის პროგრამის“ (იხ. აკაკი ჯორჯაძე, 2009 წ.) ნაწილია, ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ ხელნებული ხელმოწერების წესით, ამ პროგრამის გაზიარების პირობებში, საფუძველი უნდა გახდეს სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ხოლო შემდეგ, უკვე თავად, ეს „მომავლის პროგრამა“ და, რაც მთავარია, ამ პროგრამის შემუშავების საფუძველი – ინფორმაციული წყარო-ქრისტენიტება უნდა გახდეს განხილვა-შემეცნების საგანი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემებში.

ზ) „მომავლის პროგრამის“, ე.ი. „ლაზარეს“ შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის, ძირითადი სიახლე (თავისებურება) ისაა, რომ დღვეანდელი საქართველოს ისტორიული ტერიტორია (ქართული მამული) და ამ ტერიტორიაზე დამკვიდრებული ეროვნული სულიერი სიმდიდრე (ქართული ენა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოება) საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო ეპონი უნდა იქნას აღიარებული, – რომ ერი ქვეყანაში ადგილობრივი სულიერ-მატერიალურ ფასეულობების ფლობისა და მათი მუდმივად შენარჩუნება-განვითარების ნიადაგზე ადასრულებდეს ეროვნულ-საკაცობრიო მისიას, – ემსახურებოდეს თავისი ქვეყნის (და, აქედან გამომდინარე, მთლიანად დედამიწის) სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის ეროვნული თაობებისათვის მუდმივად შენარჩუნების საქმიანობას.\*

\* იბჟჰდება ავტორის დაუინებული მოთხოვნით

## **შრომითი ონერსების მიგრაცია: სახეობები, მიზნები და შედეგები**

**ნანა ნადარეიშვილი**

ეად, სტუ ასოცირებული პროფესორი

**ნონა დანელია,**

სტუ დოქტორანტი.

მოსახლეობის მიგრაცია როგორი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც ძლიერ ზეგავლენას ახდენს შრომითი რესურსების ფორმირება-ფუნქციონირებაზე. ყველაზე მეტად, ეს ზემოქმედება დაკავშირებულია სამუშაო ძალის მიწოდების დინამიკასთან, რადგან მიგრაციული პროცესებით ძირითადად მოცულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, მათ შორის პოტენციალური დასაქირავებული მუშახელი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო მიგრაციის 2010 წლის ანგარიშში, რომლის სათაურია “მიგრაციის მომავალი: შესაძლებლობათა ზრდა ცვლილებისთვის” აღნიშნულია, რომ “მსოფლიო მაღალებული ტემპებით მიმდინარე მიგრაციით გამოწვეული მოულოდნელი შედეგების წინაშე აღმოჩნდება, თუ სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ დროული ერთობლივი ძალისხმევა არ მიმართეს საპასუხო სტრატეგიის შემუშავების მიზნით”. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, სადაც დემოგრაფიული ცვლილებები, ეკონომიკური საჭიროებებით თუ გარემოს ცვლილებით გამოწვეული გავლენა საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობის შეუქცევად ზრდას იწვევს, სამთავრობო უწყებებმა და არასამთავრობო სექტორები შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსები უნდა მიმართონ იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა, საზოგადოებებმა და თავად მიგრანტებმა სრულად აითვისონ მიგრაციის სამომავლო ტენდენციების შესაძლო პოტენციალი<sup>1</sup>.

მიუხედავად სახელმწიფოების მიერ მიგრაციის უფექტური მართვის მიზნით ყოველწლიურად დახარჯული ასეულობით მილიონი დოლარისა, მიგრაციის სფეროში არსებულ და მომავალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე სამოქმედო პასუხი ხშირად მოკლევადიანი და ფრაგმენტულია. ეს დიდ გავლენას ახდენს ადამიანების მობილურობასა და

1 <http://publications.iom.int>

## ეპონიმიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე; ამას კი, თავის მხრივ, თითო-ეულ ქვეყნაში საკუთარი გამოძახილი აქვს.

თუ საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა, რომელიც 2010 წლის მონაცემებით 214 მილიონს უტოლდება, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არსებული ტემპით განაგრძობს ზრდას, მათმა რიცხვმა 2050 წლისთვის შეიძლება 405 მილიონს მიაღწიოს.

აღნიშნული ზრდის ერთ-ერთი მიზეზი განვითარებად ქვეყნებში სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი მატებაა, რაც 2005 წლის მაჩვენებლიდან, 2,4 მილიარდი, 2040 წელს 3,6 მილიარდმდე გაიზრდება; ეს სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაში გლობალურ დისბალანსს უსვამს ხაზს. გარემოს ცვლილება ასევე აისახება მიგრაციის სამომავლო ტენდენციებზე. გასასაფალისწინებელია ისეთი პროცესები, როგორიცაა სამუშაო ძალის მობილურობა, არარევულარული მიგრაცია, მიგრაცია და განვითარება, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაცია, გარემოს ცვლილება და მიგრაციის მართვა; ეს ტენდენციები ყველაზე მეტად დაექვემდებარება ტრანსფორმაციას მომდევნო წლებში.

მოსახლეობის მიგრაცია მჭიდროობა დაკავშირებული ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებასთან და საწარმოო ძალების განლაგებასთან, მოსახლეობის სოციალური და შრომითი მობილურობის ზრდასთან. ეს ყველაფერი რომ გაანალიზდეს, საჭიროა გარკვეულ იქნას, მიგრაციის რა სახეობი არსებობს დღეს, რა მიზნები დღვეს მიგრაციის შინაარსში და რა შედეგებს უნდა ველიღოთ მიგრაციიდან.

ცხარე კამათია მიგრაციის კლასიფიკაციაზე. გამოყოფებ შედეგ სახეებსა და ფორმებს: მუდმივი, ხანგრძლივგადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონ, შრომითი, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, სამივლინებო მიგრაციები.

საერთაშორისო შრომით მიგრაციას შეიძლება პქონდეს ზემოთჩამოთვლილი მიგრაციის დამახასიათებელი უმეტესი ელემენტი.

მიგრაციის კლასიფიკაციის საკითხები განხილული აქვთ ქართველ მეცნიერებსაც, მათ შორის აღსანიშნავია თამაზ ზუბიაშვილის “მოსახლეობა და განვითარება”<sup>1</sup>. აღნიშნულ ნაშრომში საერთაშორისო მიგრა-

1 თ ზუბიაშვილი “მოსახლეობა და განვითარება. გამომც. “უნივერსალი”. თბ. 2009.

ციის სახეებსა და კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დროის ფაქტორი. მათში გაერთიანებულია დაუბრუნებადი, მუდმივი, ან ხანგრძლივი, მოკლევადიანი, სეზონური, ქანქარისებური და ეპიზოდური მიგრაცია. რაც შეეხება საერთაშორისო მიგრაციის ფორმებს, მათ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მიზეზობრიობის ფაქტორი. ამ უკანასკნელში გაერთიანებულია: იძულებითი და ნებაყოფლობითი მიგრაცია. თავის მხრივ ნებაყოფლობით მიგრაციის ფორმებში მოიაზრება ეკონომიკური, შრომითი და არალეგალური მიგრაციები.

შრომით მიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისგან და ამ განსხვავებაშიც თავს იჩენს კვლავ სიტყვა «დროებითი», რადგან ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივიც, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ-ინგესტორებთან და ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნასთან. ამასთან, უნდა განიმარტოს, რომ შრომითი მიგრაცია წარმოადგენს ეკონომიკური მიგრაციის უფრო ვიწრო ცნებას, უფრო სწორად, იყი მისი შემადგენელი ნაწილია.

ხშირად შრომითი მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიზილება, მათ შორის მათვისაც, ვინც ვერ იპოვა თავისი ადგილი ეროვნულ შრომის ბაზარზე ან, საერთოდ, იგნორირებული იქნა მის მიერ. საშოვარზე სამუშაოდ წასვლა – ეს ის გზაა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს თითოეულმა მოქალაქემ. განსაკუთრებით დიდია მისი გადამრჩენი როლი იმ საშუალო და მცირე ქალაქების მოსახლეობისთვის, სადაც წარმოება გაჩერდა<sup>1</sup>.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც «მოსახლეობის გადაადგილებას მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყნაში დასაქმების მიზნით»<sup>2</sup>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ქვეყნაში მიგრაციული სალდოს შესაფასებლად იყნებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთთა შესახებ, სადაც ასახულია ქვეყნაში წლის განმავლობაში შემოსულთა

1 ეს დაწვრილებითაა განხილული: ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამორმომცვებელ რეიტინგში. თბ., 2001


2 **Glossary on migration. International Migration Law. International Organization for Migration (IOM), Geneva, 2004.**

## ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

და გასულთა რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით. 2010 წელს, წინა წლის მსგავსად, ქვეყანაში დადებითი მიგრაციული ტენდენცია შეინიშნებოდა: 2009 წელს მიგრაციულმა სალდომ 34,2 ათასი, ხოლო 2010 წელს 18,1 ათასი კაცი შეადგინა (იხ. გრაფიკი 2)<sup>1</sup>.

შრომით მიგრაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული მასშტაბის დღის წესრიგში. მიგრანტები, თავისი შრომით ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას იმ ქვეყნებში, სადაც დაქირავებით მუშაობენ.

### **გრაფიკი №1**



მიგრანტების საქმიანობა ხელსაყრელია დონორი ქვეყნებისთვისაც, ვინაიდან ისინი ფულად თანხებს აგზავნიან სამშობლოში და დაბრუნებისას სამშობლოს მოახმარენ მიგრაციის დროს შეძენილ პროცესიულ გამოცდილებას.


მსოფლიო ბანკის 2010 წლის მონაცემებით საქართველოში მიგრაცია შეძლევნაირად აისახება<sup>2</sup>:

ემიგრაცია (2010 წლის მონაცემებით).

- ემიგრანტების რაოდენობა: 1 057,7 ათასი კაცი.
- ემიგრანტების წილი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაში: 25,1%.

1 წეარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

2 [www.worldbank.org/migration](http://www.worldbank.org/migration). Migration and Remittances Factbook 2011 <http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTDECPR/OSPECTS/0,,contentMDK:22759429~pagePK:64165401~piPK:6416502.>



- დანიშნულების ძირითადი ქვეყნები: რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ისრაელი, აშშ, გერმანია, კვიპროსი, ესპანეთი, თურქეთი. კვალიფიციური მომუშავეების ემიგრაცია (2010 წლის მონაცემებით).
  - საშუალოზე მაღალი განათლების ემიგრანტების წილი: 1,6%.
  - ექიმების ემიგრაცია: 132 ექიმი ან 0,5% ექიმების, რომლებმაც მიიღეს განათლება ქვეყანაში.
 იმიგრაცია (2010 წლის მონაცემებით):
  - იმიგრანტების რაოდენობა: 167,3 ათასი კაცი.
  - იმიგრანტების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაში: 4,0%.
  - ქალების წილი იმიგრანტებში: 57,1%.
  - ღატოლვილების წილი იმიგრანტებში: 0,7%.
  - მიგრანტების ძირითადი წყარო-ქვეყნები: რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, საბერძნეთი, ისრაელი, აშშ, გერმანია, კვიპროსი, ესპანეთი, თურქეთი.
 მსოფლიო ბანკის კალებების მიხედვით<sup>1</sup> საქართველოში 2010 წელს, მიგრანტებიდან ფულადი გზავნილების მოცულობამ 824 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყნების ტოპ ხუთეული, საიდანაც გადმოირიცხე-

1 მსოფლიო ბანკი: <http://econ.worldbank.org>

## ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები

ბოდა ფული, შედეგია (მღნ აშშ დოლარი): 1. რუსეთის ფედერაცია - 406; 2. საბერძნეთი - 90; 3. აშშ - 85; 4. გერმანია - 54; 5. ისრაელი - 51.

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზაგნილების მოცულობის დინამიკა მოცემულია №2 გრაფიკზე.

შრომითი მიგრაციები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანმდევი და ობიექტური პროცესია. მთლიანობაში სამუშაო ძალის თავისუფალ მიგრაციას მსოფლიო მეურნეობისათვის დადგებითი შედეგები მოაქვს, რადგან მშრომელ მიგრანტებს პროდუქციისა და მომსახურების მსოფლიო წარმოებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ. იმავე დროს, სამუშაო ძალის მიგრაცია გამგზავნ და მიძღვებ ქვეყნებზე როგორც დადებით, ისე, უარყოფით გავლენას ახდენს. საქართველოდან შრომითი რესურსების ემიგრაციის პოზიტიურ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა და გარკვეულწილად მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, ასევე სოციალური დაბაბულობის შემცირება. ამასთანავე, ახალგაზრდა შრომითი კონტინგენტის გადინება უკიდურესად ამწვავებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემას და ძალზე უარყოფითად აისახება მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაზე.

იმედია, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა და დასაქმების სფეროს გაფართოება გარკვეულწილად შეაფერხებს ახალგაზრდა კონტინგენტის გადინებას ქვეყნიდან და ხელს შეუწყობს ემიგრანტების დაბრუნებას სამშობლოში.

ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, რომ:

● შრომითი მიგრაციის სფეროში აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას.

● ქვეყნაში უნდა შემუშავდეს შრომისა და მიგრაციის სფეროს პოლიტიკა. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შრომითი მიგრაციის ეფექტური და მართვისა და შრომითი მიგრანტების დაცვის ეროვნული პოლიტიკის შეჯერებული და ყოვლისმომცველი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

● მიგრაციის სფეროში სერიოზული ინგესტირების გარეშე ისეთი კრიტიკული საკითხები, როგორიცაა მიგრანტთა უფლებები და მასპინ-

ძელ საზოგადოებრივი მათი ინტეგრაცია კიდევ უფრო მწვავედ გამოიკვეთება შემდგომშიც.

● მიგრაციის მართვა არ მოითხოვს განსაკუთრებულ გამოგონებას ან ფინანსური რესურსების გრანდიოზულ დანახარჯს. მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხთა პუმანური და ეფექტური გადაწყვეტილებები მიღწევადა; მათი შემუშავება-განსორციელება კი დაკავშირებულია პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასთან, სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით არსებული რესურსების უფრო ეფექტურ გადანაწილებასთან და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული გონიერული გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებაზე.

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

### საფინანსო-საბანკო ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის და რისკების მართვის მმთლღება

ლევან ქუთათელაძე  
სტუ ღოქტორანტი  
ალექო ქუთათელაძე  
ემდ, სტუ პროფესორი

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები იყოფა საკანონმდებლო, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ მეთოდებად.

საკანონმდებლო მეთოდები გულისხმობს საკანონმდებლო სფეროს-თან დამოკიდებულებაში რეგლამენტირებულ ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების და ასევე, საქართველოს რესპუბლიკაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავის 284, 285, 286 და XXXVIII თავის 324<sup>1</sup> მუხლები ეძღვნება კომპიუტერულ დანაშაულობებს. მათში გათვალისწინებულია ბიზნეს პროცესებში ინფორმაციის მნიშვნელოვანი როლი, ასევე ასახულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული სასჯელი სხვადასხვა დანაშაულისათვის — ინფორმაციულ რესურსებში არაკანონიერი შეღწევა, განადგურება, ინფორმაციის მოდიფიკაცია, ბლოკირება, კომპიუტერებისა და ქსელების ექსპლუატაციის მოშლა და სხვა.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მეთოდებად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და მისი სრულყოფა, სახელმწიფოს ფადერალური ორგანოების მიერ საკანონმდებლო მოქმედებების გაძლიერება, დამცავი ტელეკომუნიკაციური სისტემების განვითარება, არასანქცირებული შეღწევისგან დამცავი სისტემებისა და საშუალებების შექმნა და ა.შ.

ქვეწის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკური მეთოდები შეიცავენ: ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის პროგრამების შემუშავების და მათი ფინანსირების განსაზღვრას, ინფორმაციის დაცვის საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-ტექნიკური მეთოდების რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების მექანიზმის სრულყოფას, ფიზიკური და იურიდიული პირების ინფორმაციული რისკების დაზღვევის სისტემის შექმნას.

დაზღვევა – ეს არის სოციალური მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტებს საკუთარი სადაზღვევო დანაზღვებიდან კომპენსაცია გაუცემონ გაწეული რისკის შესაძლო დანაკარგების გარკვეულ წილს. დანაკარგები შეიძლება გამოწვეული იყოს ამა თუ იმ არასასურველი გარემოებით.

ინფორმაციული რისკების დაზღვევა – დაზღვევის ერთ-ერთი უასლები სახეობაა მსოფლიოში. ინფორმაციული რისკების დაზღვევის წარმოშობისა და განვითარების წინაპირობება: კომპიუტერული ტექნიკის და კომპიუტერული ქსელების ფართო გავრცელება და გამოყენება; შემთხვევითი მოვლენების რიცხვის ზრდა, რომლებსაც ინფორმაციული სისტემების დაზიანებისა და ინფორმაციის მოპარვის შედეგად მოაქვს მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზარალი; კომპიუტერული დანაშაულის წარმოშობის საშიშროება, მისი დაუშვებლობა, ზარალის მინიმიზაცია და კომპენსაცია.

განვსაზღვროთ საინფორმაციო რისკების დაზღვევის ორი ძირითადი სახეობა: დაზღვევის ობიექტი (რა შეიძლება დაეზღვოს) და დასაზღვევი რისკები (რისგან შეიძლება წარმოშვას დაზღვევა).

დაზღვევის ობიექტი. დღეს რეალურად შეიძლება დაზღვეული იყოს:

1. ინფორმაციული რესურსები. მათ ეკუთვნის:

- მონაცემთა ბაზები, ბიბლიოთეკები, ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელზე მქონე ელექტრონული არქივები;

- დამუშავების პროცესში ან ექსპოატაციაში მქონე პროგრამული საშუალებები და კომპლექსები.

2. ფინანსური აქტივები:

- ელექტრონული ფორმის სახით ფულადი საშუალებების ანგარიშების ჩანაწერები (სისტემა კლიენტი-ბანგი);

- ელექტრონული სახის მქონე ფასიანი ქაღალდები.

3. დაზღვეული შემთხვევისთვის კომერციული საქმიანობის დროები-

## **ჭირდები, განვითარები, პირქანობი**

---

თი შეწყვეტით გამოწვეული ზარალი:

- იძულებითი შეჩერების პერიოდში მოგების ნაწილის დაკარგვა;
- შეწყვეტილი საქმიანობის გამო გამოწვეული მიმდინარე ზარჯები.

4. ბიზნესის აღდგენისათვის დამატებითი ზარჯები:

- დანადგარებისთვის და პროცესების მომსახურებისთვის დროებითი არენდა;

- პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების სასწრაფო შეცვლის გამო გამოწვეული ზარჯები;

- სადაზღვევი შემთხვევის გამოძიების ზარჯები;

- კომპანიის რეპუტაციის დაცვისთვის საჭირო ზარჯები.

დასაზღვევი რისკები. დღეისათვის ელექტრონული ფინანსური აქტივების და ინფორმაციული რესურსების განკარგვისთან დაკავშირებით დამზღვევლებმა ზარალის ანაზღაურების საკითხი შეიძლება განიხილონ შემდეგი მიზეზების გამო:

- ინფორმაციული სისტემის მტკუნება (მწყობრიდან გამოსვლა), რომელიც გამოწვეულია მისი პროექტირების, დამუშავების, შექმნის, ინსტალაციის და ექსპუატაციისას დაშვებული შეცდომებით;

- საბანკო-საფინანსო დაწესებულების თანამშრომელთა შეგნებული უკანონო ქმედება;

- მესამე პირის მიერ დაწესებულების მიმართ კომპიუტერული შეტევა;

- კომპიუტერული ვირუსების მოქმედებისას;

- კომპიუტერული ქსელების საშუალებით ფულადი საშუალებებისა და ფასიანი ქაღალდების ძარცვა.

რისკი რომ ეკვიმდებარებოდეს დაზღვევას, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვებს:

- უნდა არსებოდეს ე. წ. “ერთგვაროვანი” დასაზღვევების საკმარისად დიდი ჯგუფი, რომლთა დახასიათებები სამართლიანია წარსულში;

- დანაკარგების მიზეზები და სერიოზულობა არ უნდა განისაზღვრებოდეს დასაზღვევების მოქმედებებით. ეს მიზეზები უნდა იყოს შემთხვევითი;

- განხილულ საფრთხეებს უნდა მივყავდეთ დანაკარგებამდე, რომელთა იდენტიფიკაცია ადვილია;

- დანაკარგების ალბათობების გამოთვლისთვის რეალური მონაცემების სტატისტიკა (მონაცემთა ბაზა) უნდა იყოს სელმისაწვდომი;

- დაზღვევის ფასი რომ ეკონომიკურად მისაღები გახდეს, ამისათვის დანაკარგების ალბათობა უნდა იყოს საკმარისად მცირე.

ინფორმაციული სისტემების მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უსაფრთხოების დონის 100%-ანი მიღწევა ძალიან ძვირი ჯდება და ხშირად არც ამართლებს, რადგანაც:

- დღესათვის ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციული დაცვის სისტემას არ შეუძლია დაუპირისპირდეს საფრთხეებს, რომელებიც შემდგომშია მოსალოდნელი;

- ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობა და სამედიორობა მრავალ შემთხვევაში დამოკიდებულია მომსახურე პერსონალთან, რომელმაც შეიძლება დაუშვას უნებლივ ან შეგნებული შეცდომა;

- კომპლექსური დაცვის ღირებულება შეიძლება აღმოჩნდეს დასაცავი ინფორმაციული რესურსების ღირებულებაზე გაცილებით მეტი.

უკანასკნელმა მოტივმა შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ცნობილი პრინციპი “გონივრული საქმარისობა”, რომელიც მდგომარეობს “აბსოლუტური დაცვის” შექმნის მცდელობის გარეშე უსაფრთხოების მიღებული დონის შემუშავებაში. აქედან ნათელია, რომ, როგორც დამზღვევლებმა, ასევე დასაზღვევებმა სერიოზულად უნდა განიხილონ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინფორმაციული რისკების დაზღვევისათვის დანახარჯების მასშტაბები.

სამწუხაროდ, ინფორმაციული რისკების დაზღვევა ჩვენს ქვეყანაში რჩება დაზღვევის ექსპლუზიურ სახეობად. ამის ძირითადი მიზეზია მომსახურეობის ღირებულება. დაზღვევის პოლისის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო თანხის 3–8%-ს, ამასთან პატიმალურ სადაზღვევო თანხად ითვლება 1 მლნ აშშ დღლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციული რისკების დაზღვევა დაზღვევის ახალი სახეობაა, ჯერ კიდევ არ არსებობს კლიენტებთან მკაფრი სტანდარტები და დამზღვევი იმულებულია პოტენციურ კლიენტებთან აწარმოოს ვაჭრობა დაზღვევის ღირებულებასთან დაკავშირებით. ამასთან, ეს ვაჭრობა უნდა მიმდინარეობდეს მათემატიკური ფორმულირების საფუძველზე, რომელიც არგუმენტირებულად დასაბუთებს, რომ მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება სათანადო დონეზე.

დაზღვეულმა გარკვევით უნდა წარმოიდგინოს, რაც მეტს დახარჯავს თავისი ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოებისათვის, მით ნაკლებია

## **შინაგანი, განვითარების, გარემონტის**

აღმასათობა, რომ ბოროტმზრახველი შეძლებს შეაღწიოს და დაანგრიოს შენახული ინფორმაციის მთლიანობა, მით ნაკლები მოუწევს გადაუხადოს სადაზღვევო კომპანიას პოლისისათვის.

ინფორმაციულ სისტემებში დაცვის ეფექტურობა მიიღწევა ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენებით. ინფორმაციის დაცვის საშუალებების ქვეშ იგულისხმება ტექნიკური და პროგრამული საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ინფორმაციის დასაცავად.

ქსელური ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა ინფორმციის დაცვის საშუალებების ახალი ტიპი – ქსელთაშორისი ეკრანები (ფირეწალლს), რომელებიც უზრუნველყოფენ ისეთი ამოცანების ამოხსნას, როგორიცაა გარე ქსელებში ჩართვისგან დაცვა, კორპორატიული ქსელების სეგმენტებში შეღწევის გამოჯვენა, ლია ქსელებით გადაცემული მონაცემთა კორპორატიული ნაკადების დაცვა.

სატელეკომუნიკაციო არხებით ინფორმაციის გადაცემისას მისი დაცვა ხორციელდება კრიპტოგრაფიული დაცვის საშუალებებით. ამ საშუალებების თავისებურებაა ის, რომ ისინი პოტენციურად უზრუნველყოფენ გადასაცემ ინფორმაციაში არასანქცირებული შეღწევისაგან დაცვის უმაღლეს ხარისხს.

## დარგობრივი ეკონომიკა

### ენერგეტიკული დაციურელების ტყის მარენიანი სრულფარდი სახეობათა ზარმაღლება

მარგარიტა ბაჩილავა  
სსაუ დოქტორნტი

სატყეო პლანტაციების გაშენება მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. ჩილეში (1999წ) გამართულ საერთაშორისო შეხვედრაზე, ხოლო მოგვიანებით 2003 წელს, ახალ ზელანდიაში გაეროს სატყეო ფორუმზე გაკეთებულ იქნა განცხადება პლანტაციების ახალი ეპოქის დაწყების შესახებ. აღიარებული იქნა ის ფაქტი, რომ ხელოვნურმა ტყეებმა უნდა შესარულონ სხვადასხვა სახის ფუნქციები და რომ საჭიროა ადაპტირებული მართვის სისტემების შემუშავება, რათა დაკმაყოფილებულ იქნას როგორც სოციალურ-კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სახის საკითხები და მათ შორის მოსახლეობის უზრუნველყოფა სათბობი მერქნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO)-ის და ევროპის სატყეო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაკეთებულია პროგნოზი, რომ თუ 2000 წელს მსოფლიოში ყველა სახის ჭრებით დამზადებული ხე-ტყის საერთო მოცულობაში ბუნებრივი ტყეების წილი შეადგენდა 56%-ს ხოლო პლანტაციებისა (34%-ს), 2020 წლისათვის ეს მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს 75%-ს [1].

დასახული მიზნებიდან გამომდინარე ევროპის სოფლის მურნეობის და სატყეო პოლიტიკაში გატარებულ იქნა სათანადო ცვლილებები, კონკრეტულად კი გამოუყენებელ და შედარებით დაბალი პროდუქტიულობის მიწებზე სწრაფმოზარდი სახეობების გამოყენებით დაიგეგმა სატყეო მიზნობრივი პლანტაციების გაშენება, რაც დროის მოკლე ვადაში მერქნული რესურსების მიღების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოდგენს.

სატყეო პლანტაციები არის ტერიტორია, რომელიც გაშენებულია სწრაფმზარდი სახეობებით და საიდანაც წარმოებს სასურველი პრო-

დუქტების მიღება. პლანტაციების გაშენების მიზანია პროდუქტიულობის მიღების ვადების შემცირება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ფართობის ერთეულიდან გამოსავლიანობის გადიდება, [2] რაც მიღწევა წარმოების ინტენსიფიკაციით, მექანიზაციით, ხეებისა და ბუჩქების სახეობათა და ფორმების შერჩევით. აგროტექნიკის ძირითადი სახეებია: ნიადაგის დარგვისწინა ინტენსიური დამუშავება სასუქების შეტანა, მავნებელ-დავადებათა წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების გატარება, საჭიროების შემთხვევაში ირიგაციის განხორციელება.

აქედან გამომდინარე ენერგეტიკული მეტყველობის ფორმულირება შესაძლებელია შემდეგნაირად: იგი წარმოადგენს პლანტაციური წესით გაშენებულ მიზნობრივ, სწრაფმზარდი და თვითაღდებული ტყის სახეობების მეურნეობრივ ფორმას, რომელიც მცირე ფართობზე და დღის პერიოდში უზრუნველყოფს ტრადიციულ მერქნულ ნედლეულთან შედარებით დიდი მოცულობით ბიოსაწვავის მარაგების წარმოებას. [3,4]

ინტერესის ზრდა მოკლე როტაციის (ჭრის ბრუნვის ხნოვანების მოკლე პერიოდი) პლანტაციებისადამი განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ ამ სახის პლანტაციების მაღალი ენერგეტიკული პოტენციალით, განახლებადი ხასიათითა და ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. [5]. ამ დროს იქმნება ხელსაყრელი პირობები ფიტორეგულირებისა, ანუ დაბინძურებული ჰაერისა და წყლის რესურსების გაწმენდისა მცუნარეების გამოყენებით.

როგორც ცნობილია, სწრაფმზარდ სახეობებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთი მერქნული სახეობები, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონისთვის დამახასიათებელ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში სხვა სახეობებთან შედარებით ხასიათდებიან სწრაფი ზრდა-განვითარებით, შესაბამისად მცირე პერიოდში იძლევიან საჭირო პროდუქციას და აქედან გამომდინარე მცირდება მათი ჭრის ბრუნვაც.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში სწრაფმზარდ სახეობებს მიეკუთვნება: ვერხვი (კანალური, ბალზამის, ალვის ხე), (*Populus deltoides*, *balsamifera*, *P. pyramidalis*), ჭადარი (*Platanus orientalis*), ოთორი აკაცია (*Robinia pseudocacia*), იაბონური კრიპტომერია (*Criptomeria japonica*), პავლოვნია (*Paulownia tomentosa*) ევკალიპტი (*Eucalyptus*) და სხვ.

საქართველოში ხე-მცენარეთა კლასიფიკაცია სიმაღლეზე  
ზრდის მაჩვენებლების მიხედვით (5 დან 30 წნოვანება), ცხრილი 1

კლასიფიკაცია	სიმაღლეზე ყოველწლიური შემატება (მეტრი)	ს ა ხ ე ო ბ ა
ძალზედ სწრაფმზარდი	2 მეტრამდე და მეტი	განადური ვერხე (Populus deltoides); ტირიფი (Salix); ალგის ხე (Populus pyramidalis); უკალიპტი (Eucalyptus); პავლონია (Paulownia tomentosa) აკაცია (Robinia pseudocacia); გიგანტ. სეკვოია (Sequoiadendron giganteum); ლირიოდევნდრონი (Liriodendron tulipifera)
სწრაფმზარდი	1 მ-მდე	ლაფანი (Pterocarya fraxsnifolia) კრიპტომერია (Criptomeria japonica) დუგლ. სოჭი (Pseudotsuga taxifolia)

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვერზეისა და აკაციის ზრდა-განვითარებისა და წარმადობის მაჩვენებლები, რამდენადაც მსოფლიო მაშტაბით ამ სახეობათა ენერგეტიკული პლანტაციები პრაქტიკულად ათასობით ჰა-ზეა გაშენებული.

მოკლედ დავახასიათო ზოგიერთი მათგანის ზრდა-განვითარებისა და წარმადობის მაჩვენებლები.

საქართველოში გავრცელებული ვერზეის 7 სახეობა სინათლის და ტენის მომთხოვნია და სიცივის ამტანია, ამიტომ მათი არეალი ფართოა. ოპტიმალურ პირობებში პირველ წელს იგი იძლევა 1.5-2.0 შემატებას, ხოლო შემდეგ წლებში კი (წლიურად) 1 მეტრამდე. [6]

აკაცია სინათლის და სითბოს მომთხოვნია. საქართველოში მისი გა-შენება შესაძლებელია მთის ქვედა და შუა სარტყელში 1100-1200-მდე . იგი საუკეთესო სწრაფი ზრდით სასიათდება ღრმა ტენიან ნიადაგებზე და იძლევა საკმაოდ მკრივ და გამძლე გულიან მერქანს. [7]

სხვადასხვა მკვლევარების მიერ საქართველოს გეობოტანიკური ოლქების მიხედვით შესწავლილ იქნა სწრაფმზარდი მერქნიან სახეობათა წარმადობა (იხ. ცხრ 2) [8].

სწრაფმზარდ ტყის მერქნიანი სახეობების ზრდის  
მსგლელობის მაჩვენებლები, ცხრილი 2

	სატაქსაციო ნიშნები			საშუალო შემატება (წარმადობა)		მმწლინარქ ნაგაზი სიმაღლეში (მ)	საშუალო ხის მოც. (%)
	სნოვანება	სიმაღლე (მ)	დიამეტრი (სმ)	სიმაღლე (მ)	დიამეტრი (სმ)		
გეობოტანიკური ოდენების და სახეობების დასახელება							
1	5	6	7	8	9	10	11
I დასავლეთ საქართველო ა. ზღვისპირა ზონა 1. კანადის ვერხვი.	8	11	17	14	2.2	2.0	0.11
3. ბალზამური ვერხვი	20	20	24	1.0	1.2	0.9	0.30
გ) საშუალო ზონა 1. კანადის ვერხვი	20	22	26	1.1	1.3	1.0	0.57
3. აკაცია	6	2.0	7.0	14	1.1	0.6	0.01
გ) ზედა ზონა 1. კანადის ვერხვი	23	20	42	0.9	1.4	1.3	1.02
2. ბალზამური ვერხვი	5	6	8	12	1.6	2.0	-
II კახეთი 1. კანადის ვერხვი	6	9.5	14	1.6	2.3	1.6	0.06
III ზედა და შუა ქართლი 1. კანადის ვერხვი	8	4	6	0.5	0.75	0.45	-
2. აკაცია	5	4	5	0.8	1.0	0.8	-

სწრაფმზარდ სახეობების ზრდა-განვითარების უპირატესობის უკეთ წარმოჩინებისათვის მათი საშუალო მარაგი შედარებულია (იხ.ცხრ.3) საქართველოს ტყეებში გავრცელებულ ძირითად სახეობებთან, იმავე ხნოვანებისა, ბონიტეტისა და სიხშირის პირობებში.

**სწრაფმზარდი და საქართველოს ტყის ძირითადი  
სახეობების წარმადობის შედარებითი მაჩვენებლები, ცხრილი 3**

ტყის სახეობების დასახელება	ხნოვანების პერიოდები			
	10 წლის		20 წლის	
	მარაგი ჰა-ზე	საშ. შემატება ჰა-ზე	მარაგი ჰა-ზე	საშ. შემატება ჰა-ზე
ფიჭვი	80	8.0	160	8.0
ნაძვი	75	7.5	150	7.5
სოჭი	70	7.5	160	8.0
წიფელი	45	4.5	90	135.0
სწრაფმოზარდი ტყის სახეობები				
1. კანადის ვერხვი	180	18.0	400.0	20.0
2. ბალზამური ვერხვი	200	20.0	400.0	20.0
5. ოქორი ვერხვი	200	20.0	400.0	20.0

ზემოთ მოცემული ცხრილებიდან ჩანს, რომ სწრაფმზარდი სახეობები, კერძოდ კანადური და ბალზამისებური ვერხვი და თეთრი ვერხვი ერთიდაიგივე ხნოვანების პერიოდში საქართველოს ტყეების ძირითად სახეობებთან შედარებით თითქმის 2-ჯერ მეტ მერქანს იძლევიან.

დასწრის სახით შეიძლება აღნიშნოს, რომ ტყის სახეობების მიზნობრივი პლანტაციები ჩვენ ქვეყნაში შეიძლება გახდნენ სატყეო მრეწველობისა და სათბობ-ენერგეტიკული მიზნით ბიო-მასის მნიშვნელოვან წყაროდ და საქართველომ განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ადგილობრივი განახლებადი წყაროების

მაქსიმალური ათვისების გზა უნდა აირჩიოს.

მაგრამ არსებული პერსექტივების მიუხედავად, ენერგეტიკის ამ მიმართულების განვითარება შეუძლებელი იქნება საკანონმდებლო ბაზაში სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, რაც გამოიხატება ბიო-მასის, როგორც ენერგიის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ აღიარებაში როგორც სამრეწველო და ასევე საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. ასევე მეტად მნიშვნელოვანია კვლევითი სამუშაოების დაფინანსება და ღონისძიებების განხორცილება ამ საწვავის ტიპის ეკონომიკური ეფექტიანობის პოპულარიზაციისათვის.

### **გამოყვებული ლიტერატურა:**

1. Global Forest Resources – Assessment 2010, FAO- Forestry Paper.163. Rome, 2010.
2. Makeschin F. 1999. Short rotation forestry in Central and Northern Europe – introduction and conclusions. Forest Ecology and Management 121: 1-7.
3. თ.კანდელაკი. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტუანი გამოყენება, შ I დ I , 174 პ. 2010
4. თ.კანდელაკი, მ.ბაჩილავა. ენერგეტიკული მეტყველება: მიზნები, არსი და ამოცანები.“ სატექ მომბე №4, გვ.13-17, 2011 წ.
5. Crites R. W. 1984; Aronsson and Perttu 2001. Land Use of Wastewater and Sludge. Environ.Sci.Technol.18 140-147
6. ი.აბაშიძე. დენდროლოგია გვ13-20, განათლება 1985 წ.
7. ი.აბაშიძე. დენდროლოგია გვ143, განათლება 1985 წ.
8. კ. თარგამაძე, ე.ტატიშვილი, შ. აფციაური. სწრაფმოზარდი ტყის ჯიშები და მათი გავრცელება საქართველოში. თბილისი 1958 წ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა
9. თ.კანდელაკი, მ.ბაჩილავა „სხვადასხვა როტაციის მქონე ენერგეტიკული პლანატაციები და მათი გამოყენების ტენდენციები“ სსაუ სამეცნიერო შრომათა კრებული ტომი 4№2(55) გვ.32-35 2011 წ.

## **ლუპა პაჩიოლი თანამედროვე აღრიცხვის ფუძემდებაელი**

### **ნინო გრიგოლაძა**

ედ, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა  
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**ქუშუნა წიკლაური**  
ემდ, სტუ ასოც. პროფესორი

აღრიცხვის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მეტყველებს, რომ ზუსტი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია საწარმოს სრულყოფილი მართვა. აღრიცხვის ისტორიის მნიშვნელოვანი თავისებურებაა საბუდალტრო აღრიცხვის ეკოლუცია, თეორიისა და პრაქტიკის მიზნმიმართული სრულყოფა. ცივილიზაციის აღრინდელ ეტაპზე ადამიანები მხოლოდ გონიერები ასახავდნენ და ანგარიშობდნენ სამეურნეო მოვლენების შედეგებს. დამწერლობისა და მათემატიკის წარმოშობამ და გავრცელებამ შექმნა აღრიცხვის პრაქტიკის დანერგვის ობიექტური წანამდღვრები. რაც შეხება თანამედროვე ბუღალტერიას, მისი ჩანასახები პირველად გაჩნდა XIII საუკუნის იტალიაში, როცა გაჩნდა ორადი ბუღალტერია ანუ აღრიცხვის მონაცემების ორადი ჩაწერის სისტემა. ეს სისტემა თავიდან ბოლომდე ორიენტირებული იყო ისეთი სიდიდეების მიზანმიმართულ აღრიცხვაზე, როგორიცაა კაპიტალი, მოგება, ფული, ვალები, საქონელი და სხვა მატერილური ფასეულობები. ის იყო აღრიცხვის, კონტროლისა და მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა. ამ სისტემის მთვარ მონაცემას წარმოადგენდა ანგარიშთა გეგმა, ეკონომიკური და იურიდიული შინაარსის მიხედვით სამეურნეო ფაქტებისა და შედეგების სარგებური გააზრება, ასახვა.

ცნობილი ფილოსოფიის ოსკარ შპენგერი თვლიდა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია აღმოცენდა სამი დიდი ადამიანის ძალისხმევით: ქრისტეფორე კოლუმბის (1451-1506), ნიკოლოზ კოპერნიკის (1473-1543) და ლუკა პაჩიოლის (1445-1517) მიერ. ყველამ იცის ქრისტეფორე კოლუმბი და ნიკოლოზ კოპერნიკი, მაგრამ ძალიან ცოტას თუ სმენია ლუკა პაჩიოლის-იტალიელი მათემატიკოსისა და ბუღალტრული აღრიცხვის პირველი თეორიტიკოსის შესახებ. დღეს ნათელია, რომ აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკის სრულყოფილი მართვა.

## დარგობრივი ემუნიშისა

საყველთაოდ აღიარებულია, რომ აღრიცხვა-ეს სამურნეო საქმიანობის, ბიზნესის ენაა. უკვე ხუთასი წელია ეს ენა ვითარდება, როგორც და სრულყოფილი ხდება, მაგრამ სახელი ადამინისა, რომელმაც პირველმა აღწერა ის და შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებში, ჯერ კიდევ რჩება ჩრდილში.

1494 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „არითმეტიკის, გეოგრაფიის, პროპორციებისა და შეფარდებათა ერთობლიობა“, მთორმეტე ტრაქტატში „ანგარიშებისა და ჩანაწერების შესახებ“ ლუკა პაჩიოლიმ აღწერა ორადი ჩაწერის წესა.

ამ წიგნის გამოცემამ მოუტანა ლუკა პაჩიოლის, როგორც ეპოქის პირველ მათემატიკოს დიდება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის რაც მან შექმნა ბუდალტერიაში, როგორც მუურნეობრიობის (ვაჭრობის ბუდალტერიის) დიდმა კოდიფიკატორმა.

ლ. პაჩიოლი ნაშრომში დაწერილებით იხილავს სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციის აღრიცხვის წესს, როგორიცაა: საქონლის საცალო ვაჭრობა, გაცვლა, მაკლერის საშუალებით გაყიდვა, ბაზრობაზე გაყიდვა, საკომესიო წესით გაყიდვა, წილობრივი მონაწილეობით გაყიდვა და სხვა

ნაშრომში ლუკა პაჩიოლიმ სამურნეო ოპერაციების ანალიზისა და უკვე არსებული წიგნების – მემორიალების, უურნალების, მთვარი წიგნისა და სხვათა საფუძველზე აღწერა ორადი ჩაწერის წესი და დაასაბურთა ორადი ჩაწერის წესზე დაყრდნობით ნებისმიერ მუურნეობაში ანგარიშებისა და წიგნების მიზანშეწონილი სისტემის აგების შესაძლებლობა.

როგორც წესი პაჩიოლის ნაშრომების მნიშვნელობას უკავშირებენ ორადი ბუდალტერიის აღწერას. ეს სიმართლეა, მაგრამ ყველაფერი არა. შევეცადოთ ჩამოვთვალოთ, მისი ძირითადი მიღწევები, მოვახდინოთ მისი ბუდალტრული მემკვიდრეობის ერთგვარი ინვენტარიზაცია. ნაშრომში ლაპარაკია სავაჭრო ამხანაგობათა, იჯარის გაცვლა-გამოცვლის (აღებ-მიცემის) ცხრა შემთხვევაზე (წესზე), სავექსილო საქმის, პროცენტების გამოანგარიშების, მეტროლოგიისა და ნუმიზმატიკის (ზომა-წონა, მონატები), ვაჭრობის გეოგრაფიის (ე.ი. იმ ადგილების მიმოხილვა, რომელებთანაც იტალიას ჰქონდა ურთიერთობა) და სხვა.

ნაშრომში ავტორი ჩამოთვლის „იმ საგნებს, რომლებიც საჭიროა სრულყოფილი ვაჭრობისათვის“, კერძოდ, როგორ აწარმოებენ „მთავარ დავთარს“ და “უურნალს“ ვენეციასა და სხვა ადგილებში. აქვე

მოთხრობილია: ცნება „ინგენტარის“ შესახებ, მოცემულია მისი ნიმუში რეკვიზიტებით და აღრიცხვის წესი: ლაპარაკია ვაჭრობაში გამოყენებულ სამ ძირითად დავთარში-მემორიალში, უკრნალში და მთავრ დავთარში აღრიცხვის წარმოებისა და მათი შემოწმების წესებზე- სხვადასხვა ადგილებში ყიდვა-გაყიდვის დროს.

ცალკე თავში აღწერილია, „მოგება და ზარალი“, ანუ „სარგებელი და დანაკარგი“, ეწ. „ბედნიერებისა და უბედურების ანგარიში“. ნაშრომში ლაპარაკია შეცდომების გამოსწორებაზე ე. წ. შავი სტორნოს, ანუ საწინაღმდევო გატარების გზით, რომლის გამომგონებლად ითვლება ლუქა პაჩიოლი.

ასევე ლ. პაჩიოლი ცალკე თავს უძღვნის ბალანსის შედგენას, წლის ბოლოს ე.წ. „მთავარი ბალანსის“ ანგარიშების დახურვასა და ახალი დავთრების გახსნას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ დროს ე.წ. დასკვნითი ბალანსისა და საერთო ანგარიშების შედგენა ყოველთვის წლის ბოლოს არ უკავშირდებოდა, იგი უპირატესად დამოკიდებული იყო სავაჭრო კომპანიების საქმის მოთავებასთან, რაც შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე, ან პირიქით, რამდენიმე წელიწადში ერთხელ მომხდარიყო.

ნაშრომში განხილულია დოკუმენტების და რეგისტრების შენახვის, საარქივო საქმის ორგანიზაცია, კერძოდ წვრილი (პატარა) ხელწერილების, მათ შორის საიდუმლო წერილების შენახვის წესი.

ნაშრომში სხვა საკოსტებთან ყურადღებას იქცევს ე.წ. „მოგზაურობის ანგარიში“. ეს ანგარიში გამოიყენება ყველა იმ ხარჯის აღსარიცხავად, რომელსაც სავაჭრო ოპერაციები იწვევდა. იგი არის ე.წ. საკალკულაციო ანგარიშის გამოყენების კლასიკური შემთხვევა, ჩვენი დღევანდელი შეძენა-დამზადებასთან ანგარიშის წინაპარი, სადაც აისახებოდა მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შეძენა – დამზადებასთან დაკავშირებული სარჯები, ირკვეოდა ე.წ. ფაქტიური თვითღირებულება და მიღებული შედეგები (მოგება-ზარალი).

ნაშრომის ბოლო თავი სასწავლო-მეთოდური ხასიათისაა. იგი შეიცავს მოკლე განმეორება-დასკვნებს, რეზიუმეს, საერთო მიმოხილვას (კონსპექტს).

ლ. პაჩიოლის ნაშრომში ყურადღებას იქცევს აგრეთვე, იმდროინ-დელი გაგებით, სრულყოფილი, ნამდვილი წესიერი ვაჭრის, როგორც პიროვნების განსაზღვრა. აი რას მოითხოვდა ის ვაჭრისაგან: „ვაჭარი

თავის საქმიანობაში არ უნდა ენდოს თავის მეხსიერებას. ყველაფრის დამასცოვრება შეუძლებელია. პრაქტიკული აუცილებლობა მოთხოვს, მოვახდინოთ ჩატარებული სამუშაოების აღრიცხვა. იგი მარტო იმის საშუალებას კი არ გვაძლევს, რომ დავიმახსოვროთ ჩატარებული ოპერაციები, არამედ ამასთან ერთად, გვაზღვევს კონტრაგენტებს შორის თავიდან ავიცილოთ ვაჭრობასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება, დავა და უქმაყოფილება.

ამდენად, ლუკა პაჩიოლი უნდა აღინიშნოს როგორც ადამიანი, რომელმაც ჩამოაყალიბა აღრიცხვის ორი მიზანი:

1. საქმიანობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება, ანუ აღრიცხვის წარმოება ისე, რომ მიღებულ იქნეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე ყველანაირი ინფორმაცია, როგორც ვალდებულებების, ასევე მოთხოვნების შესახებ;

2. ფინანსური შედეგების გაანგარიშება, რამდენადც ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის მიზანია მისი საქმიანობის შესაბამისი სარგებლის მიღება.

პირველ მიზანს მივყავართ ყოველივე იმის ინტერპრეტაციამდე, რა-საც ლუკა პაჩიოლი წერდა ბელალტრულ აღრიცხვაზე, როგორც ქმედებებისა და მოვლენების ფიქსაციაზე, რომელიც ხდება საწარმოში მისი მართვისას. საბოლოო „ჯამში“, შეიძლება მოგვიხდეს მრავალრიცხვოვანი კომერციული ამოცანების განხილვა რომელთა გადაწყვეტა მმართველების თუ მფლობელების მხრიდან ბელალტრული აღრიცხვის ცოდნას მოითხოვს.

მეორე მიზანს არ მივყავართ ფინანსური აღრიცხვის ფორმულირებამდე, მაგრამ იგი ხაზს უსვამს მოგების როლს არა როგორც საწარმოს წარმატებული საქმიანობის მაჩვენებლს, არამედ როგორც საშუალებას, რომელიც ზღუდავს, ერთი მხრივ, ფასების ზრდას, ვაჭრების მიერ სახსრების არამწარმოებლურ და უთავოლო ფლანგებს და, მეორე მხრივ, მომხმარებლების ექსპლოატაციას. ლუკა პაჩიოლი თვლიდა, რომ ფასი უნდა იყოს სამართლიანი, დაფუძნებული თვითღირებულებაზე და მოგებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ვაჭრის საცხოვრებელ მინიმუმს (მინიმუმი შესაბამება ამა თუ იმ ვაჭრის საზოგადოებრივ მდგომარეობას).

ორივე მიზანი, რომელიც დგას აღრიცხვის წინაშე, მიღლწევა ანგარიშის და ორადი ჩაწერის სისტემის დახმარებით. ანგარიშები – წერდა ლ. პაჩიოლი – არსებითად სხვა არაფერია თუ არა სათანადო წესრიგი,

დადგენილი თვით ვაჭრის მიერ, რომლის წარმატებული გამოყენებისას ის ღებულობს ინფორმაცია საქუთარ საქმებზე და იმაზე მიღის თუ არა ეს საქმეები წარმატებით, ე.ი. ანგარიშების გეგმა უნდა შედგეს მმართველების მიერ და ის ხელს უნდა უწყობდეს სამურნეო საქმიანობის ანალიზის და მართვის მიზნებს. მაგრამ ანგარიშები არის მხოლოდ სისტემის ელემენტები და ამ სისტემის ელემენტებს ე.ი. ანგარიშებს შორის კავშირები მუდავნდება ორადი ჩაწერით.

თუმცა, აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ დღემდე მოპოვებული ლიტერატურული წყაროებიდან ბურალტრული აღრიცხვის ორადი ჩაწერის (ასახვის) ანუ დიგრაფიული აღრიცხვის მეთოდის გამოყენების დასაბუთება ღუკა პაჩილიზე 36 წლით ადრე პირველად მეორე იტალიელმა მეცნიერმა – ბენედუტო კოტრულიმ მოგვცა ნაშრომში – „ვაჭრობისა და პატიოსანი ვაჭრის შესახებ“, სადაც ერთი თავი „სავაჭრო ჩანაწერების წარმოების წესებს ეხება“, მაგრამ იგი 79 წლით გვიან დაიბეჭდა, რის გამოც ამჟამად აღრიცხვის ისტორიაში ორადი აღრიცხვის ბუღალტერიის პირველ ლიტერატურულ ავტორად მიჩნეულია არა ბ. კოტრული, არამედ ლ. პაჩილი.

## **არამატერიალური აქტივების შეძენის აღრიცხვა. როგორც საჭარმოთა გამოყენების ნაწილი**

### **ლალი სადაღაშვილი**

ედ, გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

### **ნანული ქოქაშვილი**

ედ, გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

### **ნინო ტრამაკიძე, თათა გუგუტიშვილი, ნანა შავშიშვილი**

გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები

საწარმოთა გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოების გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. ახლად შექმნილი საწარმოთა გაერთიანების შედევია ის, რომ ერთი სამეურნეო ერთეული, მყიდველი კონტროლს იღებს ერთ ან მეტ სხვა შეძენილ საწარმოზე. საწარმო, რომელსაც აქვს სხვა საწარმოების კონტროლის უფლება, იწოდება შემძენ (მყიდველ) საწარმოდ. მყიდველი საწარმო ვალდებულია ხელახლა მოახდინოს შეძენილ საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების იდენტიფიკაცია და შეფასება. შეფასების შედეგად შესაძლებელია, გაირკვეს, რომ შემძენ საწარმომ შეძენილ წმინდა აქტივებში მათ რეალურ ღირებულებაზე მეტი გადაიხადა. ამ ნამეტის გადახდის მიზეზი, როგორც წესი არის საწარმოს კარგი საქმიანი რეპუტაცია, რაც განპირობებულია: პერსონალის მაღალი კვალიფიკაციით, გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით. საწარმოს კავშირებით მომწოდებელთან, საწარმო შეიძლება იყოს ცნობილი როგორც საიმედო და მაღალი ხარისხის პროდუქციის ან მომსახურების მიმწოდებელი, პქნდებს კარგი ტერიტორიული მდებარეობა. საქმიანი რეპუტაციის წარმოქმნის ფაქტორები მონაწილეობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. ბასს 3-ის “საწარმოთა გაერთიანების” თანახმად, თუ არამატერიალური აქტივი შეძენილია საწარმოთა გაერთიანების დროს, მაშინ ამ არამატერიალური აქტივის თვითდირებულება შეძენის დროს არსებული მისი რეალური ღირებულებაა. არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება ასახავს საბაზო მოლლიდის. მოლლიდის შედეგი აისახება არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებაში. ამიტომ ბასს 38-ის 21 (ა) პუნქტის მოსალოდნელობის აღიარების

კრიტერიუმი ყოველთვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალურ აქტივთან მიმართებაში.

აქტიზ გამომდინარე, წინამდებარე, სტანდარტისა და ბასს 3-ის თანახმად, მყიდველი აღიარებს შეძენილი საწარმოს არამატერიალური აქტივს გაყიდვისგან განცალკევებით შეძენის დღეს, თუ ამ აქტივის რეალური ღირებულება შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს, დამოუკიდებლად იმისაგან, აღიარებული ჰქონდა თუ არა შეძენილ საწარმოს ეს აქტივი საწარმოთა გაერთიანებამდე. ეს გულისხმობს, რომ მყიდველი აღიარებს შეძენილი საწარმოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტს, თუ ეს პროექტი აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივის განმარტებას და მისი რეალური ღირებულება შესაძლებელია საიმედო შეფასდეს. შეძენილი საწარმოს დაუმთავრებელ სამეცნიერო კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტი აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივის განმარტებას, თუ ის იდენტიფიცირებულია, მაგ: განცალკევებულია ან წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი უფლებებიდან.

საწარმოთა გაერთიანების დროს შეიძლება მივიღოთ გუდვილი, რომელსაც შეძენილს უწოდებენ, მაგრამ გუდვილი შეიძლება იყოს საწარმოს შეგნით ჩამოყალიბებული, რომელსაც თანდაცოლილს უწოდებენ. ბასს 3-ის შესაბამისად გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების ნამეტი თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, გალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში. სხვა სიტყვებით, ეს არის ნამეტი თანხა, რომელიც წარმოიქმნება, როგორც სხვაობა საწარმოს შეძენაში გადახდილ თანხასა და შეძენილი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის. საწარმოთა შეძენილი გუდვილი არის საფასური, რომელიც გადახდილია მყიდველი საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების იმედით სამომავლოდ და მოიცავს ისეთ აქტივებს, რომლებიც არ შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალურად და აღირიცხოს ცალკე. გუდვილში განივთებულია მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ხშირად საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივები ჩათვლილია გუდვილში, რომელთა კონკრეტული სახის დაგვნა შეძენის დროს შეუძლებელია. ბასს 3 ითხოვს, რომ შემძენმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებით წარმოქმნილი გუდვილიდან გამოაცალკევოს ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ იდენტიფიცი-

რებადობის კრიტერიუმებს, ე.ი. უნდა დადგინდეს გუდვილთან გამოყოფადი ისეთი აქტივები, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს, გაქირავდეს, გაიცვალოს ან წარმოქმნილია სახელშეკრულები თუ სხვა იურიდიული უფლებით. იდენტიფიცირებადობის შემდეგ მიღებული უნდა იყოს ამ რესურსების აქტივად აღიარების ერთ-ერთი მნილად შესასრულებელი კრიტერიუმის – შეფასების საიმედოობის რწმნა. გუდვილთან გამოყოფილი ინდივიდუალური აქტივები აღიარდება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ისინი იქნებიან იდენტიფიცირებადი, მათი ღირებულება საიმედოდ შეფასდება და მათ ექნებათ მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადა. გუდვილიდან გამოყოფილი აქტივებია: სავაჭრო ნიშანი, სავაჭრო სახელი, კლიენტთა სია და კონტრაქტები, სავაჭრო საიდუმლოებები, როგორიცაა: ფორმულები, პროცესები, რეცეპციები და სხვა. თანდაყოლილი (საწარმოში წარმოქმნილი) გუდვილის აქტივად აღიარება არ ხდება, რადგან ის არ არის საწარმოს მიერ კონტროლირებადი იდენტიფიცირებადი რესურსი. შიდა გუდვილი არ არის მუდმივი, სწრაფად ცვალებადია და შეიძლება საერთოდ გაქრეს იმ მიზეზთა გაქრობის გამო, რომლებმაც იგი წარმოქმნა.

საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულება ჩვეულებრივ შესაძლებელია საკმარისი საიმედოობით შეფასდეს, რათა აღიარდეს გუდვილისაგან განცალკევებით. როცა არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული შეფასებებისთვის არსებობს მთელი რიგი სხვადასხვა აღბათობის მქონე შესაძლო შედეგები, ეს განუსაზღვრელობა აისახება აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრაში და ეს არ ნიშავს რეალური ღირებულების შეფასების შეუძლოებლობას. თუ საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალურ აქტივს აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა, არსებობს უარყოფითი მოსაზრება, რომ მისი რეალური ღირებულება შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს. საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივი შესაძლებელია განცალკევებადი იყოს, მაგრამ მხოლოდ შესაბამის მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივთან ერთად. მაგ: ბუნებრივი წყაროს წყლის სავაჭრო ნიშანი შესაძლოა დაკავშირებული იყოს რომელიმე კონკრეტულ წყაროსთან და შეუძლებელია, გაიყიდოს ამ წყაროსგან დამოუკიდებლად. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი აღიარებს აქტივის ჯგუფს, როგორც ერთ აქტივს, გუდვილისაგან ცალკე, თუ

ჯგუფში შემავალი ინდივიდუალური აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ამის მსგავსად, ტერმინი “ბრუნდი” (საფირმო ნიშანი) ან “საფირმო სახელწოდება” ხშირად გამოიყენება როგორც სავაჭრო ნიშნის ან სხვა ნიშნის სინონიმები. მთებედავად ამისა, პირველად ნახსენები ტერმინები ზოგადი ხასიათისაა და გამოიყენება დამატებითი აქტივების ჯგუფთან მიმართებაში, როგორიცაა სავაჭრო ნიშანი (ან მომსახურების ნიშანი) და მასთან დაკავშირებული სავაჭრო სახელწოდება, ფორმულები, რეცეპტები და ტექნოლოგიური ექსპრტიზა. მყიდველი ერთ აქტივად აღიარებს დამატებითი აქტივების ჯგუფს, რომელიც შეიცავს საფირმო ნიშანს, თუ დამატებითი აქტივების ინდივიდუალური რეალური ღირებულების საიმედო შეფასება შესაძლებელია, მყიდველს შეუძლია ისინი ცალ-ცალკე აქტივებად აღიაროს იმ პირობით, რომ ინდივიდუალურ აქტივებს მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს. არსებობს ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების საიმედო შეფასება შეუძლებელია. ეს ხდება მაშინ, როცა არამატერიალური აქტივი წარმოიქმნება იურიდიული ან სხვა სახის სახელშეკრულებო უფლებით, და ა) არ არის განცალკევებადი ან ბ) განცალკევებადია, მაგრამ არ არსებობს მსგავსი აქტივების გაცვლის ოპერაციების გამოცდილება, ან ფაქტი და, აქედან გამომდინარე, რეალური ღირებულების შეფასება დამოკიდებული იქნებოდა გუდვილზე, რომელთა შეფასება შეუძლებელია. აქტიურ ბაზარზე კოდირებული საბაზო ფასები უზრუნველყოფს არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების ყველაზე საიმედო შეფასებას. შესაბამისი საბაზო ფასი, ჩვეულებრივ, მყიდველის მიმდინარე სახელშეკრულებო ფასია. თუ მყიდველის მიმდინარე სახელშეკრულებო ფასები არ არსებობს, მაშინ ყველაზე ბოლო მსგავსი გარიგებისას დაფიქსირებული ფასის საფუველზე შეიძლება რეალური ღირებულების შეფასება, იმ პირობით, თუ გარიგების თარიღისა და რეალური ღირებულების შეფასების თარიღს შორის ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივების აქტიური ბაზარი, აქტივის თვითღირებულება ასახავს თანხას, რასაც საწარმო გადაიხდიდა აქტივის შესყიდვის დღეს, საქმის მცოდნე და დაინტერესებულ მხარე-

ეს შერის “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით” შესრულებული გარიგების შედეგად არსებული საუკეთესო ინფორმაციის საფუძველზე. ამ თანხის განსაზღვრისას, საწარმო მსგავსი აქტივებისთვის ითვალისწინებს ბოლო დროს შემდგარი გარიგებების შედეგებს. ზოგიერთმა საწარმომ, რომელიც რეგულარულად ყიდულობს და ყიდის უნიკალურ არამატერიალურ აქტივებს, შეიმუშავა აქტივების რეალური ღირებულების არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, ეს მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივების საწყის შეფასებისათვის, თუ მათი მიზანია რეალური ღირებულების შეფასება და ისინი ასახავს მიმდინარე გარიგებებსა და იმ დარგის პრაქტიკას, რომელსაც განეკუთვნება აღნიშნული აქტივი. ეს მეთოდები მოიცავს: ა) მრავალჯერადი ციფრების გამოყენებას, რომლებშიც ასახულია მიმდინარე საბაზრო გარიგებები, იმ მაჩვენებლების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების მომგებიანობაზე (მაგ: ამონაგები, ბაზრის წილი და საოპერაციო მოგება) ან სარგებელი, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ არამატერიალური აქტივის ლიცენზიით გადაცემის შედეგად, საქმის მცოდნე და დაინტერესებული მხარეებისთვის “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით” შესრულებულ გარიგებაში; ან ბ) აქტივისაგან მოსალოდნელი დისკონტირებული მომავალი ნეტო ფულადი ნაკადების შეფასებებს.

შეძენილი დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტზე გაწეული შემდგომი დანახარჯები დაკავშირებულია ცალკე ან საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი დაუმთავრებელი სამეცნიერო-კვლევით ან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტთან და აღიარებულია არამატერიალურ აქტივად და გაწეულია ამ პროექტის შეძენის შემდეგ, რაც უნდა აღირიცხოს (ბას 38 “არამატერიალური აქტივები”) 54-62-ე პუნქტების შესაბამისად. ამავე პუნქტების მოთხოვნების გამოყენება გულისხმობს, რომ ცალკე ან საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილ დაუმთავრებელ სამეცნიერო-კვლევით ან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროექტზე შემდგომ პერიოდში გაწეული და არამატერიალურ აქტივად აღიარებული დანახარჯები: ა) გაწევისთანავე აღიარდება დანახარჯად, თუ ეს სამეცნიერო-კვლევის დანახარჯია; ბ) გაწევისთანავე აღიარდება დანახარჯად, თუ ეს საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯია, რომელიც არ აკმაყოფილებს 57-ე პუნქტში მოცემულ არამატერიალურ აქტივად აღია-

რების კრიტერიუმებს და გ)დაემატება შეძენილ დაუმთავრებელ სამეცნი-ერო-კვლევით ან საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტების საბალანსო მიმდინარე ღირებულებას, თუ ეს საცდელ-საკონსტრუქტო-რო სამუშაოთა დანახარჯია, რომელიც აკმაყოფილებს 57-ე პუნქტის აღიარების კრიტერიუმებს. ბასს 38-ში შემოთავაზებული ცვლილებების განსახილებელ პროექტში მიჩნეულია, რომ დს 15 პუნქტში მოცემული აღიარების კრიტერიუმი ყოველთვის დაკმაყოფილებულია საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივებისათვის. ამის გამო ეს კრიტერიუმი ჩართული არ იყო ED3 საწარმოთა გაერთიანე-ბის ED3-ში. ჩათვლილია, რომ შემძენს მოეთხოვება ყველა შეძენილი არამატერიალური აქტივის ცალკე აღიარება. რესპონდენტთა შენიშვნის გათვალისწინების შეძენება კომიტეტმა გადაწყვიტა: ა)განხორციელდეს შემოთავაზება,რომ ალბათობითი აღიარების კრიტერიუმი ყოველთვის დაკმაყოფილებადია საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამა-ტერიალური აქტივებისათვის; და ბ)არ განახორციელოს შემოთავაზე-ბა, ყოველთვის უნდა არსებობდეს საკმარისი ინფორმაცია საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების სამედოდ შესაფასებლად.+

## სოციალური ინფრასტრუქტურა და დაცვება

ნათელა ჯანელიძე  
სტუ დოქტორანტი

თანამედროვე პერიოდი სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ შეზედულებათა დაპირისპირებად იქცა. ეკონომიკამ რა-დიკალური ცვლილებები განიცადა. რამდენიმე საგანგებო მნიშვნელო-ბის ტენდენცია, თავისებურება დაფიქსირდა, რომლებმაც არსებოთად განსაზღვრეს მეოცე საუკუნეში სოციალურ ეკონომიკური პროცესების ზიგზაგისებური განვითარება. საკუთრების კრძო თუ სახელმწიფო უბი-რატესობათა ხელოვნურად შექმნილი იდეოლოგიის უსაფუძვლობა მო-გხბის სოციალიზაციის პრინციპმა დაადასტურა, ადამიანის ფაქტორს უპირატესობა მიენიჭა.

სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვა, სიღატაკესთან ორგანიზებული ბრძოლის ყოვლისმომცველი სტრატეგია, გარემოს დაც-ვა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ეკონომიკური ზრდის სტრუქტურასა და სარისხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად გან-საზღვრა, საშინაო ბაზრის სტიმულირება, დაცვა, არსებული რესურ-სების ისეთნაირად ათვისება, რომ იგი მომავალ თაობებსაც დარჩეს - ამჟამინდელი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კორექციის ამოსავალი პრინციპი უნდა გახდეს. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პოლიტიკის ერთ მთლიან სისტემად ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის. მასში უპირა-ტესობა ეძღვვა წარმოების სტიმულირებას, საინვესტიციო აქტივობას, მწარმოებლის, მომსხმარებლის, სახელმწიფო ინტერესების დაცვას. ძი-რითად განმსაზღვრელ კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლება, პიროვნების მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაციის გარემოს შექმნა, მტკიცე სოციალური გარანტიების არ-სებობა, ძლიერი სახელმწიფოს ფუნქციონირება.

მესამე ათასწლეულის დამდეგს საქართველოს მიერ განსაზღვრული სტრატეგია შერეული, სოციალურად ორიენტირებული ეფექტიანი სა-ბაზო ეკონომიკის აშენების შესახებ - მიესადაგება მის ისტორიულ ინტერესებს. საქართველომ ეს შესაძლებლობა მორიგ მოდურ იდეოლო-გიურ დოგმებზე არ უნდა გაცვალოს.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ინტეგრაციული პროცესების მასშტაბებისა და მიმართულებების (სოციალიზაცია) შესაბამისად უპირატესობა ეძღვავა სოციალურად ორიენტირებულ ეროვნულ ეკონომიკას, რომელიც სოციალურ სამართლიანობას, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლების პრინციპებს და საკუთრების პლურალიზმის პირობების გათვალისწინებით ეკონომიკის სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების შესამების ოპტიმალური გარემოს შექმნა-აუცილებლობას აღიარებს. მას გვიჩვენებს სოციალურ იდეებზე დაფუძნებული განვითარების მსოფლიო აღიარებული ჩინური პრინციპი, აშშ შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების, გერმანიაში სოციალური მეურნეობის ორგანიზაციის გამოცდილება და ა.შ.

„სოციალური სახელმწიფოს“ ცნება პირველად შემოიტანა გერმანელმა მეცნიერმა ლორენც ფონ შტაინმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

„სოციალური სახელმწიფოსადმი“ გააქტიურებაშ ზელი შეუწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1949წ) შეტანილმა დებულებამ - „ქვეყნის დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობის“ შესახებ. სოციალური სახელმწიფოს ცნება გერმანელი მეცნიერების ინტერპრეტაციით ნიშნავდა სახელმწიფოს აქტიურ სწრაფვას შექმნა ადამიანებისათვის ლირსეული ცხოვრების დონის გარანტი, აგრეთვე დაეკმაყოფილებინა საზოგადოების ყველა ფენის საბაზრო მთხოვნილებები არსებული სტანდარტების შესაბამისად. „სოციალური სახელმწიფოს“ ცნება ჩნდება ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციაში. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა ინგლისურენოვან ქვეწებში, სადაც სამეცნიერო ლიტერატურაში, პრაქტიკაში შემოვიდა „კეთელდღეობის სახელმწიფოს“ ცნება. ეს ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა II მოფლიო ომის შემდეგ, მანედჟ არსებული თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმი უფრნებოდა ინდივიდუალიზმის, თავისუფალი ბაზრის, თავისუფალი კონკურენციის და ა.შ. იდეებს. თვით ეს იდეები მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული ადამიანის უფლებასთან სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და კერძო საკუთრებაზე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციის შემუშავებასა და რეალიზაცია-ში თავისი წვლილი შეიტანეს დასავლეთის ყველა ძირითადი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის –ლიბერალიზმის, სოციალ-დემოკ-

რატიის და კონსერვატიზმის წარმომადგენლებმა. დასავლეთ ევროპის რიგი გამოჩენილი კონსერვატიული მოდვაწე, მაგ. ო. ბისმარკი გერმანიაში, ბ. დიზრაელი ინგლისში და სხვები სამართლიანად თვლებიან კეთილდღეობის სახელმწიფოს ფუძემდებლად, თუმცა დასავლეთ ევროპიაში მის ფორმირებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სოციალ-დემოკრატიაში. ცნობილი გერმანელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი რ. დარენდორფი XX საუკუნეს სოციალ-დემოკრატიის საუკუნეს უწოდდა.

სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და სოციალური დახმარების პრინციპების კვალობაზე ადგილი ჰქონდა კეთილდღეობის სახელმწიფოს ეროვნული ვარიანტების ტიპოლოგიზაციას, რომელსაც საფუძვლად ედო „კეთილდღეობის კაპიტალიზმის“ ტიპებად დაყოფა. ამის კვალობაზე შევდეთი ხასიათდება ყველაზე მაღალი დონით, დიდი ბრიტანეთი საშუალო დონით, ხოლო აშშ დაბალი დონით. ამ კლასიფიკაციის მიხედვით აშშ წარმოადგენს „პოზიტიურ სახელმწიფოს“, სადაც ნებისმიერი სოციალური დანახარჯები მიზნად ისახავნ , ერთი მხრივ, საბაზრო სისტემის განმტკიცებას, უზრუნველყოფებ შრომით სტაჟთან დაკავშირებულ სოციალურ დაზღვევას და, მეორე მხრივ დახმარებას უწევნ უმუშევრებს და ნაწილობრივ მომუშავე დარიბებს.

შევდეთი წარმოადგენს „სოციალური თანასწორობის სახელმწიფოს“, სადაც ჭარბობს გადახაწილების პრინციპი მოთხოვნილებების შესაბამისად. აქ შედეგების მეტი თანასწორობის მიღწევა შეადგენს ოფიციალურად დეკლარირებულ გრძელვადიან მიზანს.

დიდი ბრიტანეთი განიხილება, როგორც „სოციალური დაზღვევის სახელმწიფო“, რომელსაც შუალედური მდგომარეობა ეჭირა შვედეთსა და აშშ-ს შორის. აქ გამოიყენება მატერიალური დოვლათის მინიმუმით უზრუნველყოფა, შრომის სტაჟის, პროფესიონალური სტატუსის და ა.შ. მოუხედვად.

1977 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ფ. ნორმანმა და ტ. ტიმოტიმ ნაშრომში „კეთილდღეობის სახელმწიფო“ გამოყენების სამი სახესხვაობა:

1. „პოზიციური სახელმწიფო“- ესაა სოციალური დაცვის სახელმწიფო, დამყარებული ინდივიდუალიზმის იდეოლოგიასა და კორპორაციული ინტერესების დაცვაზე, რაც არ იძლევა ყველა ფენის დაცულობის მაღალი დონის გარანტიას (მოდელის მაგალითია აშშ.). „სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო“ უზრუნველყოფს მოსახლეობის სრულ

დასაქმებას შემოსავლებით - არანაკლებ საარსებო მინიმუმისა და იძლევა სოციალური შესაძლებლობების თანასწორობის გარანტიას და არა მატერიალურ თანასწორობას (ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთი).

3. „საყოველთაო კეთილდღეობის სოციალური სახელმწიფო“- მასში რეალიზდება თანასწორობის, სოლიდარობის, კორპორატივიზმის პრინციპები. სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურების მეშვეობით ამცირებს სხვაობას მოსახლეობის შემსავლებში.

არსებობს აგრეთვე „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სოციალურ- დემოკრატიული: ლიბერალურ-რეფორმული და კონსერვატიული კონცეფციების გამოყოფის მცდელობები. პირველი ორი აიგო პოსტულატზე, რომლის თანახმადაც კეთილდღეობის სახელმწიფოს ერთ-ერთი მიზანი მდგომარეობს დემოკრატიის გაფართოებაში. მათი ავტორები და მიმდევრები გამომდინარეობენ იდეიდან, რომლის თანახმადაც თითოეულ ინდივიდს უფლება აქვს ცხოვრების ღირსეულ დონეზე, განათლებაზე, ბინაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სოციალურ მომსახურებაზე და ა.შ..

კეთილდღეობის სახელმწიფოს მომზრებს პოზიციის დასაცავად მოჰყავთ არგუმენტები, რომ შეუზღუდავი ბაზარი სახელმწიფოებრივი ჩარევის გარეშე იწვევს თავისუფლების შეზღუდვას და უსამართლობის გაზრდას. მათი არგუმენტი მდგიმარეობს იმაში, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის ამა თუ იმ ხარისხით გადანაწილებისაკენ, წარმოადგენს ნაკლებად პრივილეგიულთა თავისუფლების გაზრდისა და უსამართლობის გამოსაწორების საშუალებას.

შრომის სახოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების საფუძველზე, მატერიალურ ნივთობრივი წარმოებიდან გამოიყო ეკონომიკის დამოუკიდებელი სფერო ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის დარგები აწარმოებენ არა მატერიალურ პროდუქტს, არამედ მომსახურებას. ამიტომ მას მომსახურების სფეროს მიაკუთხნებენ. საერთაშორისო დარგობრივი თანამედროვე კლასიფიკაციის მიხდვით, მომსახურების სფერო ეკონომიკის მესამე სექტორად არის აღიარებული. პირველ სექტორად მიჩნეულია სოფლის მეურნეობა (მასთად ერთად: ნადირობა, სატყეომეურნეობა და თევზჭერა), ხოლო მეორე სექტორად ინდუსტრია (სამთომოპოვებითი, გადამემუშავებელი მრეწველობა და შეწენებლობა).

მომსახურების სფერო, როგორც სხვადასხვა და იმავდროულად ერთ-ერთ დაკავშირებულ დარგთა ერთობლიობა, ჩამოყალიბდა შედარებით გვიან, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო. ამასთან, მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგი წარმოიშვა შორეულ წარსულში, ზოგი თანამედროვე პირობებში. საზოგადოების ადრეულ საფეხურზე არ იყო გამოჯუნელი მატერიალური წარმოებისაგან და ამ სფეროს მომსახურებაზე ყველა მოთხოვნილება უშუალოდ კმაყოფილდებოდა მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა მიერ. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე მასშტაბები განაპირობებენ მომსახურების სფეროს რიგი ახალი დარგების სწრაფ განვითარებას.

ქართველი მეცნიერის ლეო ჩიქავას აზრით: „მომსახურების სფერო წარმოადგენს ამ დარგებისა და საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთა პროდუქტია მომსახურების სახით აკმაყოფილებს ადამიანთა სპეციფიკურ მოთხოვნილებს. რაც უფრო კულტურული, განათლებული და განსწავლულია ადამიანი, მით უფრო კარგია როგორც პირადად მისთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.“

განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგ დარგობრივ ჯგუფებად: წარმოებითი, სოციალური, ინსტიტუციური და ეკოლოგიური.

სოციალური იფრასტრუქტურა დარგთა კომპლექსია, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის აღწარმოებასთან. მასში შედის ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება კულტურა, სამგზავრო ტრანსპორტი, საბინაო კომუნალური მეურნეობა, დასკენების ორგანიზაციის სფერო, საზოგადოებრივი კედება და სხვა. მნიშვნელოვანია მისი როლი სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები ეწევიან განსაკუთრებული ტიპის მომსახურებას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია „საზოგადოებრივი დოკუმენტის“ სახელწოდებით.

ცნობილია, რომ ბაზრის მექანიზმი საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაკავშირებულოს ის მოთხოვნილებები, რომლებიც გამოხატულებას მოთხოვნაში პირებენ. მაგრამ არსებობს რიგი მოთხოვნილებები, რომელთა გაზომვა ფულით შეუძლებელია, ბაზარი მათზე არ რეაგირებს. ასეთი სახის მოთხოვნილებები უკავშირდება განსაკუთრებული ტიპის საქონელსა და მომსახურებას, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია საზოგადოებრივი დოკუმენტის სახელწოდებით.“ საზოგადოებრივ დოკუმენტის აკუთვნებენ იმ საქონელსა და მომსახურებას, „რომელთა

წარმოების საბაზრო სისტემა საერთოდ არ აპირებს, ვინაიდან მათი თავისებურებები მკვეთრად განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარების საქონლის თავისებურებებისაგან.

სოციალური სამართლიანობა გულისხმობს არა მარტო შემოსავლების სამართლიან განაწილებას, არამედ მომსახურების უფლება-მოვალეობების მეტნაკლებად თანაბარ განაწილებას. სწორედ ბაზრის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, კონკურენციის დაცვას და გარკვეულ ფარგლებში ოპტიმალურ შეზღუდვას შეუძლია უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვა, რომელიც განაპირობებს ადამიანის სოციალური დაცვის მეტ-ნაკლებად მყარ სისტემას.

დიდია ჯანდაცვის როლი სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაში, წარმოების ეფექტურიან ამაღლებაში.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჯანმრთელობა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა და ამიტომ უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობასთან.

ჯანდაცვის სფერო პირდაპირ ზომოქმედებს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე, რაც გამოიხატება იმ მატერიალური ზარალის აცილებაში, რომელსაც მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკა, რომ არ ჩატარებულიყო ავადობის, ინვალიდობის საწინააღმდეგო და უდროო სიკვდილიანობასთან ბრძოლის ღონისძიებები.

ჯანმრთელობის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც შემდეგში გამოიხატება: დააგადებათა კლებით მცირდება მუშამოსამსახურეთა ავადმყოფობის მიზეზით სამუშაო დროს დანაკარგები. იზრდება წარმოების მოცულობა. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უზრუნველყოფს შმრომელთა მყარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მათ ინტელექტუალურ ფიზიკური პოტენციალის რაციონალურ ჩართვას საწარმოო შემოქმედებით პროცესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მექანიზებული, აკტომატიზირებული და ბუნებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. ეს კი უზრუნველყოფს მუშაკთა საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობების და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ოპტიმიზაციას, რაც, თავის მხრივ „ასტიმულირებს შრომის მწარმოებლურიბას და ინტელექტუალური აქტივობის ზრდას. მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კეთილდღეობის ამაღლება ხელს უწყობს შობადობის გაზრდას, ბავშვთა ავადობის და მოკვდავობის შემცირებას. ყოველივე ეს განაპირობებს

შორის რესურსების გაფართოებულ აღწარმოებას, სიცოცხლის საშუალო სანგრძლივობის სოციალური ეკონომიკის უძნიშვნელოვანების მაჩვენებლის ზრდას. საქართველოში დინამიკაში ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დახმარებაში მთლიანი შიდა პროდუქტის დირექულებამ (მიმდინარე ფასებში მდნ. ლარი) 2004 წელს 345,8; 2005 წელს 404,0; 2006 წელს 597,5; 2007 წელს 688,6; 2008 წელს 835,2, ხოლო 2009 წელს კი 1021,4 შეადგინა. როგორც ვხედავათ აღნიშნული მაჩვენებლისთვის დამახასიათებელია ზრდა.

საქართველოს კანონში „დაზღვევის შესახებ“ (1997წ.) დაზღვევა განმარტებულია, როგორც ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოებების დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვეო შენატანებით (სადაზღვეო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.

დაზღვევა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. თანამედროვე პირობებში დაზღვევა, როგორც ყველა ეკონომიკური პროცესისა და გარიგების აუცულებელი ელემენტი, ხელს უწყობს ბიზნესის მდგომარეობას და სიცოცხლისუნარიანობას, მის აღწარმოებას. 2002 წელს მსოფლიო მასშტაბით ამ მაჩვენებელმა 2627 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 1536 მილიარდი სიცოცხლის დაზღვევაზე მოდიოდა და 1091 სხვა დაზღვევაზე.

რაც შეეხება სოციალურ დაზღვევას, ეს არის ეროვნული შემოსავლების განაწილებათა ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მდგომარეობს სპეციალური სადაზღვეო ფონდების ფორმირებაში იმ პირთა შესახებ, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში (ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები). სოციალური დაზღვევის ფონდები ყალიბდება სახელმწიფო დოტაციებიდან და დასაქმებულების სადაზღვეო შენატანებიდან.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სოციალური დაზღვევის სისტემა სოციალური დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია სიბერეში მატერიალურ უზრუნველყოფაზე, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, უმუშევრობის შემთხვევაში. მიღებული სახსრების ოდენობა დამოკიდებულია სადაზღ-

ვევრ სტაჟის ხანგრძლივობაზე, ხელფასის ოდენობაზე, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხზე, ხელფასის ოდენობაზე და რეგულირდება კანონით.

სოციალური დახმარებისგან განსხვავებით, როდესაც ადამიანი შემწეობას ღია და მარტივი საზოგადოებრივი საშუალებების ხარჯზე, სოციალური დაზღვევის პროგრამების მიხედვით შემწეობის ფინანსური წყაროებია სპეციალიზებული ფონდები, რომელიც ყალიბდებიან დაზღვეულების უშუალო მონაწილეობოთ.

მოსახლეობის სოციალური დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს სათვე დაედო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში. ამჟამად მის ბირთვს აუცილებელი სოციალური დაზღვევის სისტემა შეადგენს. მას ფართოდ იყენებენ გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთსა და შვეიცარიაში.

მოგვიანებით, 1946 წელს დიდ ბრიტანეთში სოციალური დაზღვევის სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც ბევერიჯის მოდელით არის ცნობილი. ამჟამად იგი გავრცელებულია დიდი ბრიტანეთის გარდა ავსტრია, ირლანდია, კანადა და ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. მასაში დომინირებს სახელმწიფოებრივი სოციალური უზრუნველყოფა, რომლის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო საგადასახადო სისტემის ხარჯზე. საინტერესოა იტალიის სოციალური დაზღვევის მოდელი, რომელიც ისევე როგორც ევროპული ქვეყნების უმეტესობა, იყენებს ბისმარკისეულ მოდელს, რომლის სახსრები ყალიბდება მეწარმეთა და მომუშავეთა ხარჯზე.

საქართველოში სოციალური დაზღვევა საჭირო იყო ანაზღაურებადი შრომითი დასაქმებული პირებისათვის. დასაქმებული პიროვნება ექვემდებარებოდა სავალდებულო სოციალურ დაზღვევას. 2002 წლამდე არსებობდა „სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შენატანი (დაქქირავებლის სახელმწიფო ფონდზე დარიცხული 3% + დასაქმებული ს ხელფასის 1%) 2003 და 2004 წლებში ბიუჯეტის კანონის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტი შედგებოდა ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური ფონდებისაგან (მათ შორის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი).

2004 წელს ვერ მოხერხდა ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერსა და სოციალური გადასახადის ცალ-ცალკე დამისამართება, ამიტომ იგი განიხილება, როგორც ცენტრალურ ბიუჯეტში გამოყოფილი სახ-

სრები. 2005 წელს სოციალური დაზღვევის გადასახადი გაუქმდა და დაწესდა სოციალური გადასახადი, რომელიც უშუალოდ ბიუჯეტში აკუშულირდება. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებით ხორციელდება, ამდენად იგი ცენტრალური ბიუჯეტის დანაყოფს განკუთვნება.

ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა მოითხოვს ქვეყანაში მძლავრი ეკონომიკური სტრუქტურების არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მხოლოდ თვის გადასახადების ხარჯზე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის ფართო სპექტრის დაფინანსება. მკვლევართა აზრით, სოციალური დაზღვევა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის მაღალი დონე წარმოადგენს ზედნაშენს, რომელიც ქვეყნის მძლავრ ეკონომიკას ეფრდნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური დაზღვევის სისტემა უძლიერი ხდება უზრუნველყოს მოსახლეობა სათანადო სამედიცინო მომსახურებით.

## საქართველოს საზღვაო პორტების გდგომარეობა და განვითარების მიმართულებები

თამარ კილაძე  
ემდ, სტუ-ს სრული პროფესორი.  
**ტარიელ ქოქოლაძე**  
სტუ-ს დოქტორანტი.  
**ჯემალ შარაძე**  
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოს საზღვაო ქვეყნის სტატუსი მისი დიდი უპირატესობაა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. საქართველოს გავლით ყველაზე ხელსაყრელი პირობებით შესაძლებელია ტვირთების გადაზიდვა მეზობელ სასომხეთსა და აზერბაიჯანში, აგრეთვე შესა აზისს სახელმწიფოებში. ამიტომ ქვეყნამ შეძლებისადაცვარად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობა და მიაღწიოს სატრანსპორტო გადაზიდვების მკვეთრ ამაღლებას, რაც საბოლაოდ მისი ეკონომიკის განვითარებაში გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოზე დღეს გადის უმნიშვნელოვანების სატრანსპორტო-სატრანზიტო გზები, იგი მის პოტენციურ შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც ცხრილში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების შედარება

### ცხრილი 1 ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა).<sup>1</sup>

წლები	სულ	სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	სპაერო
1990	253074,9	76860,9	167070,0	9127,0	17,0
1995	14985,1	4656,4	8690,0	1636,6	2,1
2000	30060,0	11496,1	18500,0	62,6	1,3
2005	45971,5	18986,7	26959,3	23,9	1,6
2009	45275,3	17104,0	28170,9	-	0,4

1 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკურ წელწლეული 2010 გვ. 199.

ქვეყნას დღეისათვის არ გააჩნია საზღვაო ტრანსპორტი, აქ იგულისხმება საზღვაო და საოკეანო ტრანსპორტი, ამიტომ საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდული ტევრობების მოცულობა 1990 წლიდან მოყოლებული განუწყვეტლივ მცირდება და ბოლო პერიოდში ნულიძღვები დაეცა. სახარბიელო მდგომარეობა არც სხვა სახის ტრანსპორტთან დაკავშირებით გვაქვს. მათ შორის რკინგზის ტრანსპორტთაც კი, რომელიც ტრანსპორტის ყველა სახეობასთან შედარებით უკეთს მდგომარეობაშია. გადაზიდული ტევრობის მოცულობა ბოლო 20 წლის განმავლობაში მკვეთრადაა შემცირებული, თითქმის 4.5-ჯერ, საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტევრობი კი - 4.9-ჯერ და ა.შ. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობის მკვეთრ გაზრდას, რაც შესაძლებელია რიგი ფაქტორებით და ,უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკის საერთო გაფანსაღებით, მაგრამ ეს შორეული პერსპექტივა და პირველი რიგის ამოცანად მიზანშეწონილია ფურადღების გამახვილება ტრანზიტული ტევრობის მომსახურეობაზე. ეს უკანასკნელი კი საქართველოს საზღვაო პორტების განვითარებითაა შესაძლებელი, რადგან პორტებში დამუშავებული ტევრობის მოცულობაზეა დამოკიდებული ტევრობით და სარკინიგზო ტრანსპორტზე თითქმის მთლიანად და მნიშვნელოვნად – საავტომობილო ტრანსპორტზე.

ქვეყნას ორი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტი გააჩნია-ბათუმისა და ფოთის.

2008 წლის ოქტომბერში სს „ყაზტრანსილი“-ს შეილობილმა კომპანიამ «BatumI Industrial Holdings»-მა შეიძინა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ხანგძლივი მართვის უფლება და ბათუმის ნავთობტერმინალი.<sup>1</sup>

ბათუმის საზღვაო ნავსადგური განლაგებულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ნავსადგურის ტერიტორია შეადგენს 22.2 ჰა-ს. ნავმისადგომთა რაოდენობაა - 11, ღია სასაწყობე ტერიტორიების საერთო ფართია 15656 მ<sup>2</sup>, ნავსადგურის პერსონალის რიცხვი 2011 წლის ბოლოს იყო 709 კაცი.

გემების ნავმისადგომებთან დაყენება და სატევრო ოპერაციების წარმოება ნავსადგურში ხორციელდება დღე-ღამის განმავლობაში. ნავსადგური აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, რაც იძლევა ნავსადგურში მდგომი გემების უსაფრთხოების და ტევრობების დაცვის

1 ინფორმაცია მოპოვებულია ბათუმის პორტის ოფიციალური საიტიდან. <http://www.batumiport.com/>. გადამოწმებულია 23.02.2012.

შესაძლებლობას.

საწარმო საქმიანობის განხორციელებისათვის ნავსადგური აღჭურვილია შესაბამისი სპეციალური მოწყობილობებით და დანადგარებით, მათ შორის უმნიშვნელოვანესი ნაპირდამცავი ნაგებობებით, ნავმისადგომებით, გადამტკირთავი მექანიზმებით, საწყობებით, სანავსადგურო ფლოტის გებებით, ნავსადგურის შიდა სარკინიგზო და საავტომობილო გზებით, ავტოტრანსპორტით, სარემონტო სახელოსნოებით, წყალგაფანილობის სისუემით, კავშირითა და საზღვაო-სამგზავრო სადგურით. პორტში არსებობს სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი.

ბათუმის პორტის ფინანსური მაჩვენებლები უკანასკნელი წლების მანძილზე ასე გამოიყერებოდა.

### ცხრილი 2.

ბათუმის პორტის ფინანსური მაჩვენებლები (ლარი)


წელი	2009	2010	2011
შემოსავლები	40220000	42079000	49772501
ხარჯები	26577000	28773000	36738000
მოგება გადასახადის გარეშე	13642000	13306000	13034138

ფოთის ნავსადგურიც უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია. ფოთის პორტიც, ისე როგორც ბათუმის, მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. ამჟამად პორტის მთლიანებლობაშია ტვირთის ტრანსპორტირების კომპლექსი 14 ნაგმისადგომით და 2650 მ სიგრძით. ნავმისადგომი აღჭურვილია 6-40 ტონაზე გათვლილი პორტატული ამწევებით.

ფოთის პორტის ტექნიკური პარამეტრები გრაფიკულად წარმოდგენილია სურათებზე 1, 2, საიდანაც ჩანს, რომ ტვირთბრუნვა 2000 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა 2008 წლამდე, ხოლო 2009 წლისათვის ტვირთბრუნვა 2 მლნ. ტ-ით შემცირდა. შეგავსი სიტუაცია ტვირთნაკადების მიხედვითაც, ხოლო რაც შეეხება ტვირთების სტრუქტურას, იგი თითქმის არ იცვლება.<sup>1</sup>

1 ფოთის პორტის ოფიციალური საიტი. <http://www.potiseaport.com/>.

## ლარგობრივი ეკონომიკა




სურ.1. ტვირთნაკადები ფოთის პორტში. 2000-2009 წწ. (ათასი ტონა)

როგორც ბათუმის, ასევე ფოთის პორტის ადგურვილობა შედარებით მოძველებულია. პორტატული ამწების ხანდაზმულობა 30 წელს აღმატება, ასეთივე მდგომარეობაშია პორტების მფლობელობაში არსებული ბუქსირები და სხვა მსგავსი მოწყობილობები. მართალია დღეისათვის არსებულ შეკვეთებს არსებული ტექნიკის სიმძლავრეები სრულად პასუხობს, მაგრამ მომავალში ტვირთნაკადების ზრდის შემთხვევაში, სიმძლავრეთა გაზრდა აუცილებელი იქნება. ამასთან ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით იზრდება გემების და ტვირთების მოშახურეობის კულტურისადმი მოთხოვნა, რისი დაკმაყოფილებაც თანამედროვე ტექნიკას მოითხოვს.


საქართველოს ორივე საზღვაო პორტში არსებული მდგომარეობა თითქმის იდენტურია. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია პორტებში:

- დაინერგოს გემების მოშახურეობის ავტომატური მართვის სისტემა, მათი მოსალოდნელი შემოსვლის, მათვან მიღებული ინფორმაციის და ნავმისადგომების სიმძლავრის გათვალისწინებით. ამით შესაძლებელი იქნება პორტების სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენება, სამუშაოთა რიტმულობის უზრუნველყოფა, მოცდენების შემცირება, ტექნიკურ საშუალებათა ოპტიმალური დატვირთვა;

- საზღვაო პორტების ნავმისადგომთა შეზღუდული სიღრმის გამოჩვენთან ვერ შემოდიან დიდი წყალწყვის გემები, განსაკუთრებით ეს ითქმადამოწებულია 23.02.2012.



სურ.2. ტვირთნაკადები ფოთის პორტში. 2000-2009 წწ. (ათასი ტონა)



მის ფოთის ნავსაღვურზე, რომელიც პერიოდულად ისილება მდინარეთა ჩამონატანების და ზღვაში დინების მიმართულების გავლენით. ფოთის პორტს გააჩნია სილის მტუმბავი რუსული წარმოების კატერი, მაგრამ ამ კატერის მუშაობა ერთის მხრივ მისი შეზღუდული სიმძლავრის და მეორეს მხრივ, მტუმბავ საშუალებათა არასაკმარისობის გამო, ვერ აუდის დასახული ამოცანების შესრულებას. ამ მიზნით აუცილებელია

აღნიშნული დანიშნულების მძლავრი კატერის შეძენა ერთი ერთეულის მაინც, რაც მნიშვნელოვან ინვესტიციებთანაა დაკავშირებული-მოითხოვს 5-6 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოსალოდნელ შედეგებს, ასეთი ინვესტიციის განხორციელება, თუნდაც მისი წყარო რომელიმე უცხოური კომერციული ბანკი იყოს, მაინც გამართლებულია;

- ბათუმის და ფოთის პორტების აღჭურვილობა, როგორც ბუქსირები, ასევე ამწევ საშუალებები მოითხოვენ განახლებას. საქამარისია აღინიშნოს, რომ ასეთი საშუალებების საშუალო ზრდაზმულობა 25 წ-ს აღემატება. ამიტომ მათი ტვირთამწეობაც და წარმადობაც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აქაც საჭიროა ინვესტიციების განხორციელება (70-80 მილიონი აშშ დოლარი). იმის გათვალისწინებით, რომ პორტების ტექნიკური განახლებითა და მომსახურეობის სისწრაფის, კულტურისა და სამედიობის ამაღლებით, მოსალოდნელია შავი ზღვის მეზობელი პორტებიდან (ნოვოროსიისკი, ოდესა და სხვა) გემების და ტვირთების გადმომისამართება, განსაკუთრებით შუა აზიის სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი ტვირთების შემთხვევაში, ასეთი მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებაც აუცილებელი და ეკონომიკურად გამართლებულია;

- საქართველო საზღვაო ქვეყანა რომ არის ეს მისი დიდი უპირატესობაა, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქტურას არ შემორჩა არც ერთი საზღვაო ლაინერი, თუ ტანკერი (წარსულში საოკანო ფლოტის რიცხვი 80-ს აღემატებოდა). ამ მიმართებითაც აუცილებელია მუშაობის გააქტიურება და საკუთარი საზღვაო ფლოტის თანდათანობით ჩამოყალიბება.

## ბერძნულ აღრიცხვის სისტემების მროვნელი თავისებურებანი

### ნინო გრიგოლაძა

ეად, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა

სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### ელგუჯა კონკარია

ეად, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ყოველ კონკრეტულ ქვეყანას გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკუთარი სისტემა და მიზანშეწონილია დადგინდეს ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთი სისტემების შექმნისა და ფუნქციონირების თავისებურებებს.

მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: კერძოდ, წამყვანი პროფესიული ორგანიზაციებისა და თეორიტიკოსების გავლენა; ბუღალტრული აღრიცხვის ამა თუ იმ სისტემის გამოყენების ეკონომიკური შედეგები; საერთო ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში; საგადასახადო პოლიტიკა; ეროვნული თავისებურებანი; მომხმარებლები და მათ მიერ დასახული მიზნები; სამართლებრივი გარემო; ფინანსირების წყაროები; ენა; სხვა ქვეყნების გავლენა.

წამყვანი პროფესიული ორგანიზაციებისა და თეორიტიკოსების გავლენა. ზოგიერთ ქვეყნაში ბუღალტრული აღრიცხვის თეორიტიკოსები დიდ გავლენას ახდენენ საერთო სიტუაციაზე. მაგალითად, ნიდერლანდებში თეოდორ ლიმპერგი გახდა „ეკონომიკა ბიზნესისათვის“ მიდგომის დამფუძნებელი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ქვეყნის ბუღალტრულ აღრიცხვას, რომელმაც თანმიმდევრულად განდევნა აღრინდელი სისტემა. ეს მიდგომა სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ქვეყნის მსხვილ კომპანიებში.

ფინეთში მარტა სარიომ შეიმუშავა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემისადმი თავისი მიდგომა, გააკეთა რა აქცენტი ფულადი სახსრების ნაკადებზე. ზოგიერთ ქვეყანაში ბუღალტერის პროფესია ძალიან პრესტიულია და ამ სფეროს სპეციალისტები სარგებლობენ დიდი გავლენით. ამისი ნათელი მაგალითია - ინგლისში და უელსში ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის საქმიანობის წარმატება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს „სანდო და სამართლიანი“ მიდგომის შემუშავება.

ბუღალტრული აღრიცხვის ამა თუ იმ სისტემის გამოყენების ეკონომიკური შედეგები. გამოქვეყნებული ბუღალტრული ინფორმაცია შეძლებ გამოიყენება – წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა დროისა და საშუალებების ხარჯვას მის მომზადებაზე. ეს მონაცემები ხდება ფირმების სახელშეკრულებით და ვალდებულებითი ოპერაციების საფუძველი, მაგალითად, საგადასახადო ორგანოებითან ურთიერთობებისას და ნასესხები საშუალებების ლიმიტის დადგენისას. ბევრი ამ ინფორმაციას იყენებს გადაწყვეტილებების მიღებისას. ამიტომ ბუღალტრული ანგარიშების ნორმატივების ცვლილები შეიძლება გამოიწვიოს ფირმის სახელშეკრულებო და ვალდებულებითი ოპერაციების ცვლილება, ასევე მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე, ე.ი. იწვევს „ეკონომიკურ შედეგებს“. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დაინტერესებული პირები, პირველ რიგში კომპანიების მფლობელები ახდენენ ძლიერ ზეწოლას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებზე, რათა მათ მიიღონ მათთვის ხელსაყრელი სტანდარტები. აშშ-ში „ეკონომიკური შედეგების“ პრობლემა და შესაბამისი ზეწოლა კანონმდებლებზე განიხილება, როგორც სპეციალისტების გამოწვევა და წინააღმდეგობა რეგულირების ამ სფეროში.

აშშ-ს ფინანსური აღრიცხვის საბჭოს თავმჯდომარე გამოვიდა მოწოდებით დაეშვათ არსებული სისტემის მოდერნიზაციაში ლობისტები, იმ პირობით რომ რეგულირება კერძო სექტორის მხრიდან შენარჩუნდებოდა. არაან ისეთებიც რომლებიც ფიქრობენ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები დაკრგავენ ნდობას, თუკი მათ გადაწყვეტილებაზე გავლენას მოახდენს ის პირობები, რომლებიც არ არაან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკურ მხარესთან.

თუმცა, რომელი თვალსაზრისითაც არ უნდა გახდეს დომინირებადი, ეჭვგარეშეა, რომ მრავალ ქვეყანაში შეიძლება მოიქცნოს შემთხვევები, როცა ეკონომიკურმა შედეგებმა მოახდინეს არსებითი გავლენა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაზე, რადგან გამოქვეყნებული მონაცემების მომხმარებლებისათვის გადაწყვეტილებების მიღებისადმი მიღორება განსხვავებულია ქვეყნებში, „ეკონომიკური შედეგების“ გავლენა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაზე არა-ერთგვაროვანია.

საერთო ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში. თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაზე. ამ სფეროდან

შედარებით თვალსაჩინო მაგალითი: ინფლაციის მაღალმა ტემპმა შეიძლება მიგვიყვანოს ინფლაციური ბუღალტრული სისტემის შექმნამდე, როგორც ეს ფაქტიურად მოხდა ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

დიდ ბრიტანეთში მკვლევარებმა გამოავლინეს მჭიდრო ურთიერთკავშირი საპროცენტო განაკვეთის სიდიდეება და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფლაციურ სისტემას შორის.

საგადასახადო პოლიტიკა ზოგიერთ ქვეყანაში კანონი მოითხოვს, რომ ბუღალტრული ანგარიშგება მომზადებული იყოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გერმანია, რომელიც წარმოადგენდა ასეთი მიდგომის ლიდერს, ამ მიზნით იყენებს ტერმინს „ვალდებულების პრინციპი“. ცალკეულ ქვეწებში კანონი იძლევა, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სხვადასხვა სისტემებიდან, არჩევანის უფლებას. ამასთან საგადასახადო შედავათების მიღება დამოკიდებულია არჩეულ აღრიცხვის სისტემაზე. მაგალითად, ნორვეგიაში დაშვებულია კვლევების დანახარჯების კაპიტალიზირება, მაგრამ პრატეგიკაში ეს ხდება იშვიათად, რამდენადაც საგადასახადო შედავათი ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი ღირებულება ჩამოწერილია ანგარიშებიდან.

რობერტ კეკი მოგვითხრობს პრობლემაზე დიდ ბრიტანეთში, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების სისტემასთან, რომელსაც პირობითად ეწოდება „მარგალიტების ჯაჭვი“, რომლის დროსაც ნავთობის პარტიამ შეიძლება გაიაროს 30 ან 40 შეამაგლი მწარმოებლიდან მომსამარებლამდე. ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როცა ერთი და იგივე კომპანია აღმოჩნდება ამ ჯაჭვში რამდენიმეჯერ და დეს შეთანხმებას ჯაჭვის სხვა წევრთან გარიგების არა მთელ ღირებულებაზე, არამედ მხოლოდ მის მარჟაზე. აქ წამოიჭრება საკითხი ასეთი გარიგებები აღირიცხოს მთელი ღირებულებით თუ მხოლოდ ნეტო-ოპერაციით. ასეთი „გადამყიდველობითი“ აღრიცხვის პრობლემა წარმოიქმნება იმიტომ, რომ დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემა მოითხოვს ყველა საბაზო გარიგების აღრიცხვას.

**ეროვნული თავისებურებანი.** გამოდიან რა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საერთაშორისო პარმონიზაციის მოთხოვნით, სპეციალისტები წინააღმდეგობის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ასახელებენ პოლიტიკას და ნაციონალიზმს. თითოეული თვლის, რომ სწორედ მისი სისტემაა საუკეთესო და არ სურს მასში არაფრის შეცვალა, რამდენადაც დარ-

წმუნებულნი არიან, რომ სწორედ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების მათი სისტემაა ყველაზე კარგი და უნდა შეცვალოს სხვა ქვეყნებმა. ზოგიერთ შემთხვევაში ნაციონალური ღირსება გაძლიერდება განსაკუთრებით ძლიერი ისეთ მჭიდრო კავშირის დროსაც კი, როგორიც არსებობს აშშ-სა და კანადას შორის. ეს უკანასკნელი ამტკიცებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სისტემისადმი საკუთარის მიდგომის არსებობის აუცილებლობას.

გამოჩენილი მკგლევარი ბუმი წერს, ერთმნიშვნელოვნად უნდა ვალიაროთ, რომ მექანიკური და სრული ადაპტაცია კანადისათვის ამერიკული ბუღალტრული სისტემისა არ შეიძლება. „კანადა უნიკალური ქვეყანაა, და მისთვის აუცილებელია ქონდეს საკუთარი ორგანიზაცია, რომელიც დაგეუბული იქნება ამ სფეროში სტანდარდების შემუშავებით“.

**მომხმარებლები და მათი ინტერესები.** ქვეყნებში ბუღალტრული ანგარიშები მკვეთრად განსხვავებულია, რამდენადაც გათვალისწინებულია განსხვავებული მიზნებისათვის და მომხმარებლებისათვის. თუკი ვისაუბრებთ დიდბრიტანეთზე, აქ არსებობს გარკვეული გაურკვევლობა მომხმარებლებთან მიმართებაში. უერნალ Corporate report ბუღალტრული ანგარიშების ინფორმაციის ანგარიშების მომხმარებლებად განსაზღვრავს ინვესტორებს, კრედიტორებს, კომპანიის თანამშრომლებს, ანალიტიკოსებს და მრჩევლებს, საქმიან პარტნიორებს, მთავრობას და საზოგადოებას.

თუმცა Corporate report ინფორმაციის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ ბრიტანეთში მოქმედი კანონები „შემოსაზღვრავს ანგარიშების მომხმარებელების წესს საკუთარი აქციონერებითა და კრედიტორებით. ესპანეთში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სისტემა ითვალისწინებს სპეციალური ანგარიშების წარმოდგენას. მომხმარებლების რიცხვში აერთიანებენ „აქციონერებს, კრედიტორებს, მომუშავებს, მთავრობას და აგრეთვე კონკურენტებს“. იტალიაში უფრო ფართო ბუღალტრული ანგარიშების მომხმარებლების სია, ის აერთიანებს აქციონერებს, მუშებს, ფინანსურ ანალიტიკოსებს, კრედიტორებს, პოტენციურ ინვესტორებს, პარტნიორებს, აგრეთვე მომწოდებლებს და შემკვეთებს, მთავრობას, განსაკუთრებით მის საგადასახადო ორგანოებს, მომხმარებლებს, პოლიტიკურ პარტიებს და პროფესიულ კავშირებს.

**სამრთლებრივი გარემო.** ქვეყნები, რომლებიც მისდევენ საერთო სა-

მართლის ტრადიციას, მაგალითად დიდი ბრიტანეთი ბუღალტრული აღიცხვისა და ანგარიშგების სისტემა აგიება ყველაზე საერთო პრინციპებიდან. ქეყნები, რომელიც მისდევენ რომის სამართლს, გააჩნიათ აღრიცხვის კონფიდენციალური სისტემა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ყველა სტანდარტი და პროცედურა. ბუღალტრული საქმის პრაქტიკა ძლიერადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად მკაცრად და თანმიმდევრულება გამოიყენება მიღებული კანონები პრატიკაში. შეიძლება მოვიყვანოთ იტალიის მაგალითი, როგორც ქვეყნისა, რომელშიც ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატივები გამოიყენება უფრო მოქნილად, ვიდრე ამას შეიძლება ველოდოთ მისი ფორმალური განმარტებიდან.

ამერიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ მაღალი სამართლებრივი შეგნების საზოგადოებაში ბუღალტრული და აუდიტორები მისწრაფიან ქონდეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ნათელი, ერთმნიშვნელოვანი წესები.

**ფინანსირების წყაროები.** თუკი კომპანიების დაფინანსება ზორციელდება საფონდო ბირჟების მეშვეობით ე.ი. ყველა მსურველზე აქციების გაყიდვით, შეიძლება ველოდოთ, რომ გამოქვეყნებული ბუღალტრული ინფორმაციის ხარისხი იქნება უფრო მაღალი, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ ფინანსირება ხორციელდება კერძო შეთანხმებით, რამდენადაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დამფინანსებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია თვითონ შეთანხმებიდან. ევროპული შეთანხმების ფარგლებში გამოცემულ იქნა რამოღენიმე დირექტივა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ფინანსური ფონდების პრაქტიკის შეთანხმებისათვის. საფონდო ბირჟის ერთიანი ევროპულმა შეთანხმებამ შეეძლო მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის პარმონიზაციისთვის მასტიმულორებელი გავლენა ევროპაში.

ფინანსირების სხვადასხვა წყაროება შეიძლება მოითხოვოს გამოქვეყნებული ინფორმაციის დეტალზაფიის სხვადასხვა ხარისხი. მაგალითად, ისრაელში სამრეწველო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად თუ ნაწილობრივ ეკუთვნის სახელმწიფოს. და ასეთი კომპანიებისათვის ბუღალტრული ინფორმაციის წარდგენისადმი მოთხოვნა გაცილებით მკაცრია, ვიდრე დანარჩენი კომპანიებისათვის.

**ენა.** როცა ბუღალტრული აღრიცხვის ნორმები ითარგმნება სხვადასხვა ენაზე შეიძლება წარმოიშვას გარკვეული სიძნეები. ესპანეთში ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის განმავლობაშიც შეფასებულ იქნა ბუ-

ღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ესპანურ ენაზე თარგმნის ხარისხი. ამ კვლევამ გამოავლინა რამოდენიმე სერიაზული შეცდომა. ასეთი პრობლემები ვლინდება მაშინ, როცა ბუღალტრული კონცეფციები, რომელიც დაფუძნებული ერთი ქვეყნის კულტურულ თავისებურებებზე, ითარგმნება იმ ქვეყნის ენაზე, რომლის კულტურა მკეთრად განსხვავდებულია.

**სხვა ქვეყნების გავლენა.** გარკვეული მიზეზებით ერთმა სახელმწიფომ შეიძლება დაუშვას, რომ სხვა ქვეყანამ მოახდინოს გავლენა მასი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაზე. ცალკეულ შემთხვევებში კი ასეთი გავლენა შეიძლება იყოს შემთხვევითი. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ფრანგული „გეგმიური“ სისტემა ქვეყანაში დაწერგილ იქნა გერმანელი ოკუპანტების მიერ, მეორე მსოფლიო ომის დროს თუმცა შემდგომში, საფრანგეთის მთავრობას არ უთქვაშს უარი ამ სისტემაზე აღიარა რა ეკონომიკის მართვის ხელსაყრელ სისტემად. ბრიტანულ თანამეგობრობაში ზოგიერთი ქვეყნის წევრობამ, გამოიწვია მათ სისტემაზე ბრიტანული სისტემის გავლენა. თანამეგობრობაში შემავალი ოთხ ქვეყანაში ამ გავლენის ხარისხის კვლევაში აღნიშნულია, რომ თითოეული ქვეყანა თავისუფალი იყო ბუღალტრული სისტემის კომპონენტების არჩევაში, მათ შედლოთ შეერჩიათ ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ბრიტანული კონონმდებლობის ნაწილი დამოუკიდებლად, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

## ბიზნესი, მარკეტინგი, მარქეტინგი

**მარკეტინგის არსე და ფუნქციები,  
მარკეტინგის ღევინცია**

**ეკატერინე გვალიშვილი  
სტუ დოქტორანტი**

მარკეტინგის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ არსებობს მარკეტინგის დაახლოებით 4000 განსაზღვრა. <sup>1</sup> როგორც ეკონომიკური კატეგორია მარკეტინგი იწყებს წარმოშობას XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, აშშ-ში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, როდე-საც გართულდა საქონლის რეალიზაციის პრობლემები მსხვილმასშტა-ბიანი წარმოების განვითარებისა და ბაზარზე კონკურენციის გამწვავე-ბის პირობებში. „გამყიდველის ბაზრის“ შეცვლამ „მყიდველის ბაზრით“ შექმნა საბაზრო საქმიანობის ახალი უფრო ეფექტური მიღვომების ათვისების აუცილებლობა.

მარკეტინგის დარგში საასრებლო მუშაობას ეწევიან მარკეტინ-გის ეროვნული და საერთაშორისო ასოციაციები. მათ შორის ყველაზე მსხვილია: საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგის შესწავლის ევრო-პის საზოგადოება, მარკეტინგის საერთაშორისო ფედერაცია. ფართოდ ცნობილია მარკეტინგის ამერიკის ასოციაცია, მარკეტინგის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში, მარკეტინგის ინდოეთის ინსტიტუტი და სხვა ეროვ-ნული ასოციაციები.

თავდაპირველად მარკეტინგის ტერმინის შინაარსი უკავშირდებოდა საქონლის გასაღების პოლიტიკას. ამრიგად მარკეტინგის მიზანი იყო ფირმის (კომპანიის) მიერ წარმოებული პროდუქტის (მათ შორის მომ-სახურების) გასაღების უზრუნველყოფა. მაგრამ პრაქტიკაში ცხადყო, რომ თუ საქონელი წარმოებულია საბაზრო მოთხოვნილების (მომხმა-რებელთა მოთხოვნის) გათვალისწინების გარეშე, მის ეფექტურ გასა-ღებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამიტომ მარკეტინგის შინაარსმა განიცადა

**1 Шапавалов Г.М. Товарный маркетинг. М. 2000, с.8.**

არსებითი ცვლილებები საქონლის წარმოებისა და გასაღების პირობების ცვლილებათა მიხედვით და თანამედროვე მარკეტინგი წარმატებით გამოიყენება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ ორგანიზაციებში.

აღნიშნულის მიუხედავად, ავტორთა ერთი ჯგუფი მარკეტინგს აიგივებს გასაღება-გაცემისა და საკუჭრო-სარეკლამო საქმიანობასთან.<sup>1</sup> რაც არ არის სწორი. ამასთან დაკავშირებით მსოფლიოში ცნობილი მცნიერი მარკეტინგის დარგში, ამერიკელი პროფესორი ფ. კოტლერი ხაზვასმით აღნიშნავს: „უმრავლესობა შეცდომით აიგივებს მარკეტინგს გასაღებასა და სტიმულირებასთან. გასაღება მისი მრავალი ფუნქციიდან მხოლოდ ერთი ფუნქციაა, ამასთან ხშირად არაარსებითი“.<sup>2</sup> ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორი კი საქონლის გასაღებას მიიჩნევს არსებით ფუნქციად თანამედროვე მარკეტინგში<sup>3</sup> ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. არადა მარკეტინგი საჭიროა ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა სფეროსათვის (დარგისათვის), ეს იქნება წარმოების თუ მომსახურების სფერო. ანალოგიურად ალოგიკურია მარკეტინგის გამოცხადება ბიზნესის ანუ სამეცნიერო საქმიანობის ფუნქციად, მითუმეტეს ბიზნესის განვითარების ძირითად და ცენტრალურ ფუნქციად<sup>4</sup>. ზოგიერთი ავტორი უფრო მიდის წინ და მარკეტინგს, როგორც ეკონომიკურ ცნებას, მიიჩნევს სამწარმეო საქმიანობის ანუ ბიზნესის განსაკუთრებულ სახეობად.<sup>5</sup>

მარკეტინგის არსისა და დეფინიციის საკითხის გარკვევისას აუცილებელია მენეჯმენტისაგან მარკეტინგის ჯეროვნი გამოვინა. საქმე ის არის, რომ ხშირად მარკეტინგს ეკონომიკურ ღიტერატურაში განმარტავენ როგორც საწარმოების (კომპანების) მართვის სისტემას, როგორც წარმოება-გასაღების მართვის სისტემას, როგორც მართვის საბაზო კონცეფციას<sup>6</sup> და ხდება მისი მენეჯმენტთან გაიგივება. მოვიტანთ უფრო კონკრეტულ მაგალითებს: „მარკეტინგის მმართველობითი ფუნქციები

1 Современный маркетинг. Под.ред. Хруцкого В.Э. М.,1997,с.27; ა.ხოხაძე, ს.ურუმაძე, მ.გიგოლაშვილი. მარკეტინგი, ქუთაისი, 1997,გვ.12

2 Котлер Ф. Основы маркетинга. М., 1990, с.46.

3 ზ.გრიგოლაშვილი. მარკეტინგი. სახელმძღვანელო. თბ,1999, გვ.8.

4 რ.ჯავახიშვილი, ნ.ოქრუაშვილი.მარკეტინგი, თბ,2007, გვ.3,8,25.

5 Соловьев Б. А. Маркетинг. М.1993, с.5.

6 ზ.გრიგოლაშვილი, დასახ.წიგნი,გვ.5;თ.წერეთელი.ეკონომიკა და ბიზნესი,თბ.1997,გვ.205;მ.ა.ოკლანდერი.მარკეტინგი და ლოგისტიკა მეწარმეობაში.ოდესა,1996,გვ.28(რუს.ენაზე)

გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის და-გეგმვის ორგანიზაციას და წარმოების მართვას“; „მარკეტინგი კომპანიისა და ფირმის საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის სისტემაა, რო-მელიც ყოველმხრივ ითვალისწინებს ბაზარზე მიმდინარე პროცესებს“.<sup>1</sup> მარკეტინგის მენეჯმენტთან გაიგივების ნიმუშად გამოდგება შემდეგი მოსაზრება: „მარკეტინგი საწარმოს, ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისა და მთელი ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეცნიერებაა ისე, რომ მიღწე-ულ იქნეს ყველაზე დიდი ეფექტი, ე.ი. მოპოვებულ იქნა მაღალი შედე-გები ადამიანისეულ მოთხოვნილებათა და გამაფოფილებაში მატერიალური საშუალებებისა და შრომის მინიმალური დანახარჯებით“.<sup>2</sup>

მართალია საწარმოს დონეზე მარკეტინგი და მენეჯმენტი გადაჯაჭ-გულია ერთმანეთთან, მაგრამ მარკეტინგთან შედარებით მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო საქმიანობაა. მენეჯმენტი, როგორც წესი, ნიშნავს საწარმოს საქმიანობის ყველა მიმართულების — წარმოების, გასაღების, ფინანსების და ა.შ. მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც, რისთვისაც საწარმოში იქმნება შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყო-ფები: წარმოების განყოფილება, მომარაგების (ლოგისტიკის), გასაღების განყოფილებები, მარკეტინგის სამსახური და სხვა, რომელთაც სათავეში უდგანნ მენეჯერები (მაგალითად, მარკეტინგის განყოფილებას მენეჯე-რი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მარკეტინგი აღიარებულია ბიზნესის ფილოსოფიად, ხოლო მენეჯმენტი ბიზნესის მართვის ფილოსოფიად და ბუნებრივია, ისინი ორგანულად დაკავშირდებულია ერთმანეთთან.

სამწუხაროდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინა-აღმდევო მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს მარკეტინგი იყოს მე-ნეჯმენტზე გაცილებით ფართო ცნება,<sup>3</sup> რაც მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას.

მენეჯმენტის რუსულ ენაზე ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორი პროფესორი ი.ნ. გერჩიკოვა მარკეტინგს განიხილავს როგორც შიგასა-ფირმო მართვის სისტემას, მაგრამ რომელსაც გააჩნია თავისი პრინ-ციპები, ფუნქციები, სტრუქტურები, ნორმატიული და სამართლებრივი

1 რ.ჯავახიშვილი,ნ.ოქრუაშვილი.დასახ.წიგნი,გვ.19; Маркетинг.под ред.проф.Уткина Э.А,1998,с.8.

2 Пунин Е.И.Маркетинг, менеджмент и ценообразование на предприятии.М.,1993,с.19.

3 Шаповалов Г.М. დასახ.წიგნი,გვ.7.

აქტები.<sup>1</sup> ამასთან იგი მარკეტინგს მიიჩნევს მენეჯმენტის (მართვის) ერთ-ერთ ფუნქციად. ამ შემთხვევაში იგულისხმება საწარმოს მარკეტინგული მართვა ანუ მისი ბაზარზე ორიენტირებული მართვა.

მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობა აქვს მარკეტინგის სწორ დეფინიციას არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

მარკეტინგის ყველაზე ზოგადი დეფინიცია არის ის, რომ იგი მოიხსენიება როგორც ბიზნესის ფილოსოფია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ფართოდ გავრცელებულია ცნობილი ამერიკელი მარკეტოლოგის ფ.კოტლერის დეფინიცია, რომელიც მარკეტინგს განსაზღვრავს, როგორც ადამიანური საქმიანობის სახეობას, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად გაცვლის საშუალებით.<sup>2</sup> კოტლერისეულ დეფინიციას იზიარებენ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ავტორთა უდიდესი უმრავლესობა. მოცემულ დეფინიციაში იგულისხმება საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება საქონელსა და მომსახურებაზე. სხვა ამერიკელი მარკეტოლოგები ჯ.ვანსი და ბ.ბერმანი მიიჩნევნ, რომ მარკეტინგი არ შეიძლება შეიზღუდოს საქონლითა და მომსახურებით. ისინი იძლევან თავიანთ განსაზღვრას, რომელიც წინა დეფინიციის ანალოგიურია, მაგრამ გარკვეული შესაბამისი დამატებებით: მარკეტინგი არის საქონელზე, მომსახურებაზე, ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, ტერიტორიაზე და იდეაზე მოთხოვნის განჭვრეტა, მართვა და დაქმაყოფილება გაცვლის საშუალებით.<sup>3</sup>

ბუნებრივია, რომ ნებისმიერი კონომიკური კატეგორიის დეფინიციისას შეუძლებელია ყველა მისი ძირითადი დამახასათებელი ნიშანთვისებების გათვალისწინება, მაგრამ აუცილებელია მასში აისახოს არსებითი მახასიათებლები. ამ მხრივ არასრულყოფილია მარკეტინგის კოტლერისეული დეფინიცია, რომელსაც იმეორებს ზოგიერთი ქართველი ავტორებიც. პირველ რიგში ამ დეფინიციაში არ ჩანს ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი—მოთხოვნა. იგი შეცვლილია მოთხოვნილებით (რომ არაფერი ვთქვათ საჭიროებაზე), რომელიც არ შეიძლება საწარმოს (კომპანიის) მიერ იყოს დაქმაყოფილების საგანი. ნებისმიერი კომპანიისათვის მთავარი საზრუნავია მომხმარებელთა მოთხოვნა, ანუ გადახდისუნარიანი მოთხოვნილება (ეკონომიკურ ლიტერატურაში იხმარე-

1 Герчикова И.Н. Менеджмент: Учебник.М.,1995, с.144,147.

2 Котлер Ф. დასახ.წიგნი.გვ.46.

3 Эванс Дж., Бирман Б. Маркетинг.М.,1993.с.12.

ბა გადახდისუნარიანი მოთხოვნა,<sup>1</sup> რაც ნონსენსია. მოთხოვნა ყოველთვის გადახდისუნარიანია და ამიტომ არის იგი ბაზრის ძირითადი ელემენტი). მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია ბაზრის წინასწარ შესწავლა, რომ გამოვლენილ იქნეს მომხმარებელთა მოთხოვნა, მისი განსაზღვრული პროგნოზის გაქტობით. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელია მოთხოვნის შესაბამისი საქონლის (მომსახურების) წარმოება და მიწოდება მომხმარებლისათვის და მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამის გათვალისწინებით სრულყოფილად მიგანია მარკეტინგის დეფინიცია, რომელიც მოცემულია მარკეტინგის ქართულ სახელმძღვანელოში: „მარკეტინგი არის საქონელზე (მომსახურებაზე და სხვ.) მოთხოვნის შესწავლა — პროგნოზირება და მისი დაკმაყოფილების უზრუნველყოფა გაცვლის საშუალებით მოგების მისაღებად“.<sup>2</sup>

ზემოთ მოტანილი განმარტებები მეტნაკლებად ასახავენ მარკეტინგის არსეს, მაგრამ მათში კონკრეტულად არ ჩანს ის, თუ როგორ მიაღწევს კომპანია მაღალ შედეგებს (რენტაბელობას) მომხმარებელთა მოთხოვნის დამაყოფილებაში. ამ თვალსაზრისით მარკეტინგი განიხილება როგორც ნაწარმისა და მომსახურების დამუშავების, ფასების პოლიტიკის, საქონლის მომხმარებლისაკენ წინ წარმოებული მრავალფეროვანი დოკუმენტით (მომსახურება) აგმაყოფილებდეს როგორც ცალკეული პირების, პირთა ჯგუფების, ასევე ორგანიზაციების მოთხოვნას.

1 რ.ასათიანი.ეკონომიკუსი(განმარტებითი ლექსიკონი),თბ.1996,გვ.35; ზ.გრიგოლაშვილი,დასახ.წიგნი,გვ.10.

2 მარკეტინგი.სახელმძღვანელო პროფ.გ.შუბლაძის რედ.,თბ.2009,გვ.30.

## სოციალური რესპექტი და მისგან დაცვის მექანიზმი

### ასიკო ცინცაძე

ემდ,შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესიონალი

ლილით მელოდიან-ფუტკარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ღერძი შრომითი პოლიტიკისა, რომელიც მუდმივად ფორმირდება, ვითარდება და იწარმოება. ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ არსებითად შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სოციალისტური სახელმწიფო ხასიათდებოდა დასაქმების მაღალი დონით. იგი იყო წარმოების ყველა საშუალებების ერთადერთი მესაკუთრე, რაც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენდა ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების შეენარჩუნებისთვის. ამასთანავე სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი წარმოქმნილი სოციალური რისკებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. საკუთრების ფორმების მრავალფეროვებამ, წარმოების საბაზრო ურთიერთობებებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური თუ სხვა ხასიათის რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. ესერთის მხრივ, ფასდება უარყოფითად, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში რისკების ზრდის ფაქტორი. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს და მეორეს მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ აამაღლა ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური თავისუფლება. რისკების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ამოცანა: შექმნილიყო სოციალური დაცვის ისეთი ფორმები და მქანიზმები, რომლებიც ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების ადეკვატური იქნებოდა და მასში გაერთიანდებოდა სამუშაო ძალის, საწარმოს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.

საქართველოში გარდამავალი პერიოდი ხასიათდებოდა და კვლავაც ხასითდება დასაქმების დაბალი დონით, სოციალური რისკების ზრდით და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარების შემცირებით. შესაბამისად ლოგიკური იქნებოდა თუ მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიების მხრიდან სოციალური რისკების დაზღვევა,

მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან კერძო დაზღვევა უშუალოდ არის დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიის მომებიანობასთან, რის საფუძველი დაზღვეულთა შენატანებია. გამომდინარე იქედან, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო დასაქმების მაღალი დონე, არის საფუძველი თქვას, რომ სოციალური რისკების დაზღვევში კერძო სადაზღვევო კომპანიების წილი ძალიან დაბალია ან ზოგიერთ სახეში საერთოდ არ ხდება დაზღვევა.

სოციალური დაზღვევის გაფართოების წინაპირობა არის სოციალური რისკის სწორად გააზრება, რომლის განმარტებისადმი ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ვიდრე შეგეხებოდეთ სოციალური რისკების დაცვის მექანიზმების ფორმებსა და მეთოდებს, გავანალიზოთ სოციალური რისკების არსი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დისკუსიები ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ტრანსფორმაციის პროცესებმა გაამწვავა საზოგადოების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში. მინიმუმამდე შეამცირა მოსახლეობის სოციალური მხადაჭერა და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელმა სოციალური რისკების დაცვის მექანიზმებმა დადებითი ეფექტი ვერ იქნია საზოგადოებაზე. სოციალურმა დაბაზულობებმა აამაღლა სოციალური რისკების ხარისხი, თუმცა მისგან დაცვის უზრუნველყოფა ახალ შექმნილ სადაზღვეო კომპანიებს არ სურდათ ან არ შექმლოთ. აუცილებელი გახდა ჩატარებულიყო სოციალურ რისკების კალევა, შექმნილიყო მისი კლასიფიკაცია და შემუშავებულიყო დაცვის მეთოდები. სოციალური რისკები დასავლეთის მეცნიერების კვლევის საგანს დიდი ხანია წარმოადგენს, მას იყვლევნ სოციოლოგები, ეკონომისტები, მაგრამ სოციალური რისკების წარმოქმნის წყარო, მათი განვითარების კანონზომიერებები და მისგან დაცვის მექანიზმების პირდაპირ გადმოტანა გამართლებული არ იქნებოდა, რადგან ქართული მენტალიტეტი, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები მოითხოვს განსხვავებული მექანიზმების შექმნას და გამოყენებას. სოციალური რისკები კაცობრიობის განვითარების თანამდევი განუსაზღვრელობაა.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ რაც უფრო ვითარდებოდა კაცობრიობა, იზრდებოდა არსებული და ჩნდებოდა ახალი რისკები. კაპიტალიზმის ჩამოყალიბებამ სოციალური რისკები საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახადა, რის საფუძველზეც ზოგიერთი სოციოლოგი

განვითარებულ საზოგადოებას „რისკების საზოგადოებას“ უწოდებს.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არამდგრადობას და განუ-საზღვრელობას სოციალური რისკების შესწავლის მართვის ყველა დო-ნეზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეკონომისტი ვ. ი. ზუბკოვის განმარტებით „ნებისმიერი რისკი ყოველთვის არის სოციალური ხასიათის მატარე-ბელი, რადგან იწარმოება სოციალური სუბიექტების მიერ, ხოლო მისი შედეგი გავლენას ახდენს მათსავე არსებობასა და ურთიერთქმედებაზე“ ან ყველა რისკი, რომლის ობიექტია ინდივიდები ან სოციალური ჯგუ-ფები: „სოციალური რისკი“ – ინდივიდების ან სოციალური ჯგუფების უნარი აღიქვან გარემოს არახელსაყრელი პირობები სუბიექტური თავი-სებურებებისა და შესაძლებლობებისაგან დამოკიდებულებით.

არსებობს სოციალური რისკების კიწრო გაგებაც, რომლიც მიხედვით სოციალური რისკი არის განსაზღვრული სოციალური ჯგუფების მახა-სიათებელი, რომლებიც იმყოფებიან როული ცხოვრების პირობებში და აქედან გამომდინარე მუდმივად ზარალდებიან ნეგატიური ზემოქმედებით.

რისკის არსის ახსნა დაკავშირებულია მისი წარმოქმნის წყაროსთან, მიზეზთან, ამიტომ ზოგადად რისკები, რომლებიც შეიძლება ამოქმედდეს და ზარალი მიაყენოს სუბიექტს ან მის მატერიალურ მდგომარეობას მრა-გალფეროვანია. არსებული მოსაზრებით სოციალური რისკი ყველა და-ნარჩენი რისკებისაგან განსხვავდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. სოციალური რისკები არ შეიძლება იმ მიზეზების შედეგი, რომ-ლებიც განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური, ტექნოლოგიური პრო-ცესებით ან ცალკეული პირების ქცევებით;

2. სოციალური რისკები მოიცავს მთელ საზოგადოებას, მაგარამ იგი უარყოფიდად აისახება მხოლოდ ცალკეული სოციალურ ჯგუფებზე.

სოციალური რისკი არის სოციალური პროცესების ცვლილების შე-დეგი, რომლის ნეგატიური გავლენა ვლინდება ცალკეული სოციალური ჯგუფების, როგორც რისკის ობიექტების არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნაში. სოციალური რისკები სახელმწიფოს სოციალურ უზრუნველ-ყოფის სისტემის ბაზას წარმოადგნენ. ქვეყანაში შექმნილი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ისე უნდა იქნას აგებული, რომ მინიმუმადე იქნას დაყვანილი ცალკეული სახის სოციალური რისკების რეალიზაციისაგან მიღებული ნეგატიური შედეგები. ნებისმიერი სახის

**1 Зубков В.И. Социологическая теория риска: Монография.-М.: Изд-во РУДН, 2003.56-57.**

რისკისაგან დაცვის მექანიზმი გარდა დაზღვევისა-ჯერ არ შექმნილა. მაგრამ საკითხი რთულდება, როდესაც სოციალური რისკებისაგან სა-დაზღვევო დაცვის საკითხი განიხილება საბაზრო ურთიერთობებზე აგ-ებულ ეკონომიკურ სივრცეში, სადაც დაზღვევა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, ხოლო სოციალური რისკი თავისი ხასიათიდან გამომდინარე მიმზიდველი არ არის მზღვეველებისათვის. მიუხდავად იმისა, რომ ყველა სახის რისკი განუსაზღვრულია, მათი დაზღვევში მიღება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის შესაძლებელი არახელსაყრელი მოვლენების განვითარების ალბათობის გაანგარიშება. რაც შეეხება ისეთ სოციალურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე სოციალური პირობების ცვლილებასთან, ალბათობის განსაზღვრა შეუძლებელია, ამიტომ სოციალური რისკი ზოგადად კერძო სადაზღვევო კომპანიებისათვის მიზიდველ პროცესზე არ წარმოადგენს. და მაინც, საჭიროა განისაზღვროს სოციალური რისკების დაზღვევად და დაუზღვევად რისკებად დაყოფის კრიტერიუმები. ჩამოყალიბებული კლასიფიკაციით სოციალური რისკებს მიეკუთვნება: უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა, მოხუცებულობა, ინვალიდობა, ორსულობა, უმუშევრობა. თითოეული მათგანი სუბიექტის სოციალურ მდგომარეობაზე აისახება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დადგითად, ზოგიერთ შემთხვევაში უარყოფითად. ზოგადად რისკების განმარტებიდან გამომდინარე, რისკი არის დროში განუსაზღვრელი მოვლენა, რომელიც შეიძლება დადგეს ან არ დადგეს. სწორედ არ დადგომის კუთხით განხილული რისკი არის მიმზიდველი სადაზღვევო კომპანიებისათვის, ხოლო დაზღვევის არსიდან გამომდინარე რისკი, რომელიც აუცილებლად რეალიზდება დაზღვევის ობიექტს არ უნდა წარმოადგინდეს. ჩამოთვლილი სოციალური რისკებიდან ორსულობა, მოხუცებულობა შესაბამისი ასაკის ადამიანისათვის მაღალი ალბათობით ფასდება, ხოლო ყველა დანარჩენი რისკიანია, თუმცა მათი დაზვევადობა დამოკიდებულია არა მხოლოდ სადაზღვევო საქმის განვითარებაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ვინაიდან ნებისმიერი რისკის დაზღვევა საჭიროებს სადაზღვევო შენატანის განხორციელებას, რაც უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ვერ განხორციელდება. რისკი შეიძლება იყოს სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მახასიათებელი, როდესაც ამ გადაწყვეტილების ირგვლივ არსებობს სხვადსხვა ალტერნატივები, რომლებიც სხვადასხვა შედეგის მომტანია. მათ შორის

არსებობს აღტერნატივაც, რომელიც დასრულდება არასახარბიელოდ. ამ განმარტების ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ «რისკი» ყოველთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ზარალის მომტან საშიშროებას. მის რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ რისკის რეალიზაციის ყველა შედეგი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის ქმედებებთან და განსაზღვრულ მოვლენებთან. რისკები როგორიც წარმოქმნისაც არ უნდა იყოს წარმოიქმნება და რეალიზდება ბუნებაში, სამურნეო სუბიექტების საქმიანობაში, ადამიანთა ჯგუფებში, სახელმწიფოში. რისკების ოფირიაში კვლევის ობიექტია ნეგატიური შედეგი, რომელიც ყველაზე მწვავე ფორმას ღებულობს, როდესაც აუარესებს ადამიანის სოციალურ მდგრამარეობას. სოციალური რისკების დაზღვევადობის სტატუსის განსაზღვრისათვის განვმარტოთ სადაზღვევო მოვლენა, რომლისგანაც მიღებული შედეგი ექვემდებარება დაზღვევას. ამისათვის სადაზღვევო მოვლენა განვიხილოთ საწინააღმდეგო ფაქტორებით.

1. სადაზღვევო მოვლენა არ არის შემთხვევითი, იგი ხასიათდება მისი დადგომის უტყუარობით;
2. მოვლენის დადგომის შეუძლებლობა;
3. დანაშაულებრივი ქმედება, როდესაც დაზარალებული თვითონ იწვევს არახელსაყრელ შედეგებს;
4. არახელსაყრელი მოვლენის დადგომა, რომელიც დაკავშირებულია აზარტულ თამაშებთან და სხვა.

მ.ი. ფედოროვის განმარტებით: სოციალური რისკები, ეს არის სოციალურად არახელსაყრელი სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო სოციალურ დაცვისთან. ვ.დ. როიკი წიგნში “პროფესიული რისკები” სოციალურ რისკს განმარტავს შემდეგნაირად: სოციალური რისკი არის საშიშროებათა მასიური სახეები, რომლებიც აუარესებენ მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალურ მდგომარეობას და ასევე სოციალურ რისკებად მიიჩნევა ის საშიშროებები, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზებით და მისგან დაცვა ინდივიდუალურად შეუძლებელია.<sup>1</sup> “ამ განმარტების ფართო გაგებით“ სოციალური რისკები, არის იმ

1 Ройк В. (Валентин). Социальная модель государства: опыт западноевропейских стран и выбор России/Валентин Ройк //Человек и труд.-2005.-N 12.

ფაქტორთა ჩამონათვალი, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა ნორმალურ სოციალურ მდგომარეობას მათი ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის დაკარგვით ან სამუშაო ძალაზე მოთხოვნის არარსებობით, რაც იწვევს მათ მატერიალურ არაუზრუნველყოფას. მიუხედავად ამ განმარტების ფართო შინაარსისა და მეცნიერული მნიშვნელობისა, იგი ვერ მოიცავს სრულად იმ ფაქტორებს, რომლებითაც უნდა განისაზღვროს მისი დაზღვევადობის სტატუსი. ეს განპირობებულია, კერ ერთი, იმით, რომ სოციალური რისკების რეალიზაციის შედეგები ვრცელდება არა მარტო დასაქმებულ მოსახლეობაზე, არამედ უმუშევრებზეც. მეორე, ვ. დ. როიკი თავის განმარტებაში სოციალურ რისკებს უკავშირებს მხოლოდ მოქალაქეთა შრომით საქმიანობას, შრომის ბაზრის განვითარებას. სინამდვილეში კი სოციალური რისკების ზემოქმედება ვრცელდება შრომითი საქმიანობის ურთიერთობების გარეშეც: სხვადსხვა დაავადებები, დაზიანებები ავარიის შედეგად, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა. სოციალური რისკები დაზღვევადობისმიხედვით არის სხვადასხვა, თუმცა ჯერ არ არსებობს სერთო და განმასხვავებული ნიშნები, რომლის მიხედვით სოციალური რისკები მიიღება დაზღვევაში კომერციული სა-დაზღვევო კომპანიების მიერ.

აზრთა სხვადასხვაობაა სოციალური დაზღვევის თეორიულ საკითხებთან მიმართებაში. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ სოციალური დაზღვევა უნდა იყოს სავალდებულო და უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სპეციალური ფონდებიდან; მეორენი თვლიან რომ, სოციალურ დაზღვევაში უნდა განცალკევდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა და იგი სავალდებულო უნდა იყოს დასაქმებულთა გარკვეული კატეგორიებისათვის; მესამენი თვლიან, რომ სოციალური დაზღვევა უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფილობითი პირადი დაზღვევის სახით. აზრთა სხვადასხვაობა, როგორც სოციალური რისკების, ასევე სოციალური დაზღვევის მიმართ აფერხებს სოციალური დაცვის თეორიის განვითარებას. სოციალური რისკები ფაქტორად შედის კომერციული პირადი დაზღვევის ობიექტებში და სოციალურ დაზღვევასთან ერთად ემსახურება ერთი და იმავე მიზანს-ფიზიკური პირების ქონებრივი ინტერსების დაცვას, ამავე დროს ორივე სახის დაზღვევას აქვს ერთიანი საფუძველი მათი წარმოქმნის, განხორციელების და გამოყენებისათვის. ასეთ საფუძველს წარმოადგენს დაზღვევის რისკები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური რის-

კი მწვავდება შემოსავლის დაკარგვისას, ვინაიდან ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ყველა ადამიანს შეეძლოს შრომა და ჰქონდეს სამუშაო. აქედან გამომდინარე, რისკის დადგომა შეიძლება განიხილებოდეს ორ შემთხვევაში: შრომისუნარიანობის დაკარგვა და სამუშაოს დაკარგვა. ყველა დანარჩენი სოციალური სტატუსის მატარებელი რისკი არის ამ ორი შემთხვევის გამოყლენის ფორმები. სოციალური რისკისაგან დაცვა შეიძლება განიხილებოდეს ორი მიმართულებით: ერთი, მოქალაქეთა უზრუნველყოფა მინიმალური შემოსავლებით, მეორე, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს პირობებში მოქალაქეთა უზრუნველყოფა ცხოვრების ნორმალური პირობებით, რაც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე საარსებო მინიმუმით დაქმაყოფილება. შრომისუნარიანობის დაკარგვა, როგორც სოციალური რისკის ერთ-ერთი სახე დაკავშირებულია მრავალ გამომწვევი მიზეზებთან. ამიტომ მისი სრული ახსნისათვის საჭიროა გაანალიზდეს ის რისკები, რომელთა რეალიზაციის შედეგია შრომისუნარიანობის დაკარგვა. იგი შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფობამ, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან, ტრავმამ, რომლის წარმოქმნის წყარო შეიძლება გახდეს საწარმოოს ტექნიკური რისკები. სამუშაოს დაკარგვა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზებით. სუბიექტურია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, დასაქმებულის სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, მთავრობის გადაწყვეტილები. ობიექტური მიზეზებია; ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური რისკები. როგორც აღინიშნა, რისკების წარმოქმნის მიზეზი არ შეიძლება იყოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ჩამოთვლილთაგან უნდა განვასტვალოთ შემოსავლების დაკარგვა ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური რისკების რეალიზაციის შედეგად. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით დასაქმებულთა რიცხოვნებაში დიდი წილი თვითდასაქმებულია, რომელიც განმარტების თანახმად არის პირი, რომელსაც სოფლად გააჩნია მიწის ნაკვეთი, უგლის შინამეურნეობას ან ეწევა რაიმე სახის მომსახურებას. მართალია, უმუშევრობის პრობლემის კვლევა არ წარმოადგენს ნაშრომის კვლევის ობიექტს, მაგრამ სწორედ დასაქმების პრობლემებზეა დამოკიდებული სოციალური რისკების სიმწვავე. მისი რეალობას მორგებული განმარტება საფუძველს ჩაუყრის სოციალური დაცვის, როგორც სახელმწიფო,

ასევე კომერციული დაზღვევის მექანიზმების შემუშავებას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს იმ შემოსავლის მიღების მიზნით, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მათი საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება, ხშირად ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური რისკების რეალიზაცია აზარალებს. ასევე ნაწილობრივ ასეთი სახის სოციალურ რისკებს ზრდის ქვეყნაში გაზრდილი პოლიტიკური რისკები. საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით საქართველოში უმუშევრობა 16.3%-ია, ხოლო დასაქმებულთა შორის 61,9 % არის თვითდასაქმებული, 38.0% დაქირავებული. ამ მონაცემებიდან გამომდინარე 61,9 % ადამიანებისა იმყოფება სოციალური რისკების ზემოქმედების ქვეშ, რომელიც საერთო ჯამში მიეკუთვნებიან სოციალური რისკების უმუშევრობის კატეგორიას<sup>1</sup> სოციალური რისკების განმარტებისათვის საფუძლად გამოყენებული უნდა იქნას რისკის განმარტება, რომლის მიხედვით: რისკი ეს არის საგარაუდო მოვლენა, რომლის დადგომას მოყვება ზიანი ან ზარალი. სოციალური რისკების ჩამონათვალში არის გამოვლენის ფორმები, რომლის დადგომას ზარალი არ მოყვება, ასე, მაგალითად; ორსულობა, საპენსიო ასაკის დადგომა. ჩვენი აზრით სოციალური რისკი, რომელიც მატერიალურ ზარალთან არის დაკავშირებული, უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

სოციალური რისკი არის დროში განუსაზღვრელი, არახელსაყრელი მოვლენა, რომლის დადგომა სუბიექტს მიაყენებს მატერიალურ ზარალს.

1 იხ.; საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები,, 2010.

## საინვესტიციო ობიექტების იღებელი ფინანსებია და შეფასება

გიორგი როდონაია  
სტუ დოქტორანტი

ინვესტიციური მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვლება საინვესტიციო პროექტის რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება, მათი დონის დაწევის მეთოდების შემუშავება. მოცემული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია პრიფერირენტის საშუალებით, რომლის არსიც ასეთია: საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის დროს წარმოშობილი შესაძლო სარისკო სიტუაციების იდენტიფიკაცია; მოვლენების არასასურველი განვითარების შეფასება და პოტენციური დანაკარგის დონის განსაზღვრა; რისკის დონის შემცირების ღონისძიებების შემუშავება.

საინვესტიციო პროექტი თავისი არსით სარისკოა, ხოლო მისი განხორციელება დამოკიდებულია მოცემული ინვესტორის რისკზე. ყველა თვალსაზრისით, ყოველი ინვესტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს პროექტის რისკის მისაღებ დონეს. რისკის დონე მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველგვარი საინვესტიციო პროექტის შეფასებისას. ასე რომ, თუ დასაშვები დანაკარგები არ აღმატება მოსალოდნებლი შემოსავლის დონეს, მაშინ შეიძლება ვიღაპარაკოთ დასაშვებ რისკზე. დასაშვები რისკის დონე უტოლდება პროექტით განსაზღვრულ შემოსავლებს, რომელიც მიიღება პროექტის განხორციელებისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასაშვებად ითვლება რისკი, რომელსაც შეიძლება მოცემულ პროექტს მოუტანოს მოგება.

იმ შემთხვევაში, როცა შესაძლო დანაკარგი შეიძლება აღემატებოდეს განსაზღვრული მოგების სიდიდეს, მაშინ დანაკარგის ღირებულება შეიძლება იყოს დიდი. ამ შეთხვევაში ლაპარაკობენ კატასტროფული რისკის დონეზე. კატასტროფულად შეიძლება ჩაითვალოს რისკი, რომლის დროსაც შესაძლო დანაკარგი შეადგენს ფინანსური რესურსების ბრუნვით განსაზღვრული ყველა შესაძლო შემოსავლის 70%-ს, ხოლო დასაშვები რისკის დონე, ჩვეულებრივ, შეადგენს საკუთარი საშუალებების 30%-ს.

ინვესტიციები უნდა განხორციელდეს სათანადო გამოთვლების შესაბამისად. საინვესტიციო პროექტების დროს ყოველთვის აქვს ადგილი

გარკვეული რისკის დონეს, ამიტომ შემუშავებულია საინვესტიციო რისკების შეფასების მეთოდები.

ნებისმიერი საინვესტიციო პროექტი ითხოვს დეტალურ გადახედვას. იმისთვის რომ დაიწყოს პროექტის უფრო დაწვრილებითი ფინანსური განხილვა, ზარისხობრივი თვისებების შესაფასებლად უნდა იყოს დასმული რიგი ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვებისა და ასევე უნდა არსებობდეს პასუხი ამ კითხვებზე.

- რა მიზანს ისახავს პროექტი?
- შეესაბამება თუ არა ის კომპანიის გრძელვადიან მიზნებს?
- არის თუ არა ეს გამართული ინვესტიცია, მაგალითად, შეესაბამება თუ არა ის უსაფრთხოების წესებს ?
- საჭირო რესურსების(მაგალითად, ფული, მუშახელი) არსებობა;
- გვაქვს თუ არა აუცილებელი გამოცდილება, პროექტის ბოლომდე მისაყვანად?
- დააყენებს თუ არა პროექტი კომპანიას არასასურველი რისკის წინ?
- რამდენი ხნით გაგრძელდება პროექტი და წარმატებისთვის რა ფაქტორებია გადამწყვეტი?
- როგორაა განხილული ყველა შესაძლებელი ალტერნატივა?
- ფინანსური ანალიზი მოიცავს ორგანიზაციისთვის პრიორიტეტული ინვესტიციების შეფასების ტექნიკას. პროექტის უმეტესობისთვის ძალიან როგორი სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრა, მაგრამ ყველანაირი მცდელობა უნდა იყოს გამოყენებული ფორმალური კონტროლის და დაგეგმარების ბაზისის მისაღწევად. ამ ეტაპზე შეიძლება იქნას დასმული შემდეგი ტიპის კითხვები:
- რა ფულადი ნაკადები/მოგება იქნება მიღწეული პროექტის განხორციელებიდან და როდის?
- გაითვალისწინება თუ არა ინფლაცია ფულადი ნაკადების მოძრაობისას?
- რა არის შეფასების ფინანსური შედეგი?
- არის თუ არა რისკი დაშვებული, თუ არის, რა შედეგია მოსალოდნელი?

რამდენიმე ტიპის პროექტს, მაგალითად ინვესტიციის მარკეტინგულ გადაწყვეტილებას, სბალუმს ფულადი ნაკადების და უკუგების გაზრდა, რომელიც იქნება იმდენად არამატერიალური და რთულად

განსასაზღვრული, რომ მთლიანობაში ფინანსური შეფასება გახდეს შეუძლებელი. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ხარისხობრივ შეფასებას.

მეწარმე რისკის სიტუაციას მუდმივად ეჯახება, მაგრამ საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისას რისკის შეფასებას პრინციპული მნიშვნელობა ორ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს: პირველი, როცა ზღება პროექტის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, და, მეორე, როცა ხდება მოცემულ ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა. პირველ შემთხვევაში საუბრობები პრიორების რისკის საერთო დონის შეფასებაზე, მეორე შემთხვევაში კი – მოცემული პროექტის რისკის შეფასებაზე.

საინვესტიციო პროექტის ზოგად რისკად გვევლინება ინვესტირების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ პროექტის რისკის შეფასება ხდება მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტის შეფასებისას. როგორც უკვე აღნიშნეთ, რისკი სუბიექტური კატეგორიაა, მეტიც, სხვადასხვა ინვესტორი სხვადასხვაგვარად არის განწყობილი რისკის მიმართ. ამიტომ არ არსებობს აბსოლუტური სიდიდე, რომელიც დაახასიათებს პროექტის რისკს, ხოლო მისი შეფასება, ჩვეულებრივ, შეფარდებითი მაჩვენებლების მიხედვით ხდება. რისკის აბსოლუტური მაჩვენებლების უქონლობას მივყავართ ჩადებული კაპიტალის დაბანდებისას სხვადასხვა ალტერნატივის გათვალისწინებამდე. თითოეული მათგანი ხასიათდება დიდი ან პატარა რისკის დონით. სხვა თანაბარ პირობებში, ინვესტორი ირჩევს პროექტს, რომლის ზოგადი რისკი აღმოჩნდება უფრო ნაკლები, ინვესტიციების სხვა განხილულ ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარებით.

თითოეული საინვესტიციო პროექტი ხასიათდება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური შედეგით. იმ ფაქტორთა რაოდენობის მიუხედავად, რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემული პროექტის მაჩვენებელზე, ინვესტორმა შემდგომში შეიძლება გათვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორის არსებობა, რომელსაც ეკონომიკის მომავალი მდგომარეობა ეწოდება.

ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობა ხასიათდება ეკონომიკური კონიუქტურისა და სხვა ფაქტორთა კომპლექსური შეთავსებით, რომელსაც შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება მოცემული საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობაზე. ინვესტირების დადგებითი შედეგის ფორმა-

ლურად გამოსახატავად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მაჩვენებელი. მაგალითად, ტრადიციულად ფინანსური ინვესტიციის ეფექტიან მთავარ მაჩვენებლად მიჩნეულია დაბანდებების მომგებიანობა. რეალურ სექტორში ინვესტირების დროს შეიძლება გამოვიყენოთ სუფთა დირებულების მაჩვენებელი, შემოსავლიანობის კოფიციენტი, კაპიტალური დაბანდებების ამოგების დრო. ამ მაჩვენებლის ამორჩევის დროს მნიშვნელოვანია პროექტის რისკის შეფასებისას გამოყენებულ იქნას იგივე მაჩვენებლები, რომლებიც ინვესტირებისას დაგეგმვის დროს მთავარ მაჩვენებლებად იყო მიჩნეული.

თავდაპირველად ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის ცნობილი, ეკონომიკის შემდგომი მდგომარეობიდან რომელი ეტაპი დადგება. ამიტომ ამბობენ, რომ ინვესტორი გადაწყვეტილებას ღებულობს გაურკვევლობის პირობებში. დღესდღობით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ალგორითმი რპტიმალური გადაწყვეტილებების პირობებში. ხოლო გამოყენებული მეთოდები ატარებს ვიწრო სპეციალიზებულ, არაუნივერსალურ ხსიათს.

ყოველი საინვესტიციო პროექტი რისკის ზონაში იმყოფება. ამიტომ სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის ყველა განხილული ვარიანტიდან აუცილებელია ამოვიზრით ყველაზე პესიმისტური (ის შეიძლება იყოს სხვადასხვა სხვადასხვა პროექტისათვის) და ამ ვარიანტისათვის განვსაზღვროთ: დანაკარგის დონის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით :

$$K_{\text{დ.ნ.}} = \frac{Y}{C}$$

სადაც, Y არის დანაკარგის მაქსიმალური შესაძლო თანხა, C – საკუთარი ფინანსური საშუალებების ბრუნვა ინვესტიციის ყველა შესაძლო შემოსავლის გათვალისწინებით. თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა არ აღმატება 0,3-ს, მაშინ მიიჩნევთ, რომ პროექტი იმყოფება დასშვები რისკის ზონაში. კრიტიკულია რისკის ზონა მაშინ, როცა კოეფიციენტის მნიშვნელობა უდრის 0,7. კატასტროფიულად მიიჩნევთ რისკის დონე 0,7 ციფრზე მაღლა.

რისკების შეფასებისას გამოიყენება საინვესტიციო რისკების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციის შესაბამისად რისკები შეიძლება იყოს სისტემატური და არასისტემატური. სისტემატურ რისკებს მიეკუთვნება

## **პირველი, მთელი განვითარების მარკაზე**

საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ინფლაციის რისკი, პოლიტიკური რისკი. არასისტემატურ რისკებს მიეკუთნება — დარგობრივი, ბიზნესის და საკრედიტო რისკი. რაც არ უნდა ზუსტი იყოს ინვესტიციების გათვლა და შეფასება, გარკვეული საინვესტიციო რისკი ყოველთვის ელიტება ინვესტორებს და პროექტის შემქნელებს.

სისტემატური და არასისტემატური რისკის გავლენისას იგულისხმება შემდეგი. ა) თუ ინვესტორს უნდა რისკის სრული აცილება, მაშინ კაპიტალ დაბანდება უნდა განხორციელდეს შედარებით დაბალი რისკის მატარებელ უსაფრთხოების ინსტრუმენტებში; ბ) თუ ინვესტორი უკვე ფლობს რამდენიმე კომპანიის აქციებს. მაშინ თავის საინვესტიციო პორტფელში მას გააჩნია როგორც არასისტემატური. ასევე სისტემატური რისკები, რადგან არ შეუძლია თავი აარიდოს არასისტემატურ რისკებს. არასისტემატური რისკის ასაცილებლად ინვესტორმა უნდა ააგოს დივერსიფირებული ინვესტიციების პორტფოლიო; გ) თუ ინვესტორს გააჩნია ბალანსირებადი საფონდო ბირჟის აქციების პორტფოლიო, ის განიცდის სისტემატურ რისკს, რომელიც საშუალოდ უტოლდება საფონდო ბირჟაზე სისტემატურ საშუალო რისკს.

## რაზე მეტყველებან საფოდო ინდექსები?

### რუსუდან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

თუ ფიქრობთ, განვდეთ პორტფელური ინვესტორი, ან უკვე ხართ პორტფელური ინვესტორი და გინდათ, ეფექტიანად მართოთ თქვენი პორტფელი, მაშინ საჭიროა, მაქსიმალურად ფლობდეთ საფონდო ინდექსების შესახებ ინფორმაციას.

ვუსმენთ რადიოს, ვუყურებთ ტელევიზორს თუ ვკითხულობთ საქმიან გამოცემებს, ჩვენ ხშირად გვესმის საფონდო პორტფელების და საფონდო ინდექსების შესახებ. ამის მიუხედავად, ბევრმა ჩვენგანმა როდი იცის, რას ნიშნავენ ისინი, რისთვის არიან საჭირო, რას ისახავენ მიზნად, რას ემსახურებიან, როდის წარმოიშვნენ, როგორ ფასდებიან და ა. შ.

საფონდო პორტფელი, ანუ ფასიანი ქაღალდების პორტფელი, ეს არის დასახული მიზნის მისაღწევად გარკვეული წესით შერჩეული ფასიანი ქაღალდების სახეების ერთობლიობა.<sup>1</sup> პირს, განურჩევლად იმისა, იურიდიულია იგი თუ ფიზიკური, რომელმაც დააკომპლექტა პორტფელი ან შეიძინა იგი სხვისგან, პორტფელური ინვესტორი ეწოდება, პორტფელში ჩადებულ ინვესტიციას – პორტფელური ანუ ფინანსური ინვესტიცია, ხოლო თვით პორტფელს – საფონდო.

მაშასადამე, საფონდო პორტფელს ფლობენ ინვესტორები, რომელმაც თავისი თავისუფალი ინვესტიცია დაბანდეს ამ საქმეში მინიმალური რისკის პირობებში უფრო მაღალი შემოსავლის მიღების სურვილით (ვიდრე მას მიიღებდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორში მისი დაბანდებით, ანდა სულაც – ბანკში შეტანით).

ამრიგად, საფონდო პორტფელის ფორმირების ან შეძენის მიზანი არის მაღალი შემოსავლების მიღება. ეს შემოსავლები ორი სახისაა: მიმდინარე და კაპიტალური. მიმდინარე შემოსავლებს, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, პორტფელის მფლობელი იღებს (მეტ-ნაკლებად) სისტემატურად, კაპიტალურს კი – ერთჯერადად. მიმდინარე შემოსავ-

<sup>1</sup> ლ. ქოქიაური, ნ. შონია. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ., თუ გამომცემლობა, 2008, გვ. 156.

ლებია: აქციებზე – დივიდენდები, ობლიგაციებზე – ობლიგაციის სარგებელი (%) და ა.შ. კაპიტალური შემოსავლებია ის მოგება, რომელსაც პორტფელის მულტიპლი მთილებს ფასიანი ქაღალდების კურსთა სხვაობით ბაზარზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პორტფელში „ჩაწყობილი“ ფასიანი ქაღალდების გასაყიდი ფასი გადაამეტებს იმ ფასს, რომლითაც ინვესტორმა შეიძინა ისინი. ცხადია, პორტფელური ინვესტირების დიდ უძრავლესობას სწორედ კაპიტალური შემოსავალი აინტერესებს, რადგან იგი რამდენჯერ აღემატება მიმდინარე შემოსავალს.

დაუშვათ, ამ დიდი კაპიტალური შემოსავლების მიღების იმედით მოხიბლულმა საქართველოს მოქალაქემ ინტერნეტის მეშვეობით ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე შეიძინა ამერიკის სხვადასხვა ტვირთმშიდი ავიაკომპანიების აქციები (რომლებიც კოტირებას გადიან ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე) და ამ აქციებით დაკომპლექტა თავისი საფონდო პორტფელი. აი, სწორედ ამის შემდეგ ჩნდება კითხვა: რა გააკეთოს მან ამის შემდეგ, რაზე იყოს ორიენტირებული? დაუშვათ, მას უთხრეს ან სადღაც ამოიკითხა, რომ სისტემატურად ყურადღება უნდა მიაქციოს საფონდო ინდექსების დინამიკას.

მოდით, გაგარკიოთ იგი საფონდო ინდექსებში, ავუხსნათ ინვესტორს მათი რაობა, ანგარიშის წესი და დინამიკის ცვლილების მნიშვნელობა.

საფონდო ინდექსი არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობისგან განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს აქციების გაშუალებული ფასის დინამიკას ბაზარზე საწყის თარიღთან შედარებით.

მსოფლიო ბაზარზე მრავალი მოკონკურენტო ინდექსი არსებობს. ჩვეულებრივ, გამოყოფებ ინდექსების 4 ჯგუფს: ამერიკულს, ევროპულს, აზია-წინარი რეგიონის და რუსულს.

აშშ-ში ყველაზე გავრცელებული სამი ჯგუფის ინდექსებია:<sup>1</sup>

1. Dow Jones Industrial average (DjIA). მას ანგარიშობს კორპორაცია „Dow Jones & Company“;

2. S&P – 500. მას ანგარიშობს სარეკლამო სააგენტო „Srom-dartPoer's“-ი;

3. Nasdaq composite. მას ანგარიშობს ფასიანი ქაღალდების საფონდო დილერების ასოციაცია.

ინდექსში მითითებული ციფრი გვიჩვენებს იმ კომპანიების რაოდენობას, რომელთა აქციების ფასებიც შევიდა ინდექსში. მაგალითად, S&P-500 ინდექსში შედის ამერიკის 500 სამრეწველო კომპანიის აქციების

**1 B. Ковалев, Финансовый менеджмент, М., 2007. с. 217.**

ფასები. იგი კონკურენციას უწევს ამერიკის დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსს (Dow Jones Index) და სრულიად დამსახურებულად ამერიკის ეკონომიკის ბარომეტრად ითვლება. ამ ინდექსში არ ხვდებიან ამერიკის ყველა კომპანია-ემიტენტის აქციები, ამიტომ არსებობენ სხვა ინდექსებიც.

ევროპულ საფონდო ინდექსებში ყველაზე პოპულარულია FTSE-100 Index, DAX Index და CAC-40-ი.

FTSE-100 Index-ი დიდ ბრიტანეთში გავრცელებული ინდექსია, იგი 100 კომპანიის აქციების ფასების მიხედვით გამოითვლება 1984 წლიდან. ამ წელს მისი მნიშვნელობა იყო 1000 პუნქტი, ახლა არის 5750 პუნქტი, ანუ გაზრდილია 5.7-ჯერ. DAX Index-ი არის ფრანგულტის საფონდო ბირჟის ინდექსი. გამოითვლება 30 მსხვილი კომპანიის აქციების შეწონილი ფასის კაპიტალიზაციის მიხედვით 1987 წლიდან. მაშინ ინდექსის სიღილე იყო 1000 პუნქტი, ამჟამად არის 6500, ე. ი. გაზრდილია 6.5-ჯერ. CAC-40 Index-ი საფრანგეთის ინდექსია. იგი იმ 40 მსხვილი კომპანიის აქციების ფასების მიხედვით იანგარიშება, რომლებიც პარიზის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობენ. ესინდექსი გამოჩნდა 1997 წელს 1000 პუნქტიანი ნიშნულით. ამჟამად იგი შეადგენს 3800 პუნქტს.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ინდექსებიდან გამორჩეულია Nikkei 225, Hang Seng Index, Shanghai Stock Composite და Alt Ordinaries. Nikkei 225 Index არის იაპონიის ინდექსი. იანგარიშება 25 კომპანიის აქციების ფასების მიხედვით. Hang Seng Index-ი არის ჰონკონგის საფონდო ბირჟის ინდექსი. ინდექსში ეკონომიკის 4 სექტორის კომპანიებია შესული. ესენია: წარმოება, კომერცია, ფინანსები, კომუნალური მომსახურება და მიწაზე საკუთრება. ინდექსის საწყისი ნიშნული – 1000 პუნქტია მჟამად 24000 პუნქტამდევა გაზრდილი. Shanghai Stock composite არის შანხაის საფონდო ბირჟის ინდექსი. მასში შეიტანება მოცემულ ბირჟაზე კოტირებული ყველა აქციის ყოველდღიური ფასის საშუალო შეწონილი სიღილეები. მისი ანგარიში დაიწყო 1990 წელს თავდაპირველი ნიშნულით – 100, რომელიც დღეს 3000-ს შეადგენს, ე. ი. ბირჟაზე კოტირებად აქციების ფასები გაზრდილია 30-ჯერ. Alt Ordinaries Index-ი არის ავსტრალიის ინდექსი. გამოითვლება 500 კომპანიის აქციების ფასის შეწონილი კაპიტალიზაციით. ამ ინდექსის გამოანგარიშება დაიწყო 1979 წელს საწყისი ნიშნულით 500. ამჟამად იგი შეადგენს 4750-ს.

რუსეთში კველაზე ცნობილია PTC და MMBB ინდექსები. PTC – ინდექსი გამოითვლება ნავთობის 23 კომპანიის აქციების ფასებზე, MMBB ინდექსი მოიცავს 30 სხვადასხვა დარგის დინამიურად განვითარებადი კომპანიების აქციებს.

ამრიგად, საფონდო ინდექსები გამოითვლება აქციებზე მიმდინარე ფასის შეფარდებით საწყის ფასებთან. რაღაც ინდექსში რამდენიმე კომპანიის აქციები შედის, ამიტომ იანგარიშება მათი საშუალო შეწონილი ფასი (საშუალო არითმეტიკული ან საშუალო გეომეტრიული) და იგი შეუფარდება საწყის ფასს.

პორტფელური ინვესტორისთვის საფონდო ინდექსებზე თვალყურის დევნება აუცილებელია. კერძოდ, აუცილებელია საფონდო ბირჟის იმ სეგმენტის საფონდო ინდექსების ცვლილებაზე თვალყურის მიღევნება, რომელ სეგმენტში კოტირებადი კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც ფლობს ინვესტორი. ასე რომ, საქართველოს მოქალაქემ, რომელმაც პირობითად ამერიკის ტვირთმშიდი ავიაკომპანიების აქციები შეიძინა, თვალყური უნდა მიაღევნოს იმ საფონდო ინდექსის ცვლილებას, რომელშიც ეს ავიაკომპანიები შედიან. ეს ინდექსია – Dow jones 20 Transportations verage Index-ი. მასზე თვალყურის მიღევნება ქართველ ინვესტორს მისცემს ორიენტაციას, თუ როგორ მოიცეს – შენიარჩუნოს პორტფელი და კვლავც დაელოდოს ინდექსის ზრდას, თუ პირიქით, გაყიდოს იგი და ამოღებული თანხა დააბანდოს სხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში, ანდა სულაც – გადაიტანოს ის რეალურ სექტორში. Dow jones 20 Transportations Average Index-ი, არ ითვლება ამერიკის მირითადი ინდექსად. მირითადი ინდექსები ჩვენ ზევით ვახსენეთ. ჩვენი აზრით, ნებისმიერმა პორტფელურმა ინვესტორმა, მათ შორის, ჩვენს მიერ ზემოთდასახელებულმა ქართველმა ინექსტორმაც, თვალი უნდა მიაღევნოს მირითადი ინდექსების ცვლილებებსაც (თუნდაც იგი არ ფლობდეს ამ ინდექსებში შემავალი კომპანიების აქციებს), რაღაც, თუ მირითადი ინდექსები „წითელ ზოლში მოექცა“ ანუ დაიწყო ვარდნა, მაშინ საშიშროება ელოდება არა მირითად ინდექსებსაც.

ამას გარდა, პორტფელურ ინვესტორებს ვურჩევთ, პორტფელი დაკომპლექტონ არა ერთი, არამედ სხვადასხვა ფირმების ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს საჭიროა იმისთვის, რომ რომელიმე ერთი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასის ვარდნა გადაფაროს პორტფელში „ჩაწყობილი“ სხვა კომპანიების ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდამ და ინვესტორი დაზარალებული არ დარჩეს.

## ქართული ღვინის გიჩნევის პრობლემები და პერსპექტივები

### ოლღა ფაჩულია

ქმდ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესიონალური

საქართველოში მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო განვითარების თვისობრივად ახალი, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ეტაპი. ამ პროცესში ორი უკიდურესად საპირისპირო ეკონომიკური სისტემიდან ერთ-ერთის (სოციალისტურის) ტრანსფორმაცია უნდა შემდგარიყო ეკოლუციური გარდაქმნების გზით, მაგრამ სამწუხაროდ, ქვეყნაში ჩამოყალიბდა და განვითარდა როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ ფაქტორთა სისტემა (მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლები, დაჩქარებული პრივატიზაციის პროცესი, ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის მაღალი მასშტაბები და სხვ.), რამაც საბოლოო ჯამში, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის, მათ შორის – ღვინის წარმოების დეგრადაცია გამოიწვია.

საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უმწვავესმა დეფიციტმა მეტად ნეგატიური ზეგავლენა იქნია მთლიანობაში ღვინის წარმოებაზე: დაიგარება ტრადიციული ბაზრები, მოხდა არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის წარმოების პროცესიდან გამოთიშვა, საბოლოო ჯამში კი, საწარმოს (დარგის) ტექნიკური განვითარების დონის ჩამორჩენა და პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა. ამასთან ერთად, რამდენიმე წლის წინ რუსეთის სკანდალურმა განცხადებამ ქართული ღვინის უხარისხო, საღებავგარეული პროდუქციის შესახებ ძალზე დიდი ზარალი მიაყენა ქართული ღვინის იმიჯს.

2006 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ გამოცხადებული ემბარგოთ გამოწვეული მკვეთრი ვარდნის შემდეგ, ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ძალზე უარყოფითად აისახა დარგზე მთლიანობაში.


სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2005 წელს ექსპორტზე გატანილ იქნა 300 მლნ. ბოთლი, 2008 წელს 12 მლნ. 192

## **პირველი, მთლიანი, მარკეტინგი**

475 ბოთლი ქართული ღვინის ექსპორტი განხორციელდა, 2009 წელს ექსპორტი 1 მლნ. 224 314 ბოთლით შემცირდა და 10 მლნ. 968 161 ბოთლი შეადგინა; 2010 წელს საქართველოდან 14850846 ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა 42 ქვეყანაში, 2011 წელს ქართული ღვინო 50 ქვეყნის ბაზარზე გავიდა და ექსპორტის მოლიანმა მოცულობამ 1 902 7458 ბოთლი შეადგინა. ამდენად, ერთი წლის განმავლობაში ქართული ღვინის ექსპორტის 28,12%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2011 წელს სულ ექსპორტირებული ქართული ღვინის რაოდენობამ მოცულობით გამოისახულებაში 16,726 მლნ. ლიტრი შეადგინა, 2010 წელს – 12,15 მლნ. ლიტრი. ღირებულებით მაჩვენებლებში: 2011 წელს – 58,058 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2010 წელს – 39,269 მლნ. აშშ დოლარი. ამასთან ერთად, ერთი წლის განმავლობაში ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა 87-დან 102-მდე გაიზარდა<sup>1</sup>.

### **ღვინის ექსპორტის მოცულობის დინამიკა**




ახალ საექსპორტო ბაზრებს შორისაა ხორვატია, ავსტრია, ეგვიპტე, ერაყი, კოსტა-რიკა და სხვა.


სამწუხაროდ, მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის დამკვიდრება ძალზე რთულია, რადგან აქ წარმოდგენილია უმაღლესი ხარისხისა და უკვე დამკვიდრებული ბრენდის ღვინოები, რომელთა მომხმარებლებიც გამოირჩევიან ბრენდისადმი ერთგულებით. ღვინის მწარმოებლებმა ყურადღებით უნდა გაანალიზონ მსოფლიოს ღვინის ბაზრები და მათგან შეარჩიონ ყველაზე მისაღები და ნაკლებად კონკურენტული.

ქართული წარმოების ღვინის იმპორტით ქვეყნების  
პირველი ათეული ასე გამოიყერება:

### ქართ. ღვინის ექსპორტი აშშ დოლარში



### ქართ. ღვინის ექსპორტი ტონებში



წყარო: [www.economy.ge](http://www.economy.ge).

ასევე, აუცილებელია ქართული ღვინის უნიკალური თვისებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზღვარგარეთ, რადგან კონკურენტის პროდუქტებისგან პრინციპული სხვაობის აქცენტის არქონა ხშირად ხდება ტექნიკურად სრულყოფილი და მოთხოვნადი პროდუქციის მარცხის მიზეზი.

ცხადა, რომ ღვინის ექსპორტის გაზრდა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მისი მაღალი ხარისხის მიღწევით. ამერიკის ხარისხის საზოგადოების (American Society for Quality) ვანმარტებით, ხარისხი არის პროდუქტის ან სერვისის მახასიათებელი ნიშანი, რომლის მიზანი მომხმარებლის მოთხოვნილების უკეთ დაგმაყოფილება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ხარისხი შეიძლება იყოს მომხმარებელთა სურვილებზე ორიენტირებული, რასაც მხარს უჭირენ მარკეტილოგები და მომხმარებელთა უმრავლესობა, ასევე, წარმოებაზე დაფუძნებული, რომელიც შეესაბამება დადგნილ სტანდარტებსა და ნორმებს (ამ მოსაზრებას იზიარებენ წარმოების მენეჯერები)<sup>1</sup>. ამდენად, ღვინის კომპანიების მიერ მიზნობრივ ბაზარზე სასურველი რეაგირების გამომუშავებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მარკეტინგული კომბლექსი (Marketing mix) – კონტროლირებადი, ტაქტიკური მარკეტინგული საშუალებების ერთობლიობა. ეს საშუალებები ერთიანდება ოთხ ჯგუფად, ე.წ. “ოთხ P”-ში: პროდუქტი, ფასი, ადგილი და სტიმულირება<sup>2</sup>. აუცილებელია საწარმოო პროცესების რეგულარული მონიტორინგი, ხარისხის კონტროლის მექანიზმის სრულყოფა, ღვინის კომპანიების მიერ განვითარების ისეთი სტრატეგიის შერჩევა, რომელიც გულისხმობს მთელი ტექნოლოგიური პროცესის სრული კონტროლის ქვეშ მოქცევას. ამ მხრივ აღსანიშნავია კომპანია „ქინმარაულის მარანი“, რომელიც ფლობს დაახლოებით 500 ჰექტარ მიწას, საიდანაც 435 ჰექტარი გამოყოფილია ვენახისათვის, დაახლოებით 40 ჰექტარი კი განკუთვნილია კომუნიკაციებისა და ქარხნისათვის. ასევე, აღსანიშნავია „შანავის ღვინის მარანი“, რომელიც საუკეთესო ღვინოს აწარმოებს “საკუთარი ნერგიდან სუფრაზე მიტანამდე”. ეფექტიანი მენეჯმენტითა და წარმოების სამეცნიერო-ტექნოლოგიური უმაღლესი დონით მიღწეულია ყველა მეღვინესათვის საოცნებო

**1 Jay Heizer, Barry Render “Principles of Operations Management” Pearson 7th Edition, P. 194.**

**2 რ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი. მარკეტინგის საფუძვლები. ატორიზებული თარგმანი ინგლისურენოვანი გამოცემიდან. Pearson Education Inc, 2005. გვ. 278.**

“თაიგული” – ტრადიციისა და პროგრესის, ვაზისა და ღვინის უბადლო ჰარმონია<sup>1</sup>.

ქართული ღვინის ახალ საექსპორტო ბაზრებზე დამკვიდრების წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საქართველოს ამ ეტაპზე იავი და კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოება არ შეუძლია<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ქართული ღვინის კომპანიებისთვის გადასახადების შემცირება პირველ ეტაპზე, ხოლო შემდგომ, როცა უკვე ცნობადი გახდება ქართული ღვინი საერთაშორისო ბაზარზე და მნიშვნელოვნად გაზრდება გაყიდვების მოცულობა, შესაძლებელი იქნება თანდაონ საგადასახადო ნიხრის ზრდა და გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. ასე მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ღვინოსთან დაკავშირებული გადასახადების გაზრდას გეგმავს. გაერთიანებული სამეცოს მთავრობის პროგნოზით, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები 58%-ით მოიმატებს. გადასახადების გაზრდა იმან გამოიწვია, რომ ბრიტანელებს შორის ღვინო უფროდაუფრო პოპულარული ხდება – წლიდან წლიდან ნისლიანი ალბიონის სულ უფრო მეტი ბინადარი ანიჭებს უპირატესობას ლუდთან შედარებით ღვინოს. ახალი საგადასახადო რეფორმის შედეგად, უკვე წელს ღვინოზე ფასის 7,2%-ით გაზრდას ვარაუდობები<sup>3</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ალკოჰოლური სასმელებიდან უპირატესობა ღვინოს ენიჭება, საგადასახადო ნიხრის შემცირება და აქედან გამომდინარე, სამარკო ღვინოებზე ფასის დაწევა შიდა ბაზარზეც არანაკლებ დადებით შედეგებს გამოიწვევს, რაც ასახვას ჰპოვებს გაყიდვების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდაში.

ღვინის ექსპორტის გაზრდის მიზნით საჭიროა ისეთი სამარკო ღვინების წარმოება, რომელთა მოთხოვნაც დიდია მსოფლიო ბაზარზე. ასე მაგალითად, უვროპაში ყველაზე მეტად მოსწონთ „საფერავი“ და „წინანდალი“, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში – „ქიბემარაულიც“ და „ხვანჭერაც“, მაგრამ დასავლეთ ევროპის მომსმარებლებისთვის „საფერავისა“ და „წინანდლის“ შემდეგ ყველაზე პოპულარულია „მუგუზანი“ და „ქიბემარაული“. დიდი პერსპექტივები გააჩნია ისეთი

1 [www.vinoge.com](http://www.vinoge.com)

2 იქვე-

3 [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ფურძნის ჯიშებს, როგორიცაა: „ხიხვი”, „ქისი”<sup>1</sup>. მიზანშეწონილია მათი და ასევე ისეთი უნიკალური შუშხუნა ღვინოების წარმოების გაფართოება, როგორიცაა: „პინო”, „ალიგოთე” და სხვა.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ქართული ღვინის ბიზნესს დიდი პერსპექტივები გააჩნია. მისი უფექტიანი განვითარება შესაძლებელია ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორიცაა: გამოშეებული პროდუქციის ნომენკლატურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მრავალფეროვანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; პროდუქციის ასორტიმენტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რაც არა მხოლოდ ოპტიმალური ასორტიმენტის შემუშავების საშუალებას იძლევა, არამედ, ასევე, წარმოებულ იქნება ყოველი პროდუქტის ოპტიმალური რაოდენობაც; პროდუქციისა და მისი ხარისხის მაჩვენებლების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური თვისებების სრულყოფა; საქონლის სწორი პოზიციონირება; ერთობლივი საწარმოების გახსნა უცხოელ ინვესტორებთან ერთად; რეკლამის სტიმულირება; საგადასახადო განაკვეთების მანეგრირება; სწავლის ქვეყანაში ქართველ მედვინეთა ვიზიტების გახშირება მარკეტინგის სფეროში თანამედროვე მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

## პომპანის კონკურენტ ჟდარიანების შეფასება დანახარჯების მაჩვენებლი

### რუსულან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესიონალი

კომპანიის კონკურენტულ უპირატესობებში სხვა მრავალ მაჩვენებელთა შორის ერთ-ერთ უპირატესობად დაბალი დანახარჯები ითვლება. დაბალი დანახარჯები ამაღლებს კომპანიის მოგებას საშუალო საბაზრო მოგებასთან შედარებით და ამყარებს მის ფინანსურ მდგომარეობას. მყარი ფინანსური მდგომარეობა კი ის ძალაა, რომლის მეშვეობით კომპანიას აქვს უნარი, დაიცვას საკუთარი პოზიცია დარგში მამოძრავებელი ძალების, კონკურენტული ზემოქმედებისა და კონკურენტების შესაძლო მოქმედებებისაგან.

ზემოთნათქვამიდან ის დასკვნა კეთდება, რომ რაც უფრო მაღალია კომპანიის დანახარჯები მისი უშუალო კონკურენტების დანახარჯებთან შედარებით, მით უფრო დაუცველია ამ კომპანიის პოზიცია ბაზარზე. იმისათვის, რომ კომპანია იყოს კონკურენტუნარიანი, მისი დანახარჯები ნაწილობრივად მანც უნდა შეესაბამებოდეს კონკურენტების დანახარჯებს. კონკურენტუნარიანი დანახარჯები (და აქედან გამომდინარე – ფასებიც) კომპანიის სტრატეგიული მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაჩვენებელია. დაბალი დანახარჯები ფასების შემცირების საფუძველია, რაც რა თქმა უნდა, ზრდის კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე. ამის მისაღწევად კი კომპანია ორი პრობლემის წინაშე დგება:

1. მან უნდა გაიგოს, თუ როგორია კონკურენტების დანახარჯები. ეს საკითხი უკავშირდება კონკურენტების კონფიდენციალურ ინფორმაციას, რის გამოც არა თუ საქართველოში, არამედ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, პირდაპირი კონკურენტებისგან ამ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია და ისინი ამას ახერხებენ სხვადასხვა ასოციაციების, საბჭოების და კონსალტინგური ფირმების (მაგალითად, აშშ-ში ასეთებია: Andersen Consulting, A. t. Kearney, tower Parrin-ი და სხვები) მეშვეობით, რომლებიც ატარებენ კვლევებს და აქვეყნებენ დარგში არსებულ

საუკეთესო პრაქტიკას.

2. კომპანიის უნდა შეძლოს დანახარჯების შემცირების კუთხით შეგა რეზერვების გამოვლენა, რისთვისაც მან უნდა გააანალიზოს არა მხოლოდ ფირმის ფასეულობათა მოელი ჯაჭვი, არამედ დარგის ფასეულობათა ჯაჭვი, რომელშიც, გარდა მოცემული კომპანიისა, შედის მომწოდებლის ფასეულობათა ჯაჭვი, გასაღების არხების ფასეულობათა ჯაჭვი და კომპანია-გაყიდვების ფასეულობათა ჯაჭვი.

ორგვე ეს პროცესი ერთად დანახარჯების შედარებითი ანალიზის-თვის (შეფასებისთვის) არის მოწოდებული და ქართველმა მენეჯერებმა უნდა იცოდნენ, რომ „ფურნალ „ფორტუნა“-ში წარმოდგენილი 500 კომპანიდან 80%, მეტ-ნაკლებად ამა თუ იმ ხარისხით, დღეისათვის იყენებს დანახარჯების შედარებით ანალიზს. ცხადია, ეს სამუშაო, რომელიც მეტად რთულია, გართობისთვის არ კეთდება, და მას დიდი სტრუქტურული მიზანი აქვს. ეს მიზანი არის კონკურენციაში გამარჯვება და ბაზარზე ლიდერობა ან მისი შენარჩუნება.

ამ სამუშაოს შესრულების ტექნიკას უნდა დაეუფლონ საქართველოს კომპანიებიც (განსაკუთრებით, მსხვილი კომპანიები და ისინი, ვინც საერთაშორისო ბაზებზე არიან გასული), და, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამ სვეროში არსებული სირთულეების მიუხედავად, რასაც საქართველოში ემატება არასრულყოფილი კანონი „სტატისტიკის შესახებ“, კვალიფიციური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების, საინფორმაციო საპროექტოს და ასოციაციების არარსებობა, სუბიექტიფიციზმი, ბიუროკრატიულობა, პირადი ამბიციები და მრავალი სხვა, მათ მაინც, დღეს თუ არა ხვალ, მოუწევთ დანახარჯების შემცირების მიმართულებით აქტიური მუშაობა.

როდესაც ბაზარზე მოშემარებულთა დიდი ნაწილი განსაკუთრებულად მგრძნობიარება ფასების მიმართ, მაშინ დაბალი დანახარჯების მიხდვით ლიდერობა მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს. მაგრამ დაბალი დანახარჯების სტრატეგიით ხელმძღვანელობისას, კომპანია მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იყოს, რათა არ დადგეს იაფ-ფასიანი საქონლის შექმნის საფრთხის წინაშე, რაც მოშემარებლის უნდობლობას გამოიწვევს. ფრთხილად უნდა იყოს და დააკვირდეს იმასაც, ხომ არ დაიწყო კონკურენტმა აგრესიული პოლიტიკა ფასდაკლებასთან მიმართებაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კომპანიამ აქტიურად უნდა გააგრძელოს მუშაობა ხარჯების შესამცირებლად, რადგან დანახარჯების

მიხედვით უპირატესობა მხოლოდ მანამდეა მომგებიანი, ვიდრე კონკურენტი ამ სკლეპს გააკეთებს.

დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მოპოვების მიზნით, კომპანიაში ფასეულობათა ჯაჭვის მიხედვით წარმოების საერთო დანახარჯები გაცილებით ნაკლები უნდა იყოს კონკურენტებთან შედარებით. ამის მისაღწევად ორი გზა არსებობს:

1. კონკურენტებთან მიმართებაში შიდა ფასეულობათა ჯაჭვის მართვის ეფექტურობა და მის ცალკეულ რგოლებში დანახარჯების შემცირების რეზერვების გამოყენება;

2. კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფა, მაღალი დანახარჯების მქონე რგოლების გამორიცხვა.

მაშასადამე, კომპანიის მენეჯერს, რომელიც გადაწყვეტს დანახარჯების მიხედვით ლიდერობას ბაზარზე, ევალება გამოავლინოს დანახარჯების შემცირების რეზერვები და, ამის გარდა, სრულყოს კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვი მისგან ხარჯიანი რგოლების გამორიცხვით.

კომპანიაში დანახარჯების ღონებები დაგენერირდებული ასეთებია: „წარმოების მასშტაბი“ ე. წ. „მასშტაბის ეფექტი“, „სწავლება-გამოცდილების“ მრუდის ეფექტი, რესურსების შეძენის ხარჯები, სიმძლავრეთა დატვირთვის ხარისხი, სტრატეგიული არჩევანი და საწარმოო გადაწყვეტილებები, ვერტიკალური ინტეგრაციის გამოყენება დასწევ.

„მასშტაბის ეფექტი“ შეიძლება მიღებული იქნეს კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში – წარმოებაში, გაყიდვებში და ა. შ. წარმოებაში იგი მიღებული იყო მიღებული უცვლელი სიღილის ხარჯების გადანაწილებით დიდი მოცულობით წარმოებულ პროდუქციაზე, როს გამოც შემცირდება ერთეული პროდუქციის ხარჯტევადობა. იგივე ხდება გაყიდვებშიც.

„სწავლება-გამოცდილების“ მრუდის ეფექტი არის წარმოების პროცესის დაჩქარება, კონკურენტთა პროდუქციის ნიმუშების მოპოვება და მათი ტექნოლოგიის მიზნება, ინფორმაციის მიღება კონკურენტი ფირმების ყოფილი თანამშრომლებისგან და ა. შ.

რესურსების შეძენის ხარჯები სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სიღილისაა. ამიტომ კომპანიამ მისი შესყიდვის დროს უნდა აირჩიოს ის რეგიონი და ის მომწოდებელი, სადაც რესურსები იაფია. მეტიც, თუ

**1 Porter M. competitive Advantage, 1985.p. 97.**

## **პირველი, მთელი განვითარების, მარკაზინის**

კომპანიამ აღმოაჩინა ისეთი რეგიონი, სადაც მისთვის საჭირო რესურსების (ნედლეული, სამუშაო ძალა და ა. შ.) ძირითადი მასა ყველაზე იავია, მიზანშეწონილი იქნება წარმოების იქ გადატანა.

სიმღლავრეების დატვირთვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაც დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მიღწევის სერიოზული რესურსია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქვთ სასოფლო-სამუშაო ფირმებს და სასოფლო-სამუშაო პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს. მათ საწარმოო ფართოები და ტექნიკა მხოლოდ სეზონზე აქვთ დატვირთული. დანარჩენ დროს ისინი მოცდებილია.

ასეთი სპეციალიზაციის საწარმოთა მენეჯერებს არ ვურჩევთ, რომ მათ საკუთრებაში იქონიონ ტექნიკა. უფრო უპრიანია, მათ საჭირო ტექნიკა ერთი სეზონის ვადით აიღონ ოპერატორები ლიზინგით და ვადის გასვლის შემდეგ უკან დაუბრუნონ ლიზინგამცემებს. ამ გზით ისინი დაზოგავენ ამორტიზაციის ხარჯებს და ტექნიკის შენახვა-მოვლის ხარჯებს.

დანახარჯების შემცირება და დანახარჯების მაჩვენებლით ლიდერობის მოპოვება შეიძლება განხორციელდეს ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფითაც. იგი მიიღწევა უფრო მოქნილ ტექნოლოგიებზე გადასვლით, ძვირადირებული ნედლეულის ჩანაცვლებით ადგილობრივი იაფი ნედლეულით, წარმოებული საქონლის დიზაინის გამარტივებით, ელექტრონულ ტექნოლოგიებზე გადასვლით და ა. შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფა განსაკუთრებით სჭირდება ხორცის და ხორცპროდუქტების წარმოებას. ეს საქმე სულ თავიდან არის ასაწყობი. მართალია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პირუტყვის დაკვლის ერთიანი პუნქტები (სასაკლაოები), მაგრამ იქიდან დაკლული დაუნაწევრებელი ხორცი პირდაპირ ბაზრებში, მაღაზიებში, და რესტორნებში ხვდება. ჩვენიაზრით, საჭიროა შეიქმნას ხორცის დამნაწევრებელ-დამფასოებელი საწარმოები, რომლებიც დაჭრილ-აწონილ და ფასდაღებულ ხორცს მიაწოდებენ ბაზარს (ამჟამად ასეთი საწარმოები არ არსებობს. ამიტომ კონკურენციაც არ არის და სწორედ ამიტომ ხორცზე მონოპოლიური ფასებია დაწესებული). ეს პრაქტიკა საზღვარგარეთ დიდი ხანია, რაც არსებობს.<sup>1</sup> უფრო

1 არტურ ა. ტომასონი-უმცროსი, ა. ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, საქართველო, 2010, გვ. 228.

მეტიცვინც ხორცის დაფასოებას წამოიწყებს, იგი ლიდერი იქნება ამ საქმეში. ამას ისიც ეძატება, რომ უცხოელებისგან განსხვავებით, ჩვენ ხორცის დაჭრის განსხვავებული ტრადიცია გვაქვს. ტრადიციულად, საქართველოში ხორცი იჭრებოდა არა ზოგადად – დიდ და მცირე ნაჭრებებად, არამედ მოსამზადებელი კერძის შესაბამისად, საწარმოო, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგება სათავეში და ასე ააწყობს თავის ფასეულობათა ჯაჭვს, არ გაუჭირდება ქართულ კულინარიაში დაწერილი ადრინდელი წიგნების „ამოქექვა“ და ქართული კერძების შესაბამისად ხორცის დაჭრა, პლასტიკატის ჭურჭელში დაფასოება და საცალო ქსელში გასაყიდად გაგზავნა. ქართველ მეწარმეებს შევახსენებთ, რომ ბაზრის ეს ნიშა ცარიელია, ქართველი დიასახლისი კი ელოდება ასე დაჭრილ-დაფასოებული ხორცის საცალო მაღაზიებში გამოჩენა! ხორცის დამუშავების ტექნოლოგია, ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმა და ახლანდელთან შედარებით დაბალი ფასები იქნება ასეთი საწარმოს ლიდერობის გარანტი.

დაახლოებით იგივე გვინდა ვთქვათ ფასეულობათა ჯაჭვში ელექტრონული ტექნოლოგიების ჩართვაზე. საზღვარგარეთ ელექტრონული ვაჭრობა არავის უკვირს. მყიდველი და გამყიდველი ინტერნეტით ხვდებიან ერთმანეთს და გარიგებებს ახორციელებენ. საქართველოშიც შემოვდა ეს სიახლე და უკვე კარგად მოიკიდა ფეხი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, მსუბუქი ავტომანქანებით და კოსმეტიკით ვაჭრობაში. მაგრამ კვლავაც ცარიელია ამ თვალისაზრისით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ნიშა. საქმე ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გლეხებს მოყავთ, არან აგროფირმებიც, მაგრამ აგროფირმებშიც ელექტრონული კომერციის კულტურა გლეხების კულტურის დონეზე. არც ერთმა და არც მეორემ არ იციან, თუ როგორ გამოიყენონ იგი. არადა, საქართველო ეკოლოგიური სისუფთავით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. გლეხებს და აგროფირმებს რომ შეეძლოთ ინტერნეტის გამოყენება და რომ სათანადო ფლობდნენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ისინი ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციით მრავალ უცხოელ ქვეყანას გაუწევდნენ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას. ასეთ დროს ქართველ გლეხს მოყვანილი პროდუქტი უფუჭდება – ვერც შიდა ბაზარზე ყიდის (მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველუნარი-ანობის გამო) და ვერც გარე ბაზარზე გადის. მან არც პროდუქტის ხანგრძლივად შენახვის ტექნოლოგია იცის.

ყოველივე ზემოთნათქამიდან გამომდინარე, საჭიროა სოფლის მოსახლეობაში მოწყოს მასიური კომპიუტერული სწავლება; ძველად წერა-კითხვის გამაკრცელებელი საზოგადოებები მოსახლეობას წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ამჟამინდელი ეპოქა უკვე მოითხოვს კომპიუტერის მასიურ სწავლებას და, როგორც მაშინ იყო აუცილებელი წერის და კითხვის ცოდნა, ზუსტად ისე არის ამჟამად საჭირო კომპიუტერის ცოდნა. ამის გარეშე, ვერც ქართველი გლეხი და ვერც, საერთოდ, ვერავინ მსოფლიოს მასშტაბის დიალოგში ვერ ჩაერთვება. ეს ვინმეს ახირება კი არ არის, არამედ ეპოქის მოთხოვნილებაა, რომელმაც სრულიად ახალი ცივილიზაცია – ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოშვა.

სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფით არ უნდა იყოს ქართული კომპანიებისთვის ისე რთული, რადგანაც ჯერჯერობით მათი საქმიანობა არ არის იმ დონით დივერსიული კომპირებული, როგორც ეს საზღვარგარეთ კომპანიებშია (მაგალითად, კომპანია ქსეროქსი ფასეულობათა ჯაჭვში ძირითადი საქმიანობის 67 სახეზე აკეთებს დანახარჯების შედარებით შეფასებას). ქართული კომპანიები არც მსხვილმასშტაბიანი არიან და არც მრავალსახოვანნი. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონდომების შემთხვევაში მათ ადგილად შეუძლიათ, უკეთესი ორგანიზება გაუკეთონ ფასეულობათა ჯაჭვის თითოეული ელემენტის ფუნქციონირებას კონკურენტებთან შედარებით. მათ უნდა იცოდნენ, რომ სარჯების სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილება მყისიერად ცვლის ფირმის პოზიციას კონკურენტულ ბრძოლაში.

## მენეჯმენტის პრისპექტივები გლობალურიცის პირობებში

### მარინა გედვანიშვილი

ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

### გიორგი შიხაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

გლობალიზაციის პირობებში კუცობრიობის წინაშე მდგარი კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და საზოგადოების რეალური პროგრესი შეუძლებელია სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება-ჩამოყალიბებისა და შესაბამისი მმართველობითი საქმიანობის განხორციელების გარეშე.

სტატიის მიზანია, ვიმსჯელოთ უახლესი, ინოვაციური ეკონომიკურ-მმართველობითი კონცეფციებისა და პარადიგმების შესახებ, რომელთა საფუძველზე ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე ვითარდება ბიზნეს-სამეწნევებნებო თეორია და პრაქტიკა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენს ქვეყნაშიც. ამ მხრივ, მიზანშეწონილად მიგარინა, განვიხილოთ შემდგენ აქტუალური მიმართულებები:

1. მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტი;
2. საზოგადოებრივი განვითარების რელიგიური კონცეფციები;
3. პ. დრაკერის კონცეპტუალური პარადიგმები მენეჯმენტის განვითარებისათვის.

1. მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტი

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პარმონიზაციის მიზნით გაეროს მიერ მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებულია განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი – „მდგრადი განვითარების კონცეფცია“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. გაეროს გებ-გგერდზე: <http://www.un.org/documents/ga/conf151/aconf15126-1annex1.htm>.

მდგრადი განვითარება არის XXI საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური და მართველობითი თეორიისა და პრაქტიკის ამოსავალი კონცეპტუალური პარადიგმა, რომლის მიზანია ისეთი საზოგადოებრივი სისტემის შექმნა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადმიანის ცხოვრების დონის ამაღლებას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებლა, რომ გარემოს დაცვა აღიარებულ იქნება განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მისგან განცალკევებით.

გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია წარმოების და მოხმარების ისეთი სტრუქტურა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე.

მდგრადი განვითარების კონცეფციის მოთხოვნების მიხედვით, ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მდგრადი განვითარების სტრატეგიები, რათა გააერთიანონ მთლიან სისტემაში სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა ყველა სამინისტროს და საქმიანობის დონეზე საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროს ჩათვლით.

მთლიანად ფასებმა, ბაზრებმა, საგადასახადო და ეკონომიკურმა პოლიტიკმ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს საზოგადოების გონივრული დამოკიდებულება ეკოლოგიური სისტემის მიმართ. ამ მიზნით რადიკალური ცვლილებებია საჭირო საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკულად ყველა სფეროში (ენერგეტიკა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის და სატყეო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, წყალმოხმარება, ნარჩენების გადამუშავება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა).

ასეთი მიზნების მისაღწევად აუცილებელია ძირული ცვლილებების განხორციელება ინფორმატიკის, დაგეგმვისა და მართვის სფეროებში.

მდგრადი განვითარების თეორია უსარგებლო იდეოლოგიად დარჩება, თუ არ შემუშავდება სათანადო მეთოდოლოგია და არ განხორციელდება შესაბამისი მართვა. ეფექტური გარემოსდაცვითი მართვისათვის აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერებების და არასახელმწიფო მეცნიერებების კონკრეტული დაგეგმვის გადამუშავება, კავშირგაბმულობა, წყალმოხმარება, ნარჩენების გადამუშავება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა).

ლი პრინციპებისა და მეთოდების პარმონიული შეხამება. სწორედ ასეთ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს ეკოლოგიური მენეჯმენტი ბიზნესში, რომლის ეკოლოგიურად გაუაზრებელი საწარმოო საქმიანობის შედეგად ვითარდება უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემები. ამიტომაც ეკონომიკური და ეკოლოგიური საწყისების პარმონიზაცია საწარმოს ღონებე – უნდა აღვიქვათ როგორც მდგრადი განვთავარების თეორიის ფუძემდებლური ბიზნეს-სამენეჯმენტო პარადიგმა და პრაქტიკული შედეგების მიღწევის უმთავრესი გზა.

ეკოლოგიური მენეჯმენტი, თავისი არსით, ახალი ფენომენია ბიზნესისა და მართვის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ფართო გაგებით, ეს არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საქმიანობა ყველა ორგანიზაციისა და პიროვნებისა მდგრადი განვთარების მიზნის მისაღწევად. სხვაგვარად, ეკოლოგიური მენეჯმენტი არის ორგანიზაციის მიერ რესურსების მობილიზების პროცესი, რომელიც გამიზნულია გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად.

ეს განმარტება შესაფერისია საზოგადოების სამივე სექტორის (სამთავრობო, სამეწარმეო და არასამეწარმეო) ყველა ორგანიზაციისათვის. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს დიფერენცირება ობიექტის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ვინაიდან შმართველობის პროცესის საერთო მსგავსებასთან ერთად აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

მდგრადი განვთარების კონცეფციის მიხედვით, საქმიანობა და სამრეწველო წრეებმა უნდა:

- შეიმუშაონ ისეთი საწარმოო პოლიტიკა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს მათი საქმიანობის გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას;

- უზრუნველყონ, რომ საწარმოო პროცესების მართვა ზორციელდებოდეს გარემოსდაცვითი პრინციპების სრული დაცვით.

ეკოლოგიური მენეჯმენტი კონკრეტული საწარმოს ღონებე – უნდა ეყრდნობოდეს გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთაგან უნიშვნელოვანებია Iშ 14001 სტანდარტი „გარემოს დაცვის მართვის სისტემები, მოთხოვნები და სელმძღვანელობა გამოყენების მიზნით“. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საერთო მოთხოვნები;
- ეკოლოგიური პოლიტიკა;

• დაგეგმვა (ეკოლოგიური ასპექტები, კანონმდებლობა და სხვა მოთხოვნები, მიზნები და ამოცანები, გარემოსდაცვითი მართვის პროგრამები);

• დანერგვა და ფუნქციონირება (ორგანიზაციული სტრუქტურა და პასუხისმგებლობა; მომზადება და კომპეტენტურობა; კავშირები; დოკუმენტაციისა და სამუშაოთა მართვა; ავარიული სიტუაციების მართვა);

• კონტროლი და კორექტირება (მონიტორინგი; შეუსაბამობათა კორექტირება; საინფორმაციო დოკუმენტები; გარემოსდაცვითი სისტემის მართვის აუდიტი);

• ანალიზი ხელმძღვანელობის მშრიდან და სხვა მომენტები.

ცივილიზებულ ქვეყნებში საწარმოების ეკოლოგიური საქმიანობა ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ნაწარმს უნდა გააჩნდეს შესაბამისობის სერთიფიკატი და გარემოსდაცვითი სერთიფიკატი.

საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკა თავისი ხასიათით ობიექტის ინდივიდუალური ვალდებულებაა, რომლის მიხედვითაც ხდება მისი საქმიანობის შეფასება ყველა დაინტერესებული შიგა და გარე ჯგუფების მიერ. ეკოლოგიური პოლიტიკა ეფუძნება ეკოლოგიური მენეჯმენტის წარმატებულ პრაქტიკას. ეკოლოგიური პოლიტიკა შეესატყვისება ეკოლოგიური პროგრამის მიზნებს. ეკოლოგიური მენეჯმენტი საწარმოს საერთო მენეჯმენტის შემადგრენლი ნაწილია და დაკავშირებულია ხარისხისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემებთან.

საწარმოს ეკოლოგიური პროგრამა იმ კონკრეტული მიზნებისა და მოქმედებების აღწერაა, რომელგბაც უნდა უზრუნველყონ გარემოს ოპტიმალური დაცვა გარკვეულ არეალში. პროგრამა მოიცავს დასახული მიზნების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხას, მათი კონკრეტული ვადების ჩათვლით.

ასეთია საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები ცივილიზებულ ქვეყნებში. ჩვენში ახლა მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა ამ სფეროს დახვეწის მიზნით, რაშიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოწინავე უცხოური ქვეყნების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გამოცდილება.

საქართველოში გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვას ბევრი გარემოება უშლის ხელს, რომელთაგან უმთავრესია საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობა, რასაც სათანადო ორგანოების ინერტულობაც ემატება.

ბუნებათტევების სათანადოდ უნდა გაიაზრონ საკუთარი ეკო-ლოგიური მიზნები და შესაბამისად წარმართონ გარემოსდაცვითი საქმიანობა. ორგანიზაციული თვალსაზრისით, მათთვის აუცილებელია სათანადო ქვედანა-ყოფების შექმნა მართვის სტრუქტურაში.

დღეისათვის საქართველოში მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ საწარმოებში არსებობს სპეციალური ეკოლოგიური სამსახური. ეს ისეთი ნაკლია, რომელიც არ გააჩნდა საბჭოურ გარემოსდაცვით სისტემასაც კი.

ეკოლოგიური პრობლებები წარმოიშობა კონკრეტული ბუნებათტევა-დი საწარმოს საქმიანობის პროცესში. სწორედ საწარმოა მიზეზი ეკო-ლოგიური გართულებების წარმოქმნა-გამწვავებისა, სწორედ ამ მიზეზს უნდა ვებრძოლოთ და არა შედეგს, როგორც ეს საბჭოურ პერიოდში ხდებოდა.

დღევანდველ პირობებში აუცილებელია ხელისუფლებამ, კოპეტენტურმა ორგანოებმა და ცალკეულმა საწარმოებმა უმოკლეს დროში მოაგვარონ თი-თოეულ ბუნებათტევად ობიექტებზე გარემოსდაცვითი სამსახურების შექმნა-ფუნქციონირების საკითხი.

## 2. საზოგადოებრივი განვითარების რელიგიური კონცეფციები

